# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 მაისი 1999 №80 (853) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეინჯერსი ჩემპიონია

შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მთავარ მეტოქე „სელტიკს“ აჯობა და შარშან დაკარგული პირველობა დაიბრუნა



## ძაგნიძე არც ისვენებს და არც ასვენებს

დათვად გარდასახულმა ქართული რაგბის ვეტერანმა ცხრა გარდასახვა მიითვალა

## სტეფანია პლეი ოფის მიღმა რჩება

## მოიგო გერმანელმა, გაიხარა იტალიამ

ტრიუმფი მიხაელ შუმახერის პროფესიაა

# ნაკრებს თავი ზეგ დაედგმება

## ყიფიანი, ხურცილავა თუ ბოსკამპი? ამას ზეგ შევიტყობთ

შაბათს, 1 მაისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ იმ ბრძანებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლდნენ ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები, მათი თანაშემწეები, ექიმები და სხვა მომსახურე პერსონალი. აქედან გამომდინარე, ორივე ნაკრები უხელმძღვანელოდ დარჩა. თუმცა სულ რამდენიმე დღით — ზეგ, 6 მაისს, 12 საათზე, სასტუმრო „შერატონში“ ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და ახალი მწვრთნელებიც დაინიშნებიან.

ახლა, ბუნებრივია, ყველა ფეხბურთის ქომაგს ერთი კითხვა აწუხებს — ვინ იქნება გუცაევის მემკვიდრე?

მართალია, აქამდე რამდენჯერმე ჩვენეული ვარაუდი გამოვთქვით, მაგრამ რაც დრო გადის, რაც უფრო ახლოვდება 6 მაისი, მით უფრო საინტერესოა, რა მოხდება, ვის დანიშნავენ მწვრთნელად აღმასკომის სხდომაზე?

წუხანდელამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის უფროსობას ნაკრების მწვრთნელობის სამი კანდიდატი ეგულებოდა: დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა და ჰოლანდიელი, უკვე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი. მერაბ ჟორდანიასა და ვალერი ჩოლარიას ამ უქმეებზე სამივე მათგანთან მოუსწრიათ საუბარი, თუმცა კი ბევრიც არაფერი გაურკვევიათ. სამივეს უთქვამს, დრო მომეცით, ვიფიქრებო. ფედერაციის ხელმძღვანელებსაც სხვა რა გზა ჰქონდათ — ისინიც ელოდებიან.

ამასობაში ფედერაციას ეროვნული ნაკრების აწ უკვე მწვრთნელის ყოფილმა თანაშემწეებმა — ვლადიმერ პანოვმა და სერგო კუტივაძემ მიაკითხეს. ვლადიმერ გუცაევმა საკუთარი სურვილით კი დატოვა თანამდებობა, მაგრამ ჩვენ აღარ გვეკითხებით, არსად წასვლას არ ვაპირებთ, კონტრაქტი დეკემბერში გვიმთავრდება და რატომ გვათავისუფლებთო, უთქვამთ ფედერაციის ჩინოსნებისთვის. ამ დროისთვის კი ჟორდანიასა და ჩოლარიას მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატისგან ულტიმატუმის მსგავსიც ჰქონდათ მოსმენილი — ნაკრებში თუ ვიმუშავებ, თანაშემწეებს, ექიმებს და სხვა პერსონალსაც თავად შევარჩევ, ჯერ ძველები გაათავისუფლეთო. საბოლოოდ ფედერაცია და პანოვ-კუტივაძე შეთანხმდნენ — მწვრთნელები ხელფასს დეკემბრამდე მიიღებენ, მაგრამ, ალბათ, ნაკრებში ველარ იმუშავებენ.

შეგახსენებთ, მსგავსი რამ ადრეც მომხდარა, მაშინ, როცა ალექსანდრე ჩივაძის შემცვლელად დავით ყიფიანი დაინიშნა, ადრინდელმა ფედერაციამ ჩივაძის მთელი გუნდი, მათ შორის ვლადიმერ პანოვიც გაათავისუფლა, მათ ნაცვლად კი ყიფიანმა ნაკრებში თავის ამალა მიიყვანა. არაა გამორიცხული, ახლაც ასე მოხდეს.

გუშინდელი ჭორი კი, თითქოსდა მიმდინარე შესარჩევი ციკლის ბოლომდე ეროვნულ გუნდს დავით ყიფიანი გაწვრთნისო, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ უარყო. 6 მაისს დანიშნული მწვრთნელი ნაკრებს მომავალი შესარჩევი ციკლის ბოლომდე უთავკაცებსო — გვითხრა მან და თანაც დაამატა, აღმასკომის სხდომაზე არავითარი განხილვა არ იქნება, ჩვენი კანდიდატურა უპრობლემოდ დამტკიცდება, რადგანაც აღმასკომის წევრებთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვსო.

შევიტყვეთ ისიც, რომ შესაძლოა, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად მურთაზ ხურცილავა დაინიშნოსო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მან თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის პოსტი უკვე დატოვა, სავსებით მოსალოდნელია, გიგლა იმნაძის მემკვიდრედ სწორედ ხურცილავა დამტკიცდეს.

ეროვნული გუნდის მწვრთნელი კი... წუხელ ჟორდანია, „დინამოს“ უცხოელებთან დამაკავშირებელი, გერმანიაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მიხეილ სურგულაძე და კომპანია იოჰან ბოსკამპსა და დავით ყიფიანს შეხვდნენ...

**ძოზა ინასარიძე**

# ოდიშიც გადაიჩეხა?

*აქამდე გადაწყვეტილი მხოლოდ „დინამოს“ ჩემპიონობა და „გურიას“ მეორეჯგუფელობა თუ იყო, მაგრამ უფსკრულში ჩაჩეხილ ლანჩხუთელებს ამ უქმეებზე ზუგდიდელებიც გამოუდგნენ, რომლებიც დარჩენილ ხუთ ტურში გავარდნას სასწაულითღა თუ გადაურჩებიან. „სიონთან“ საშინაო მატჩში 1:4 წაგებით „ოდიშმა“ პირველ ჯგუფში ათწლიანი თამაშის აღსასრული დაიახლოვა. ზუგდიდელებს შაბათს მსაჯიც შემოელახათ, რაც ოდიშარებს სტადიონის დისკვალიფიკაციას უქადით. ასეთ შემთხვევაში „ოდიშის“ გადარჩენა მითუფრო ძნელი იქნება.*

ბადრი ქეთილაძის ფოტო



შაბათს ვაკეში. „ლოკომოტივი“ — „სამგურალი“.
ალექსანდრე გოგობერიშვილი სამგურალელ ზვიად ქუთათელაძეზე მთელი ტანით ამაღლდა

## საქართველოს ჩემპიონატი — 25 ტური

30 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| მერანი | 0 |
| კოლხეთი | 2 |
| თსუ | 0 |

1 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| იბერია | 0 |
| დინამო | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |
| სამგურალი | 0 |
| გურია | 0 |
| არსენალი | 2 |
| ოდიში | 1 |
| სიონი | 4 |
| ტორპედო | 3 |
| დილა | 0 |
| ბათუმი | 1 |
| გორდა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 20 | 5 | 0 | 74:12 | 65 |
| ტორპედო | 25 | 17 | 4 | 4 | 60:21 | 55 |
| ლოკომოტივი | 25 | 14 | 10 | 1 | 33:12 | 52 |
| კოლხეთი | 25 | 12 | 5 | 8 | 51:35 | 41 |
| ბათუმი | 25 | 10 | 10 | 5 | 34:18 | 40 |
| მერანი | 25 | 9 | 9 | 7 | 24:22 | 36 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 25 | 11 | 4 | 10 | 30:23 | 34 |
| იბერია | 25 | 9 | 5 | 11 | 37:40 | 32 |
| დილა | 25 | 9 | 5 | 11 | 29:40 | 32 |
| არსენალი | 25 | 7 | 10 | 8 | 29:40 | 31 |
| გორდა | 25 | 5 | 10 | 10 | 21:35 | 25 |
| სამგურალი | 25 | 7 | 3 | 15 | 22:45 | 24 |
| სიონი | 25 | 6 | 6 | 13 | 24:44 | 24 |
| თსუ | 25 | 5 | 9 | 11 | 17:28 | 24 |
| ოდიში | 25 | 6 | 2 | 17 | 19:49 | 20 |
| გურია | 25 | 3 | 3 | 19 | 23:63 | 12 |

საქართველოს ჩემპიონატი

# 25 ტური

# რკინიგზამ სამგურალს რკინის ქალამნები ჩააცვა

თბილისი
1 მაისი
18 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 18 000)

**ლოკომოტივი 2:0 სამგურალი**

1:0 გოგობერიშვილი (6), 2:0 წივწივაძე (44)
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ზ. არჩვაძე, დ. მუჯირი, ბაქრაძე, კაციაშვილი, კ. მელქაძე, წივწივაძე (შ. ხუჯაძე 46), გოდერძიშვილი (ვ. კილასონია 46), გოგობერიშვილი
*სათადარიგონი:* ჯანელიძე; კ. გოგოლაძე, ნ. მელაძე
**სამგურალი:** ბობოხიძე, მახვილაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (გლუნჩაძე 46), ვოსკანოვი (ზ. ქუთათელაძე 46), გიორგობიანი, აფციაური, პეტრიაშვილი, ჯავახაძე, სუხიაშვილი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ასლანაძე; დარსაძე, ლონდაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე
**გაფრთხილება:** ჩიხრაძე (38)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**კობა ინასარიძე**

შაბათს „ლოკომოტივმა" საქართველოს თასის ნახევარფინალში დამმარცხებელ „სამგურალზე" ჯავრი იყარა და პირველსავე ტაიმში მოუთავა ხელი — ორი ბურთი გაუტანა, ორი ამდენჯერ ძალიან სახიფათოდ დაემუქრა ჯერაც ტრავმამოუშუშებელი ასლანაძის ზედ მატჩის წინ შემცვლელი ბობოხიძის კარს და ტაიმებს შორისაც უდარდელად დაისვენა.

მასპინძლებს მაინცდამაინც არც შესვენების შემდეგ უნერვიულიათ. მათმა მწვრთნელმა თემურ მაზარაძემ ერთბაშად ორი თავდამსხმელის შეცვლით ნახევარდაცვა გააძლიერა, წინ თამაში დასვენებულ ვარლამ კილასონიას დაავალა და აქცენტი უფრო კონტრშეტევებზე გააკეთა. „ლოკომოტივს" არ გაუმართლა, თორემ სტუმრებს უარესადაც გაუსწორდებოდა.

მართალია, მეორე ტაიმში „სამგურალი" შესამჩნევად გააქტიურდა, რაც უპირველესად შემცვლელი ფეხბურთელების დამსახურებაა, მაგრამ ღირებული მათ არაფერი შეუქმნიათ, დოლაბერიძეს ერთი ორჯერ შორიდან დაურტყეს და მორჩა. ტრავმირებული გია კილასონია და ლიბერო სანდრო ბურნაძე რომ არ თამაშობდნენ, წყალტუბოელებს ძლიერ დაეტყოთ. ნახევარდაცვაში მოთამაშე, ფეხბურთში მობრუნებული მამუკა აფციაურიც ფრთამოტეხილივით ჩანდა. იგი თანაგუნდელთა შორის ნამდვილად გამოირჩეოდა, მაგრამ ორი საქმის— შექმნისა და ჩაშლის შეთავსება კი გაუჭირდა.

თბილისელები თამაშის დაწყებიდან ექვს წუთში დაწინაურდნენ. გოგობერიშვილმა მეორე ჯერზე მიზანი გაისწორა, პირველად კარს აცილებული ბურთი ორიოდ წუთის შემდეგ ფეხზე კარგად მოირგო და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ბობოხიძეს აუღებლად დაურტყა.

და რომ გვეგონა, მატჩს სიმძაფრე შეემატებოდა, პირიქით მოხდა. „ლოკომოტივს" რა ენაღვლებოდა, მათ საქმის ნახევარი უკვე გაკეთებული ჰქონდათ. აი, წყალტუბოელებისა ნაღდად გაგვკვირდებოდა. ისე ინერტიულად ბურთაობდნენ, თითქოს მათ კი არა, თბილისელებს ემუქრებოდეთ ჯგუფიდან დაქვეითება.

სტუმრები ისე თამაშობდნენ, თითქოს ბედს წინასწარ შეგუებოდნენ. შაბათს ვაკეში ის „სამგურალი" არ იყო, ორიოდ კვირის წინანდელი, მანამდე სათასო მატჩებში დაუმარცხებელ და ფავორიტ „ლოკომოტივს" მხოლოდ ჩემპიონატის მეორე ადგილისთვის ბრძოლა რომ აკმარა.

ტაიმის ბოლოს კი წივწივაძის გოლმა ყველაფერი ნათელი გახადა.

მომდევნო თამაშებისთვის წყალტუბოელებს მაქსიმალური მობილიზება დასჭირდებათ, როგორმე პირველ ჯგუფში დასარჩენად საჭირო რაოდენობის ქულები რომ დააგროვონ.

არადა, „გურიასთან" და „დინამოსთან" სტუმრობას, გაშმაგებული „ტორპედოს", „დილასა" და „არსენალის" მასპინძლობას წყალტუბოელებისთვის მაინცდამაინც სახარბიელო მომავალი არ ეთქმის. ფეხი რომ დაუცდეთ, მერე ნახეთ, სავსებით შესაძლებელია, საქართველოს თასის ფინალისტმა შემდეგი სეზონი მეორე ჯგუფში დაიწყოს.

ჰამლეტ წივწივაძემ კი გოგობერიშვილის გამოზომილი პასის მერე იყოჩაღა, ბობოხიძესთან პირისპირ დარჩენილს მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება არ გასჭირვებია. თუმცა მანამდე წივწივაძემ შტატიანი მეგოლისთვის შეუფერებელი მომენტები გააცუდა.



მასპინძელი ჰამლეტ წივწივაძე სტუმარ ილია ჯავახაძეს და მიხელ მახვილაძეს ვერ გაექცა

# გამოცდილებით აჯობა

სამტრედია
1 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 15 000)

**იბერია 0:1 დინამო**

0:1 სახვაძე (24)
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ვარდიაშვილი 66), ფილიპაშვილი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ხუჭუა, რ. ცომაია, მუმლაძე, ნ. გიორგაძე, ფხაკაძე
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა (პ. ჯინჭარაძე 62), მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, ა. მუჯირი (ქებაძე 78), ალექსიძე, წიტაიშვილი (ჩომახიძე 60), აშვეთია, გუჩუა
*სათადარიგონი:* მამალაძე; გ. კვარაცხელია, რუხაძე, ხიზანეიშვილი
**გაფრთხილება:** მაჭავარიანი (84)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**მამუკა გიგიაძე სამტრედიიდან**

„დინამო" აპრილში დაუმარცხებელ „იბერიას" მურთაზ ხურცილავას გარეშე ეწვია, გუნდი სათამაშოდ ნოდარ აკობიამ გაიყვანა, ხოლო ჰოლანდიელი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი, რომელიც ორშაბათიდან ჩაიბარებდა ჩვენს მარად ჩემპიონს, სამთავრობო ლოჟიდან უცქერდა მატჩს.

მასპინძლები „დინამოს", ცოტა არ იყოს, უხასიათოდ დაუხვდნენ, წინა ტურის შემდეგ უსახსრობის გამო მათ ხეირიანად არც კი ევარჯიშათ.

სტუმრებმა დაწყებისთანავე შექმნეს სახიფათო მომენტი. აშვეთია მარჯვნიდან შევიდა მასპინძელთა საჯარიმოში და კარისკენ დაარტყა. დოლიძემ შეძლო ამ ბურთის მოგერიება, გადმოვარდნილზე დამატებას წიტაიშვილი ცდილობდა, მაგრამ კარის ხაზთან ბურთს ვერ მიუსწრო.

მეათე წუთზე წიტაიშვილმა „იბერიას" საჯარიმოს წინა ხაზთან მკერდზე მიიღო სახვაძის გადაცემა და ვარდნაში ეფექტურად დაარტყა. ოდნავ არაზუსტად. ამის შემდეგ სამტრედიელები გააქტიურდნენ და რომ არა დავით გვარამაძის ოსტატობა მე-13 წუთზე ანგარიშიც გაიხსნებოდა. ვასო გიგიაძის გრძელ გადაცემას ნიკოლეიშვილის შეუჩერებელი დარტყმა მოჰყვა, დინამოელთა მეკარემ ნახტომში ბურთის კუთხურზე გადაგდება მოახერხა.

კუთხური ტყუპმა გიგიაძეებმა გაითამაშეს, სოსომ საჯარიმოს გარედან ძლიერად დაჰკრა, გვარამაძე კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ეს იყო და ეს, მასპინძლებს პირველ ტაიმში მეტი აღარ შეუტევიათ, თუ არ ჩავთვლით 43-ე წუთზე სოსო გიგიაძის შორეულ დარტმას, როდესაც ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. მანამდე კი ინიციატივას „დინამო" ფლობდა.

მე-18 წუთზე წიტაიშვილს შეეძლო ეხეირა, იგი ქველაძეს წამოეპარა საჯარიმოში, ბურთზე ჭვინტი უკრა, დოლიძემ შეძლო ახლო მანძილიდან მოგერიება. ოთხ წუთში ჩემპიონმა გოლის გატანაც მოახერხა. ალექსიძის კარგი გადაცემა სახვაძემ შეიშნო, საჯარიმოში შეჭრილმა ზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს „იბერიას" კარში კინალამ მეორეც გავიდა: მასპინძელთა ილბლად ამირან მუჯირის შორეული დარტყმა ძელმა აისხლიტა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე აშვეთიას შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მუჯირის შორეული დარტყმული გუბაზ დოლიძემ მოიგერია, დამატებაზე მიხომ სამიოდე მეტრიდან ააცილა ცარიელ კარს.

„დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო ამ მატჩში, ბურთსაც თბილისელები აკონტროლებდნენ ოღონდ მეტწილად შორეული დარტყმებით კმაყოფილდებოდნენ. „იბერიამ" მხოლოდ შეხვედრის მიწურულს შეუტია და საკმაოდ მწვავედაც. სოსო გიგიაძემ საკუთარი ნახევრიდან ბურთიანად ირბინა დინამოელთა საჯარიმომდე, ტყუპისცალსაც ზუსტად უპასა, ვასოს პირველი დარტყმა მცველს მოხვდა, განმეორებითი კი მცირე მანძილით ასცდა კარს.

ერთი სიტყვით, „დინამომ" მასპინძლებს გამოცდილებით აჯობა და ერთი ნაბიჯიც გადადგა ჩემპიონობისაკენ.

თამაშის მსვლელობისას იოჰან ბოსკამპი რაღაც-რაღაცეებს ინიშნავდა უბის წიგნაკში, ბოლოს კი „იბერიაში" მე-2, მე-7 და მე-18 ნომრებით მოთამაშეთა გვარები იკითხა.

ჩანს, ჰოლანდიელს ნიკოლეიშვილის და ტყუპი გიგიაძეების თამაში მოეწონა.

**თბილისის ბოულინგ-ცენტრი**

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

**გაძლევთ შანსს:**

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

ივარჯიშოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით,
220 ქულაზე — 200 ლარით, 230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ
პროფესიონალი მოთამაშე

# ასე არ შეიძლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდი
1 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 1:4 სიონი**

0:1 მოსეშვილი (38), 0:2 გაგუა (41), 0:3 გოგოლაძე (60), 0:4 მოსეშვილი (69), 1:4 ჭედია (88)
**ოდიში:** ნაყოფია, რ. გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, კაკულია, აკობია, იოსავა (ჭედია 72), კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; შელია, ცაცუა
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, ლ. გაგუა (დ. ჯაფარიძე 69), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ხიდაშელი 67), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** მ. სამხარაძე (1), კუტალია (31), აფაქიძე (34), რ. გაბისონია (57)
**გაძევება:** აფაქიძე (41)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**თენგიზ ძოწუა ზუგდიდიდან**

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს სატურნირო ცხრილის ფსკერზე ჩაძირული გუნდები ხვდებოდნენ, ეს მატჩი ტურის ცენტრალურ შეხვედრად იყო მიჩნეული. ამ შეხვედრაში წაგებული გუნდი ფაქტობრივად მეორეჯგუფელი ხდებოდა და ამიტომ დიდი იყო მატჩის ფასი.

მატჩის წინ, როცა ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა ფირუზ რეხვიაშვილმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით აკლდა გუნდს. ყველას გაუკვირდა: ყიფშიძე, ამბიძე, სულთანოვი, ხარებაშვილი, არჩვაძე და ძმები ჩალაძეები — ესენი მაკლიაო, მაგრამ ცხვირჩამოშვებული მაინც არ გამოიყურებოდა, ის კი არა სახეზე ეტყობოდა, „ოდიში“ რის მომგებიაო. ამას სტუმარი ფეხბურთელებიც არ უარყოფდნენ.

მასპინძლები კი... მათ ორად ორი ფეხბურთელი აკლდათ: კობა ტაბალუა და თემურ ლურწკაია.

ამ მატჩის ცენტრალურობა შემთხვევით არ მიხსენებია. თუ მატჩი ცენტრალურია, თუ ამ შეხვედრაში ბევრი რამ წყდება და თუ გვინდა გაუგებრობებისა და ინციდენტების თავიდან აცილება, უბრალოდ გამოცდილი არბიტრის დანიშვნა იყო საჭირო და არა ალექსანდრე კრიჭაშვილისა, რომლის კარიერაშიც დაძაბული შეხვედრების არბიტრობა თითზე დასათვლელია. არა, მსაჯთა ბრიგადის სამართლიანობაში ეჭვის შეტანა არავის უფიქრია, უბრალოდ „შავოსნებმა“ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვეს, სადავეები ხელიდან გაუშვეს და პირველი ტაიმის ბოლოს მოხდა ის, რაც შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა. „სიონი“ კი მასპინძლებს ალბათ მაინც გადაუვლიდა.

ზუგდიდელებმა პირველივე წუთებიდანვე შეუტიეს და ათი წუთის მანძილზე საჯარიმოს მიაჯაჭვეს მოწინაალმდეგე, მაგრამ რეალური სახიფათო მომენტი მხოლოდ ერთხელ შექმნეს. მაშინაც საჯარიმოში გვერდიდან შესული კუტალია აშკარად მოცელეს და თერთმეტმეტრიანი უნდა დანიშნულიყო, თუმცა არბიტრმა ვერ (თუ არ) შენიშნა და პირველივე წუთებში პენალტს მოერიდა.

ამ მომენტის შემდეგ თამაში გათანაბრდა. უკვე „სიონიც“ შეეჩვია მასპინძელთა საჯარიმოს და რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს, მაგრამ ნაყოფია სასარგებლოდ ირჯებოდა. ერთადერთი საინტერესო რაც ტაიმის შუა წელში მოხდა, ეს ზაზა აფაქიძის მიერ „აკიდებული“ ყვითელი ბარათი იყო, რამაც შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე გავლენა იქონია.

სოსო ჭედიას საყრდენ ნახევარმცველად გამოუცდელი კაკულია ჰყავდა გამწესებული, რომელმაც თავის მოვალეობას, როგორც მთელმა გუნდმა, თავი ვერ გაართვა და პირველი გოლიც სწორედ მის სინდისზეა. მან საჯარიმოს სიახლოვეს უვნებელ სიტუაციაში დაკარგა ბურთი და სტუმარი მოსეშვილი კარისკენ დაიძრა, გზად ორ ფეხბურთელსაც გასცდა, საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და მცველიდან ასხლეტილი ბურთი წინ გამოსულ ნაყოფიას თავზე გადაევლო — 0:1.

სამად-სამი წუთი იყო გასული, როცა შალვა ისიანმა ჯარიმა დაარტყა ბურთი ცოცხალი კედლიდან კვლავ მას მიუვიდა და საჯარიმოში დააბრუნა. ზუგდიდელები თამაშგარე მდგომარეობის შექმნას შეეცადნენ და სიონელი გაგუა დატოვეს მარტოდმარტო, მანაც აუღელვებლად გაუტანა ნაყოფიას. თამაშგარე თითქოს აშკარა იყო, მაგრამ... და აირია მონასტერი ზუგდიდელთა ნაწილი თანამსაჯ დოგრაშვილისკენ გაიქცა და მდგომარეობის გარკვევას ეცადა, მის მისაშველებლად კი კრიჭაშვილიც გაეშურა და აქ მოხდა რაც მოხდა: ვინ ვის ურტყამდა და ვინ ვის აშველებდა ვერ გაიგებდი. ყველა ერთად ირეოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. დაშოშმინდნენ, არბიტრიც გაერკვა სიტუაციაში და ზაზა აფაქიძეს წითელი ბარათი აუფრიალა. ამასობაში გულშემატკივართა მხრიდან ქვებიც წამოვიდა. არადა, ქვები ბოლნისელთა სათადარიგო სკამისაკენ მიჰქროდნენ, მაგრამ რატომ? რისთვის?

ეს ინციდენტი 41-ე წუთზე მოხდა, მაგრამ მატჩის განახლებისთანავე მსაჯმა გუნდებს გასახდელისაკენ მიუთითა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა უცნაური ცვლილება შენიშნა. ნაცემ კრიჭაშვილს დაეტოვებინა მოედანი და მისი ადგილი ასევე ნაცემ დოგრაშვილს დაეკავებინა. თავის მხრივ დოგრაშვილის ნაცვლად სათადარიგო მსაჯი გამოვიდა.

კაცნაკლული „ოდიში“ კი საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა. უკვე ფაქტობრივად მთელი გუნდი წინ წავიდა და დაცვა გაშიშვლდა. რის გამოც სტუმრებმა ხუთამდე აშკარა საგოლე მომენტი შექმნეს, რომელთგან ორი გაიტანეს.

ისიანმა ჯარიმა მოულოდნელად გაათამაშა და კარის ხაზიდან ისევ წინ გამოსულ ნაყოფიას გოგოლაძემ თავზე გადაუგდო ბურთი. რამდენიმე წუთში კი გაგუამ პირით ხაზთან მიუსწრო ბურთს და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი მარტოდმარტო დარჩენილმა მოსეშვილმა მიწაზე დაუშვებლად ძლიერი დარტყმით ანგარიში კატასტროფული გახადა.

უნდა ითქვას, რომ მატჩის მეორე ნახევარიც დოგრაშვილმა აშკარად სუსტად იმსაჯა. როცა მასპინძელთა მცველი რომან გაბისონია ყვითელი ბარათით „დააჯილდოვა“, აშკარად წითელი უნდა ეჩვენებინა, რადგან მეკარესთან პირისპირ გასული მოსეშვილი ზედ საჯარიმოს ხაზთან უკნიდან მოცელა.

მატჩის ბოლოს გატანილი ზუგდიდელთა ერთადერთი გოლი კი უფრო სტუმართა დამსახურება გახლდათ. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, „სიონის“ მცველები ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში თავიანთ საჯარიმოში აშკარად უშვებდნენ მასპინძლებს, ეტყობა გულის სიღრმეში მათაც ეშინოდათ, მაგრამ გოლის გამტანი მაინც არავინ იყო. ერთ-ერთი ასეთი გაშვებისას ზვიად ჭედიამ ერთ ადგილზე გაჩერებულ მცველებს შემოურბინა და ზუგდიდელთა ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო გოლი გაიტანა.

ასე რა არ შეიძლებაო? — იკითხავს მავანი. არც მსაჯების დანიშვნა, არც მსაჯობა, არც თამაში, არც სტუმრებთან მოქცევა, არც...

ქუთაისი
1 მაისი
18 საათი
გივი კილაძე
2 500 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:0 დილა**

1:0, 2:0 მეგრელაძე (4, 75), დ. ჯანაშია (81)
**ტორპედო:** ჭანტურია (სტურუა 81), ახვლედიანი (მაზანიშვილი 75), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ვაჩიბერაძე (იმედაძე 59)
*სათადარიგონი:* კ. მეტრეველი, კ. ჯანაშია
**დილა:** სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, გუდურაშვილი (მ.მინდიაშვილი 69), აკოფიანი, გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, ლომიძე, ხიხალაშვილი, ლ. გოჩაშვილი (სულთანიშვილი 75)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; რ. ახალკაცი
**გაფრთხილება:** გუდურაშვილი (7)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); თ. ხუჭუა (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

# ვენდეტა ქუთაისურად

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

გორელი ხვიჩა გაგნიძე (მარცხნივ) დუბლის გამტან ტორპედოელ გია მეგრელაძეს ბურთს არ ანებებს

ეს გუნდები ცვალებადი წარმატებით ქიშპობენ. ლამის წესად იქცეს, იმარჯვებს ის, ვინც შინ თამაშობს. დიახ, სეზონი ისე არ გაივლის ბევრის სისხლის გამშრობმა, მაგრამ გასაკვირად უპრეტენზიო „დილამ“ პრეტენზიულ და გაცილებით ავტორიტეტიან „ტორპედოს“ სარმა არ გამოსდოს. შორს წასვლა რომ არ დაგვჭირდეს, ბოლო ფაქტს გაგახსენებთ. მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში იყო ქართლელებმა დაუმარცხებელ ლიდერ იმერლებს, მიუხედავად იმისა, რომ თამაშით ვერ აჯობეს, სამი უპასუხო ბურთი მაინც გაუტანეს. ჰოდა, იმერლებიც მზად იყვნენ სარევანშოდ, ოღონდ...

რევანში რევანშად, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, „ტორპედო“ ის არ არის, არიფს შეხვდეს და დაუნდობლად გაუსწორდეს. სუსტის დაჩაგვრა, აბა, რა ვაჟკაცობაა, თორემ ტორპედოელები ნახევარწლისწინანდელ 0:3-ს მეტოქეს ერთი ორად და უფრო მეტადაც სულ თავისუფლად აზღვევინებდნენ.

უსუსური იყო შაბათ საღამოს „დილა“. იმდენად უსუსური, რომ ორ ტაიმში ხეირიანად მხოლოდ ერთხელ შეუტია მასპინძლებს. 52-ე წუთზე ქუთაისელთა საჭარიმოში ციცქიშვილის ჩაწოდებულზე გასულ ხიხალაშვილს გაუცუდდა თავური. მართალია, „ტორპედოს“ კარს 83-ე წუთზეც შეექნა საფრთხე, მაგრამ ამაში „დამსახურება“ თავად მასპინძლებს უფრო მიუძღვოდათ. მოგერიებისას შეყრილაძემ მოულოდნელად საკუთარ მეკარეს დაურტყა თავური „უსაქმური“ ჭანტურიას ნაცვლად ორი წუთით ადრე შესული სტურუა დიდი გაჭირვებით კარის დაბალ კუთხეში მიწვდა ბურთს და კუთხურზე გადააგდო. სულ ეს იყო, დანარჩენად თამაში, ფაქტობრივად, სტუმართა ნახევარზე მიდიოდა.

ანგარიში მალე გაიხსნა. შეყრილაძემ მოედნის სიღრმიდან წამოილო ბურთი, ორ კოლეგა მცველსაც მარდად დაუსხლტდა და უფრო წინ ვაჩიბერაძეს უპასა, ამან ოდნავ მარჯვნივ კვეტენაძეს გაატანა ბურთი, კახამაც თითქმის კარის ხაზამდე ჩააღწია და იქედან ჩააწოდა. გორელებს სამეკარეოში მეგრელაძე ჰყავდათ ყურადღების გარეშე მიტოვებული და გიამაც იყოჩაღა, თავურით ხარიხის ქვემოთ დაარტყა.

გატანილმა მასპინძლები, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა. ზოგს ეჭვიც კი გაუჩნდა, „ტორპედომ“ ნახევარი ძალით იწყო თამაშიო. არადა, საკმარისი იყო ტემპის ოდნავ მომატება, რომ „დილას“ დაცვა დიდი პრობლემების წინაშე დგებოდა. მოყოლებულ 20 წუთში კვეტენაძის აქტიურობით სტუმართა კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, თუმცა მათი გამოყენება არ მოხერხდა. ამის შემდეგაც ტორპედოელები დროგამოშვებით თუ ინდომებდნენ, მაგრამ შესვენებამდე სამი საგოლე მომენტი მაინც „გააჩალიჩეს“. 32-ე წუთზე ახვლედიანმა მარჯვნიდან ჩვეულად კარგად ჩააწოდა კარის გასწვრივ, მეგრელაძემ თავური შეაგება და ააცილა. რვა წუთის შემდეგ ჩხეტიანმა ცაციათი ძლიერად და სახიფათოდ დაარტყა საჯარიმო, თუმც ოდნავ არაზუსტად. ტაიმის მიწურულს მეგრელაძემ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ჯანაშია, აქ კი სოლოლაშვილმა ივარგა, ერთობ ძნელი ბურთი მოიგერია.

შესვენების შემდეგ „ტორპედომ“ უფრო ხალისიანად შეუტია და „დილას“ კარსაც წამდაუწუმ საფრთხე ემუქრებოდა. უამრავი ეპიზოდიდან რამოდენიმეს გამოვყოფთ. 47-ე წუთზე მეგრელაძემ ერთხელაც ვერ გამოიყენა ახვლედიანის კარგი გადაცემა. 55-ეზე ჩხეტიანმა საჯარიმოს გარედან ძელს გაარტყა, გადმოვარდნილს მეგრელაძემ მიუსწრო და... ხარიხას მოახვედრა. მერე გორელთა მეკარემ ჩხეტიანს აულო ცხრიანში გაგზავნილი.

სულ მალე მეგრელაძემ, როგორც იქნა, თავისი მეორეც გაიტანა, გიას ჯანაშიამ უპასა ზუსტად. ამას შეცვლაზე შემოსული იმედაძის დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ტორპედოელმა ექვსიოდე მეტრიდან მეკარეს ვერ ააცილა.

ანგარიში დავით ჯანაშიამ გაასამა იმედაძესთან გათამაშებული „კედელის“ შემდეგ. სულ ბოლოს ორი ტორპედოელი დარჩა სოლოლაშვილთან პირისპირ, მაზანიშვილმა ქუსლით უკან დაუგდო მეგრელაძეს, რომელიც ამ პასს არ მოელოდა და „ჰეთ-თრიქის“ შესრულების ეს შანსიც გაუშვა ხელიდან.

ლანჩხუთი
1 მაისი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 0:2 არსენალი**

0:1 ტარიელაშვილი (19), 0:2 ზირაქიშვილი (38)
**გურია:** ნიკურაძე, მაჩიტიძე, ფირცხალაიშვილი, შ. მახარაძე, კ. სვანიძე, ჭიაბრიშვილი, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე (სულაქველიძე 46), ძოძუაშვილი, ბერძენიშვილი
*სათადარიგონი:* რ. ჩხაიძე; გულორდავა, თ. ჩხაიძე, ენუქიძე
**არსენალი:** კუპატაძე, ცოტაძე, აბაზაძე, ვ. გაგუა, ყოლბაია, მ. მაისურაძე (კოხრეიძე 78), ზირაქიშვილი, ხოსროშვილი, ამირიძე, ა. კაკაშვილი (ყუფარაძე 85), ტარიელაშვილი (თვალაბეიშვილი 86)
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; გ. სულაძე
**გაფრთხილება:** ბერძენიშვილი (30), ხოსროშვილი (60)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

# უცნაური და საეჭვო

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

სამწუხაროდ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში ეს ჩვეული ამბავია — უყურებ თამაშს და მერე წერის ხალისი სულ გეკარგება კაცს. ასე იყო შაბათს ლანჩხუთში, სადაც არმიელთა უცნაური სტუმრობა ვიხილეთ. უცნაური რატომ? ამაზე ქვემოთ.

„გურიას" გასაჭირზე ბევრი თქმულა. ისიც იცით, რომ გურულები ქვედა ჯგუფის საგზურის ოფიციალურ გაფორმებასღა ელიან და ასეთი უიმედო პერსპექტივით აბა ვის შერჩენია თამაშის ხალისი. რაც დრო გადის, მათ სულ უფრო ეკარგებათ ბურთაობის სურვილი და მოედანზე ოდენ მოვალეობის მოხდის მიზნით გადიან. არადა, ამ ბიჭებს მომავალი კიდევ წინ აქვთ. კი ბატონო, „გურია" გავარდება, მაგრამ მათ ხომ უნდა შეინარჩუნონ სასურველი ფორმა. უფრო მეტიც, უნდა დაამტკიცონ, რომ მოვა დრო, როცა დროებით განათხოვრებულებს თავიანთ კლუბებში უხმობენ და რჩეულთა შორის თამაშსაც ანდობენ. საქმისადმი ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომით კი, აბა, რა ხეირს ნახავ.

„არსენალისთვის" გურულთა ძლევას ერთი დატვირთვა ჰქონდა. ამით ისინი საბოლოოდ გადაწყვეტდნენ ლიგაში დარჩენის საკითხს. ოღონდ საკვირველი ის იყო, არმიელებს მოსაგებად თავი დიდად რომ არ მოუკლავთ. თანაც ნამეტნავად არც მასპინძლები გასძალიანებიან.

ამ უფერულ, არაფრისმეტყველ მატჩში თავიდან გატანა და „ასიანთა კლუბთან" მიახლოება დათო მახარაძეს შეეძლო. მან სამი მცველი ისე იოლად ჩამოიცილა, საკვირველი იყო. აი, დარტყმა კი დაუყოვნდა და მომენტიც დაიკარგა. იქვე ზირაქიშვილმა მცველები თამაშგარეს კეთების მცდელობაში დაიჭირა და ნიკურაძეს დაუპირისპირდა, რომელიც მოატყუა კიდეც, მაგრამ ბურთს ცარიელი კარის ხაზზე შოთა მახარაძე გადაეღობა.

გურულები ამის შემდეგაც ხელოვნურ ოფსაიდებს მიმართავდნენ და ხშირად სცოდავდნენ კიდეც. ორივე გოლი ასეთ შეცდომებს მოჰყვა. პირველად ტარიელაშვილი შეატოვეს მეკარეს და ამანაც წინ გამოსულ ნიკურაძეს იოლად გაუტანა. ეს მე-19 წუთზე მოხდა. გავიდა ერთი ამდენიც და ამჯერად სწრაფმა ზირაქიშვილმა გააბითურა უკანა ხაზი და მეორე შედეგიანი გასროლა გამოუვიდა.

უცნაურობა კი, ამის შემდეგ გვენიშნა. ეს განსაკუთრებით სტუმართა ქმედებაზე ითქმის. მათ იმდენი მომენტი შექმნეს, ბარე მთელ ტურს ეყოფოდა. თუმცა რად გინდა. აშკარა იყო არმიელები მეტის გატანას არც აპირებდნენ და 7-8 ისეთი მომენტი გააცუდეს, ბევრი დააეჭვეს — ემანდ, სპექტაკლი ხომ არ არისო. არა, რიგ შემთხვევაში ნიკურაძე კი იდგა მედგრად, მაგრამ დანარჩენში აშკარა იყო სტუმართა დაუდევრობა.

გურულთაგან გატანას, რა თქმა უნდა, კვლავ დათო მახარაძე ლამობდა. მთელი გუნდიც მასზე თამაშობდა. დიდად არც სტუმართა მცველები ფხიზლობდნენ და დათოსაც საკმაო შანსი ჰქონდა ამ სეზონის მე-15, ხოლო ეროვნული ჩემპიონატების 96-ე გოლი გაეტანა. ოღონდ უიღბლობას ვერაფერი მოუხერხა, თანაც კუპატაძემ ივარგა და ცოცხალი თავით გოლი არ გაუშვა.

მაჩანჩალა „გურიასთვის" ეს მარცხი, ზედიზედ მეხუთე საშინაო გამოდგა. ეს გარკვეულწილად მოსალოდნელი კი იყო, ოღონდ ეგ არის, რომ უცნაური დაპირისპირება იხილა მაყურებელმა. უცნაური და ამავე დროს საეჭვო.

# ან ახ[illegible] ან [illegible] არასდროს?

— უბოროტო ბიჭები არიან, ერთმანეთისადმი საოცრად კეთილგანწყობილი, ძმური ურთიერთობა აქვთ — ასე ახასიათებს ვახტანგ კოპალეიშვილი 18-წლამდელებს.

— მისგან მამაშვილურ დამოკიდებულებას ვგრძნობთ, გვწამს და გვჯერა ვახტანგ მასწავლებლის — ეს მისი შეგირდების სიტყვებია.

ცოტაც და 11 მაისიც მოვა. დღე, როდესაც საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ბათუმში ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ, საპასუხო მატჩში ჩეხეთის გუნდს დაუხვდება. თუ მოვიგებთ, ქართველთათვის შვედეთის გზა ხსნილია. პირველ მატჩში, ოპავაში, 21 აპრილს, ქართველი 18-წლამდელები მასპინძელ თანატოლებს სტანდარდელი ლაშა ჯაკობიას წყვილი გოლით 2:0 უგებდნენ, მაგრამ ჩეხებმა მაინც შეძლეს მატჩის შემოტრიალება და ორი ბურთიც გაგვიტანეს. ის მატჩი საბოლოოდ ფრედ — 2:2 დასრულდა. 11 მაისს კი... ერთადერთი ნათელი წერტილი ქართულ ფეხბურთში სწორედ „კოპალას ბიჭები" არიან, მათ ძალუძთ იმ შედეგის გამეორება, რაც ქართველმა 16-წლამდელებმა 1997 წელს მოახერხეს. მაშინ, პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, საქართველოს ნაკრებმა რევაზ გაგუას თავკაცობით ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი დააჭაწნიკა.

გუშინ ქართველმა 18-წლამდელებმა ეროვნულ სტადიონზე საკონტროლო მატჩი გამართეს. მათი მეტოქე კვლავ თბილისური „ლოკომოტივი" იყო. კვლავო იმიტომ, რომ ნაკრები ჩეხეთში გამგზავრებამდე სწორედ „ლოკომოტივს" გაეჯიბრა და ფრედ 1:1 ეთამაშა. გუშინ კი „კოპალას ბიჭები" 1:2 დამარცხდნენ, თუმცა ამ მატჩში ნაკრების ძირითად ბირთვს — ჯაკობიას, გაგუას, ხიზანიშვილს, გიორგი მიქაძეს და გველესიანს არ უთამაშიათ. როგორც მწვრთნელმა თქვა, ბიჭები ოდნავ გადაღლილები ეჩვენა და მათი დასვენება გადაწყვიტა. სამაგიეროდ, ახალბედებს თავის გამოჩენის შესაძლებლობა მისცა.

„ლოკომოტივთან" მატჩისას ნაკრებმა მომენტებიც საკმაოზე მეტად შექმნა, მაგრამ დაცვაშიც არ ჰქონია მშვიდად ყოფნის უფლება. თემურ მახარაძის „ლოკომოტივმა" იმდენი ხელოვნური თამაშგარე გაუკეთა ნაკრებს და იმდენი მომენტები შეუქმნა, რომ ბარე ორ თამაშს ეყოფოდა. ეტყობა, ესეც წინასწარი ჩანაფიქრი იყო.

— დაცვაში ჩაჯდომას არ ვაპირებთ, თავიდანვე ჩვენ ტაქტიკას შევთავაზებთ ჩეხებს. ვნახოთ, აქედან რა გამოვა. ძალიან მეიმედება ტორპედოელი იმედაძის — ეს კოპალეიშვილის სიტყვებია.

მწვრთნელი იმედიანადაა, მაგრამ შეფიქრიანებულიც ჩანდა — „ლოკომოტივთან" დამარცხება არ მინდოდა. მით უმეტეს, წასაგები თამაში არ იყო. ფსიქოლოგიური განწყობისთვის ასე აჯობებდა. ამ თამაშში ფრე, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა. თანაც ბიჭები რაღაც გადაღლილები მეჩვენნენ, ფიზიკური კონდიციებითაც საშუალო დონეზე გამოიყურებოდნენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩეხებთან რამეს დავთმობთ, სტუმრებს მოედანზე ნამდვილ ომს გავუჩაღებთ.

ასეა, გვეყო ამდენი წაგება, საშვილიშვილოდ თავის შერცხვენა. 11 მაისს ქართველობა ერთ მუშტად უნდა შევიკრათ, ქართულმა ფეხბურთმა ახლა უნდა გაიმარჯვოს.

„ლოკომოტივთან" ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასეთი გახლდათ:
ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, რომანაძე, მენთეშაშვილი, დევიძე, აბრამიძე, დილმელაშვილი, ინწკირველი, დოლიძე, კორღალიძე, იმედაძე
შეცვლებზე შევიდნენ: ბურდული, ნოზაძე, ჯ. მუჯირი, საჯაია, აფხაზავა, ჯაფარიძე

ნაკრებიდან თავი ლევან კორღალიძემ გამოიჩინა, „ლოკომოტივიდან" კი ბურთები დავით მუჯირმა და ჰამლეტ წივწივაძემ გაიტანეს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# კროსვორდის მოყვარულთათვის

ბათუმი
1 მაისი
18 საათი
დინამო
3 000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:1 გორდა**

1:0 რუსია (11), 1:1 ალადაშვილი (42)
**ბათუმი:** ტოგონიძე, გუჯაბიძე, პაპიძე, მ. მახარაძე, სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი (აფხაზავა 58), კანტიძე (თორღაშვილი 79), მინდაძე, გადელია, რუსია (რომანაძე 83)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; მაქაცარია, ყულეჯიშვილი
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე, კ. ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი (პ. მესხი 82), პატარიძე (ლაბაძე), ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; ტარტარაშვილი, რ. მახარაძე, ბაბუნაშვილი
**გაფრთხილება:** ბექაური (38)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**კონსტანტინე გოგიშვილი ბათუმიდან**



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

„გორდას" მცველებმა და მეკარე გრიგოლ ბედიაშვილმა ბათუმელებს გამარჯვების გოლი არ გაატანინეს

რუსულად რომ იწერებოდეს „სარბიელში", ავდგებოდით და ამ შეხვედრის სათაურად „გორდა" გორდა"-ს მივაწერდი. მე შენ გეტყვი, აზრი არ იქნებოდა სათაურში თუ სიტყვების თამაში. ვინც ვერაფერს მიხვდა, იმათ გასაგონად იაფფასიანი ქართული გაზეთების უფრო იაფფასიან გასართობ-ტვინსაბურღი — კროსვორდების სტილს მოვიშველიებ. „გორდა" გორდა" (რუსულთან კავშირში) — ახლა ხომ მიხვდით? „გორდა" ამაყად". დიახაც რომ ამაყად და სრული სვლით დასტოვეს რუსთაველებმა ბათუმ-ქალაქი — ხუმრობაა? დიდი ანგარიშით წაგებას „გეგმავდნენ" და.. ფრე კი გააგორეს, თანაც ღირსეული ფრე.

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი სამი ათასამდე მაყურებელიც, რუსთაველი ფეხბურთელებისა არ იყოს, საკუთარი გუნდის აუცილებელ და იოლ გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ არ მოხდა ასე. ყველანაირ უპირატესობას ფლობდნენ ზღვისპირელები — სათამაშოს, ტექნიკურს, ტერიტორიულს, საკუთარი კედლებისას, მაგრამ ეს ყოველი გოლებში უპირატესობად ვერ გარდასახეს და ორი ქულაც მიახუთშაბათეს.

არ მოინდომესო, ვერ იტყვი გუნდებზე, „ბათუმმა" შეტევა მოინდომა, „გორდამ" თავდაცვა, ამ უკანასკნელის თავგამოდება უფრო ეფექტური აღმოჩნდა და რუსიას მიერ შეხვედრის დასაწყისში გატანილი ბურთი რომ გამოვრიცხოთ, „გორდას" კარს რეალური საგოლე საფრთხე აღარც დამუქრებია. კი იყო სახიფათო დარტყმები რუსიას, ღლონტის, გადელიას შესრულებით, მაგრამ ასპროცენტიანი არცერთი და ამგვარი, ისე რა მომენტები რუსთაველ სიდამონიძესა და ჩიგოშვილსაც გაუცუდდათ.

შეხვედრის ბოლოსთვის მაყურებელიც მიხვდა, რომ შაბათს „ბათუმი" მომგები არ იყო და ტრიბუნებიც მიყუჩდა. დრო ილეოდა, სამაგიეროდ რუსთაველთა იმედი იზრდებოდა და ბოლო ათი წუთი მათ აშკარად დროის გაყვანას მოანდომეს, არადა, უფრო ანგარიშიანი და მოგებაზე დაგეშილი გუნდი, ბურთს წარამარა აუტში კი არ მოიგერიებდა, აჭრილი აჭარლების შიშველი ზურგის გარღვევას მოინდომებდა და გოლსაც აუცილებლად გაიტანდა. თუმცა, ეტყობა, რუსთაველებს ლაშა ალადაშვილის შემთხვევითი გოლკინკილაც ეყოთ და ამიტომ აღარ გამოიდეს თავი.

შემთხვევითი კი იმიტომ იყო ალადაშვილის თავური, რომ ვერავინ შემლო მოეაზრა, მაინც რატომ და რატომ აღმოჩნდა ბადეში, ფეხბურთელის კეფიდან ასხლეტილი ბურთი. იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ლაშას გოლი, რომ თითქმის ყველამ — სტადიონის დიქტორმა, ჟურნალისტ-ფოტორეპორტიორებმა ზირაქაძეს ჩაუთვალეს და ალბათ „სარბიელის" მკითხველსაც შეცდომაში შევიყვანდი, ჩემი ყურით რომ არ მომესმინა რუსთაველთა მწვრთნელის იასონ ალადაშვილის საუბარი თავის უფროს ვაჟ — ვიტჯორჯიელ კახა ალადაშვილთან — „ფრედ მოვრჩით და გოლი ლაშამ გაუტანაო". მართალია, იასონ ალადაშვილი ყველა გორდელის მყვარებელია, მაგრამ მამობით მხოლოდ ერთის, ლაშა ალადაშვილის მამობაზე თუ დადებს თავს და საკუთარი ვაჟი სხვისაში ნაღდად არ აერეოდა.

1:1 — ასე მორჩა მატჩი. მსაჯის სასტვენთან ერთად ბათუმის სტადიონი ზღვაურს და სიჩუმეს მინებდა. ამ ფრეთი „ბათუმი" ევროპას და „გორდა" „ოდიშ"-„გურიას" საძმოს დაშორდა. ველოდით, არ ველოდით, ფაქტია — რუსთაველებმა დაუგეგმავი ქულა აიღეს.

კროსვორდის მოყვარულებს კი ერთ ტვინსაბურღსაც შევთავაზებთ — იმ დღეს ბათუმელთა სათადარიგო სკამი თეთრად ქათქათებდა, იმიტომ რომ იქ ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით არ იჯდა... ნიგერიასთან კავშირში. მიხვდით?

# ქართველებს ბევრი გვაქვს მოსაგონარი

## ინგლისი

### XXXVI ტური

**ნიუკასლი 1:1 მიდლსბრო**
0:1 მასტო (60), 1:1 შირერი (64პ)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, ბეჰაროლი, დაბიზასი, დომი, ლი, ჰამანი, სპიდი, მარიჩი (სოლანო 45), ფერგიუსონი (ძეცბაია 63), შირერი
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, პალისტერი, ვიკერსი, გევინი, სტოკდეილი, სამერბელი, თაუნსენდი, მასტო, რიკარდი (არმსტრონგი 38), დინი
გაფრთხილება: სპიდი, მასტო, თაუნსენდი
მსაჯი: რიდი

**საუთჰემპტონი 2:1 ლესტერი**
0:1 მარშალი (17), 1:1 მერსდენი (36), 2:1 ბიტი (74)
საუთჰემპტონი: მოსი, ჰილი (ლუნდეკვამი 23), ბენალი, მერსდენი, მონკუ, დოდი, ლე ტისიე (დ. ჰიუზი 52), კჟელოული, მ. ჰიუზი, ბიტი, პახარსი (ოსტენსტადი 70)
ლესტერი: კელერი, იმპეი, კამარკი (უოლში 81), ელიოტი, სინკლერი, სევიჯი, ლენონი, მარშალი, ჰესკი, კოტი (მილერი 64), გაპი
გაფრთხილება: ოსტენსტადი, ლენონი, ელიოტი
მსაჯი: ელკოკი

**ვესტ ჰემი 1:5 ლიდსი**
0:1 ჰასელბაინკი (1), 0:2 სმიტი (45), 1:2 დი კანიო (48), 1:3 ჰარტი (62), 1:4 ბოუიერი (78), 1:5 ჰაალანდი (79)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ლომასი, ფოე, რადოკი, მინტო, სინკლერი (კოული 69), ლამპარდი, ბერკოვიჩი, მონკური, დი კანიო (კოინი 83), რაიტი
ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბოუიერი, ბეტი, მაკფეილი, სმიტი (რიბეირო 87), ჰასელბაინკი (უაინჰარდი 83), კიუელი
გაფრთხილება: მონკური, რაიტი, ფოე, რადოკი, მინტო, სმიტი, ბეტი, უაინჰარდი
გაძევება: რაიტი (16), ჰისლოპი (61), ლომასი (87)
მსაჯი: ჰარისი

**მანჩესტერი 2:1 ასტონ ვილა**
1:0 უოტსონი (20 ს.კ.), 1:1 ჯოაკიმი (33), 2:1 ბექემი (46)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, მეი (ბრაუნი 79), იონსენი, ირვინი, ბექემი, სქოულზი, ბათი, ბლომკვისტი (ფ. ნევილი 63), იორკი, შერინგემი
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი, საუთგეიტი, კალდერვუდი, რაიტი, სტოუნი, დრეპერი (ტომპსონი 67), ტეილორი, მერსონი, ჯოაკიმი, დაბლინი (ვესელი 75)
გაფრთხილება: ტეილორი
მსაჯი: ბერგი

**ლივერპული 3:2 ტოტენჰემი**
0:1 კარაგერი (13 ს.კ.), 0:2 ივერსენი (35), 1:2 რედნაპი (49პ), 2:2 ინსი (77), 3:2 მაკმანამანი (79)
ლივერპული: ფრიდელი, კვარმე (ჟერარდი 45), კარაგერი, სტონტონი, მატეო, ტომპსონი (ბიორნებიუ 88), რედნაპი, ინსი, ლეონარდსენი (სონგი 75), რიდლე, მაკმანამანი
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, კლემენსი (კინგი 45), ტარიკო, დომინგესი (ფოქსი 81), ფროინდი (შერვუდი 67), ნილსენი, ანდერტონი, ივერსენი, არმსტრონგი
გაფრთხილება: რიდლე, არმსტრონგი, ტარიკო, ფროინდი, უოქერი
გაძევება: ტარიკო (44)
მსაჯი: ლოჯი

**არსენალი 1:0 დერბი**
1:0 ანელკა (14)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (ჰიუზი 76), კანუ (ბერხკამპი 62), ანელკა (დიავარა 78)
დერბი: პოომი, კარბონარი, ლაურსენი, ბოჰინენი (მიურეი 68), პაუელი, ბარტონი (ჰარპერი 13, რობინსონი 78), ერანიო, დელაპი, ბეკი, ვანჩოპე, პრაიორი
გაფრთხილება: დელაპი, კარბონარი, მიურეი, ვანჩოპე
მსაჯი: ბერი

**ნოტინგემი 2:0 შეფილდ უენსდეი**
1:0 პორფირიო (14), 2:0 როჯერსი (16)
ნოტინგემი: კროსლი, ლუი-ჟანი, დაფი, ჩეტლი (ედვარდსი 33), ბონალაირი, პორფირიო (ვან ჰოიდონკი 65), პალმერი, ბარტ-უილიამსი, როჯერსი, ფრიდმენი, ჰერვუდი (დარშევილი 88)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, უოქერი, ტომი (კობიანი 32), სტეფანოვიჩი, ალექსანდერსონი (კრესველი 72), იონკი, სონერი, რუდი (მაკკივერი 32), ბუსი, კარბონე
მსაჯი: ვინტერი

**ქოვენთრი 2:1 უიმბლდონი**
1:0 ჰაკერბი (16), 2:0 ვილანი (29), 2:1 ჰართსონი (74)
ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორსი, ბაროუზი (ჰოლი 45), შოუ, ბრინი, ტელფერი, სოლტვედტი, მაკალისტერი, ბოტენგი, ჰაკერბი, ვილანი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, ბლექველი, თეთჩერი, ჯაპი, კენედი, იუელი, ერლი, ჰიუზი (ლიბერნი 54), გეილი, ჰართსონი
გაფრთხილება: ვილანი, თეთჩერი, ჯაპი
მსაჯი: პოლი

**ჩარლტონი 0:0 ბლექბერნი**
ჩარლტონი: როისი (პეტერსონი 45), მილსი, პაუელი, რედფირნი, რუფუსი, კინსელა, ჰანტი (ჯონსი 69), რობინსონი (ბარნსი 74), ტილერი, პრინგლი, სტიუარტი
ბლექბერნი: ფილანი, დევიდსონი, პიკოკი, ენჩოსი, გალაჰერი (დაფი 74), უილკოქსი, კერსლი, კროფტი, გილესპი, უორდი, მაკატირი
გაფრთხილება: პრინგლი, რედფირნი, მილსი, კერსლი, უორდი, უილკოქსი, დევიდსონი
მსაჯი: უილარდი

**ჩელსი 3:1 ევერტონი**
1:0 ძოლა (25), 2:0 პეტრესკუ (60), 2:1 ჯეფერსი (69), 3:1 ძოლა (81)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი (ლამბურდი 71), ლე სო, პეტრესკუ (გოლდბეკი 60), უაიზი, ჰოიეტი, მორისი (ბაბაიარო 82), ძოლა, ფორსელი
ევერტონი: მირე, შორტი, დანი (დენი 46), ანსუორსი, უეირი, ბარმბი, უორდი (კადამარტერი 71), ჰაჩისონი, ბოლი, კემპბელი, ჯეფერსი
გაფრთხილება: უორდი, შორტი
მსაჯი: გალაჰერი

— იგი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს, წლეულს საგრძნობლად დაიხვეწა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა — ეს სიტყვები ლონდონის „არსენალის“ ფრანგ მენეჯერ არსენ ვენგერს ეკუთვნის. იგი თავის თანამემამულეზე, წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე ნიკოლა ანელკაზე საუბრობს. ანელკა ამას სავსებით იმსახურებს. რომ არა იგი, ახლა პირველ ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ იქნებოდა. „დერბისთან“ საშინაო შეხვედრაში 20 წლის ფრანგის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და თან უმნიშვნელოვანესი — ამ გოლმა „არსენალს“ ლიდერობა შეუნარჩუნა.

— „დერბიმ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, რასაც ველოდი კიდეც. დღევანდელი სამი ქულის მოსაპოვებლად ბევრი ოფლისღვრა დაგვჭირდა, თუმცა მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ. ჩემპიონატი იმ ფაზაში შევიდა, როდესაც შედეგი განსაკუთრებით ფასობს — თქვა ვენგერმა ანელკას ქება-დიდების შემდეგ.

მართალია ფრანგი სპეციალისტი, როდესაც ამბობს, მთავარი შედეგიაო, მაგრამ მისმა გუნდმა კვირას საჩემპიონოდ ნაღდად ვერ ითამაშა. ალბათ იმიტომ, რომ „დერბი“ გამოიყურებოდა მეტად აგრესიულად, მას შურისძიების წყურვილი კლავდა — მიმდინარე სეზონში ეს გუნდი ლიგის თასზეც შეხვდა ჩემპიონს, ასოციაციის თასზეც და ორჯერვე მშრალზე დარჩა.

მატჩში კიდევ ერთი გოლი გავიდა. მისი ავტორი კოსტარიკელი ფორვარდი პაოლო ვანჩოპე გახლდათ, მაგრამ მსაჯმა ხელით თამაში დააფიქსირა და გოლი გააუქმა. ეს 79-ე წუთზე მოხდა. მანამდეც და ამის შემდეგაც ინგლისის ნაკრების მეკარე დევიდ სიმენის კართან ბევრი ხიფათი შეიქმნა, მაგრამ სიმენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელები ტყუილად არ ენდობიან.

მსაჯის საფინალო სასტვენმა ლიდერი შეცვალა, ერთი დღე-ღამის განმავლობაში ცხრილის პირველ საფეხურზე მყოფი „მანჩესტერი“ მეორეზე ჩაჩოჩდა. თავის მხრივ ძალიან რთული მატჩი გამართა ერთდღიანმა ლიდერმა შაბათს, „ოლდ ტრეფორდზე“, აშკარად მოყიჩალებულ ექსპირველ „ასტონ ვილასთან“. ბირმინგემელები ძველ ფორმას იბრუნებენ, ეს ნათლად გამოჩნდა



მანჩესტერი — ასტონ ვილა 2:1 მასპინძელი დუაიტ იორკი სტივ სტოუნს (მარჯვნივ) გაურბის

REUTERS მანჩესტერიდან

„მანჩესტერთან“ შეხვედრაში.

სტივ უოტსონის საკუთარ კარში შეგდებულმა ბურთმა „ასტონ ვილა“ არ დააბნია, პირიქით, „გააბრაზა“ კიდეც, რასაც ჯულიან ჯოაკიმის გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა. თუმცა დაიწყო მეორე ტაიმი და წინ კვლავ მასპინძლები გაიჭრნენ — ბირმინგემელთა საჯარიმოსთან ჯარიმა დაინიშნა, დევიდ ბექემმა დაახლოებით კარიდან 25 მეტრის მოშორებით დადო ბურთი და ბრწყინვალე, სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. მატჩი ასეც დასრულდა. არადა, ანგარიში შეიძლებოდა უფრო დიდი ყოფილიყო — დენის ირვინის პენალტიდან დარტყმული ბურთი მაიკლ ოუქსმა მოიგერია.

— კარგად დავიწყეთ. ჯოაკიმის გოლის შემდეგ ნახევარი საათიც მაღალ დონეზე ვითამაშეთ და ეს საკმარისი აღმოჩნდა სამი ქულის მოსაპოვებლად. რაც შეეხება მეტოქეს, „ასტონ ვილას“ ეტყობა, რომ კრიზისს თავი დააღწია, ამაზე შეხვედრის ბოლო წუთებიც მეტყველებს, როცა ნერვიულობისგან პირი გამიშრა — მიმოიხილა ალექს ფერგიუსონმა შეხვედრა და შემდეგ დევიდ ბექემიც „წაახალისა“ — გული მიგრძნობდა, რომ შეაგდებდა, მაგრამ ასეთ სილამაზეს ნამდვილად არ ველოდი. დევიდს ასეთი გოლების გატანის განსაკუთრებული ნიჭი აქვს.

გაიმარჯვა მესამე ლიდერმაც. „ჩელსიმ“ „სტემფორდ ბრიჯზე“ იოლად სძლია ლივერპულის „ევერტონს“. რა თქმა უნდა, მასპინძლებს შორის იტალიელი გამთამაშებელი ჯანფრანკო ძოლა გამოირჩეოდა, რომელიც მარტო მახვილგონიერი პასებით არ შემოფარგლულა და ორჯერ თავად დალაშქრა ერთი კვირის წინ თბილისში ნამყოფი ნორვეგიელის, ტომას მირეს კარი. მიუხედავად გამარჯვებისა, „ჩელსი“ კვლავ უიმედო მდგომარეობაშია. ძნელი წარმოსადგენია, „არსენალმა“ ან „მანჩესტერმა“ ამჟამინდელი უპირატესობა ქარს გაატანოს, „არისტოკრატებს“ გადასწრების და ჩემპიონობის შანსი მისცეს. ასე რომ, სავარაუდოდ, „ჩელსი“ გათამაშებას მესამე ადგილზე დაასრულებს.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა ლონდონში, ქართველებისთვის ტკბილადმოსაგონარ „ეპტონ პარკზე“. საინტერესო ორმხრივ: ჯერ ერთი, დედაქალაქში ჩასულმა, ინგლისში „მომავლის გუნდად“ მონათლულმა „ლიდსმა“ მიმდინარე სეზონში, ალბათ, საუკეთესო მატჩი გამართა და „ვესტ ჰემს“ უფრო დიდი ანგარიშით მოუგო, ვიდრე 18 წლის წინ თბილისის „დინამომ“. მეორეც — ეს შეხვედრა ძალიან უხეში გამოდგა — მსაჯმა 8 ფეხბურთელი გააფრთხილა, ხოლო 3 მინდვრიდან დაითხოვა. სხვათა შორის, სამივე მასპინძელი.

ქართველებისთვის ტკბილადმოსაგონარ სტადიონზე მორიგი გოლი ქართველებისთვის ავადმოსაგონარმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა გაიტანა და ბომბარდირთა ბრძოლაში ლივერპულელ ყმაწვილკაც მაიკლ ოუენს წამოეწია. თანაც ეს ყველაფერი ჰასელბაინკმა პირველივე წუთზე, უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, მე-19 წამზე მოახერხა. რაც შეეხება ბოლო ბურთს, იგი კიდევ ერთმა ქართველთათვის ავადმოსაგონარმა კაცმა (როგორ მომრავლდნენ, არა?) ამჯერად სულ ცინცხალმა, ალფ ინგე ჰაალანდმა შეაგდო.

— შესანიშნავად ვითამაშეთ, არც კი ველოდი, ისე კარგად. მომავალ სეზონში „ლიდსი“ უეფას თასზე იასპარეზებს და ეს ძალიან მახარებს — დევიდ ოლირი, ლიდსელთა თავკაცი კმაყოფილებას ვერ მალავდა. ისე, მის გუნდს ცოტა იღბალიც რომ დაეხმაროს, ანუ „ჩელსის“ რომ ზურგი აქციოს, „ლიდსი“ იქნებ ჩემპიონთა ლიგაშიც გაძვრეს.

**დავით კომზირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | არსენალი | 35 | 20 | 12 | 3 | 55:15 | 40 | 72 | 18 | 13 | 5 | 0 | 33:5 | 28 | 44 | 17 | 7 | 7 | 3 | 22:10 | 12 | 28 |
| 2 | მანჩესტერი | 34 | 20 | 11 | 3 | 75:34 | 41 | 71 | 18 | 13 | 4 | 1 | 43:17 | 26 | 43 | 16 | 7 | 7 | 2 | 32:17 | 15 | 28 |
| 3 | ჩელსი | 35 | 18 | 14 | 3 | 52:27 | 25 | 68 | 17 | 10 | 6 | 1 | 26:12 | 14 | 34 | 18 | 8 | 8 | 2 | 26:15 | 11 | 32 |
| 4 | ლიდსი | 35 | 17 | 12 | 6 | 59:31 | 28 | 63 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:9 | 22 | 38 | 17 | 6 | 7 | 4 | 28:22 | 6 | 23 |
| 5 | ასტონ ვილა | 36 | 15 | 10 | 11 | 48:41 | 7 | 55 | 18 | 10 | 3 | 5 | 30:24 | 6 | 33 | 18 | 5 | 7 | 6 | 18:17 | 1 | 22 |
| 6 | ვესტ ჰემი | 36 | 15 | 9 | 12 | 42:47 | -5 | 54 | 18 | 10 | 3 | 5 | 28:26 | 2 | 33 | 18 | 5 | 6 | 7 | 14:21 | -7 | 21 |
| 7 | მიდლსბრო | 36 | 12 | 15 | 9 | 48:49 | -1 | 51 | 18 | 7 | 9 | 2 | 25:17 | 8 | 30 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:32 | -9 | 21 |
| 8 | ლივერპული | 35 | 14 | 8 | 13 | 63:46 | 17 | 50 | 17 | 8 | 4 | 4 | 36:20 | 16 | 28 | 18 | 5 | 4 | 9 | 24:24 | 0 | 19 |
| 9 | დერბი | 35 | 12 | 12 | 11 | 37:42 | -5 | 48 | 18 | 8 | 6 | 4 | 22:19 | 3 | 30 | 17 | 4 | 6 | 7 | 15:23 | -8 | 18 |
| 10 | ტოტენჰემი | 35 | 11 | 13 | 11 | 43:43 | 0 | 46 | 17 | 7 | 6 | 4 | 25:21 | 4 | 27 | 18 | 4 | 7 | 7 | 18:22 | -4 | 19 |
| 11 | ლესტერი | 35 | 11 | 13 | 11 | 37:43 | -6 | 46 | 18 | 6 | 6 | 5 | 22:23 | -1 | 24 | 18 | 5 | 7 | 6 | 15:20 | -5 | 22 |
| 12 | ნიუკასლი | 36 | 11 | 12 | 13 | 47:51 | -4 | 45 | 18 | 7 | 5 | 6 | 25:24 | 1 | 26 | 18 | 4 | 7 | 7 | 22:27 | -5 | 19 |
| 13 | უიმბლდონი | 36 | 10 | 12 | 14 | 40:58 | -18 | 42 | 18 | 7 | 7 | 4 | 22:19 | 3 | 28 | 18 | 3 | 5 | 10 | 18:39 | -21 | 14 |
| 14 | შეფილდი | 36 | 11 | 7 | 18 | 39:42 | -3 | 40 | 18 | 6 | 5 | 7 | 19:15 | 4 | 23 | 18 | 5 | 2 | 11 | 20:27 | -7 | 17 |
| 15 | ევერტონი | 36 | 10 | 10 | 16 | 36:45 | -9 | 40 | 18 | 5 | 8 | 5 | 16:12 | 4 | 23 | 18 | 5 | 2 | 11 | 20:33 | -13 | 17 |
| 16 | ქოვენთრი | 36 | 11 | 7 | 18 | 37:49 | -12 | 40 | 18 | 8 | 5 | 5 | 24:19 | 5 | 29 | 18 | 3 | 2 | 13 | 13:30 | -17 | 11 |
| 17 | საუთჰემპტონი | 36 | 9 | 8 | 19 | 33:64 | -31 | 35 | 18 | 8 | 4 | 6 | 27:26 | 1 | 28 | 18 | 1 | 4 | 13 | 6:38 | -32 | 7 |
| 18 | ბლექბერნი | 35 | 7 | 12 | 16 | 36:49 | -13 | 33 | 17 | 6 | 4 | 7 | 20:16 | 4 | 22 | 18 | 1 | 8 | 9 | 16:27 | -11 | 11 |
| 19 | ჩარლტონი | 36 | 7 | 12 | 17 | 37:52 | -15 | 33 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:19 | 1 | 19 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:33 | -16 | 14 |
| 20 | ნოტინგემი | 36 | 5 | 9 | 22 | 32:68 | -36 | 24 | 18 | 2 | 7 | 9 | 17:31 | -14 | 13 | 18 | 3 | 2 | 13 | 15:37 | -22 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 17 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 17 |
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 16 |
| ანელკა (არსენალი) | 16 |

### XXXVII ტური

9 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ლიდსი | - | არსენალი (1:3) |
| ბლექბერნი | - | ნოტინგემი (2:2) |
| ასტონ ვილა | - | ჩარლტონი (1:0) |
| დერბი | - | ქოვენთრი (1:1) |
| ლესტერი | - | ნიუკასლი (0:1) |
| ტოტენჰემი | - | ჩელსი (0:2) |
| უიმბლდონი | - | საუთჰემპტონი (1:3) |
| შეფილდი | - | ლივერპული (0:2) |
| ევერტონი | - | ვესტ ჰემი (1:2) |
| მიდლსბრო | - | მანჩესტერი (3:2) |

## I დივიზიონი

### XXXXV ტური

**ბოლტონი 1:1 ვულვზი**
1:0 გარდენერი (36), 1:1 კორიკა (52)

**ბარნსლი 2:2 უოტფორდი**
0:1 ნგონგე (43), 1:1 იდენი (64), 1:2 მუნი (67), 2:2 ტინკლერი (88)

**ბრედფორდი 0:0 ოქსფორდი**

**ქრიუ 3:1 პორტსმუთი**
1:0, 2:0 ლიტლი (21, 30), 3:0 ს. სმიტი (45), 3:1 მაკლაფლინი (49)

**კრ. პალასი 2:2 ჰადერსფილდი**
1:0 მორისონი (9), 1:1 დაისონი (33), 1:2 სტიუარტი (39პ), 2:2 მორისონი (58)

**გრიმსბი 1:0 ტრანმერი**
1:0 კლეირი (34)

**ნორვიჩი 2:1 სვინდონი**
0:1 ონუორა (47პ), 1:1 რობერტსი (63), 2:1 ჰიუზი (90)

**პორტ ვეილი 2:0 ქუინზ პარკი**
1:0 გარდნერი (23), 2:0 გრიფიტსი (67)

**შეფილდ იუნ. 3:1 ბრისტოლი**
1:0 მარსელო (44), 2:0 მორისი (55), 2:1 აკინბიი (61), 3:1 მორისი (63)

**სტოკპორტი 0:1 სანდერლენდი**
0:1 ფილიპსი (55)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბერი**
1:0 დე ფრეიტასი (80)

**ბირმინგემი 1:0 იფსვიჩი**
1:0 ფარლონგი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 45 | 30 | 12 | 3 | 89:27 | 102 |
| ბრედფორდი | 45 | 25 | 9 | 11 | 79:45 | 84 |
| იფსვიჩი | 45 | 25 | 8 | 12 | 65:31 | 83 |
| ბირმინგემი | 45 | 23 | 12 | 10 | 65:35 | 81 |
| უოტფორდი | 45 | 20 | 14 | 11 | 64:56 | 74 |
| ბოლტონი | 45 | 19 | 16 | 10 | 76:59 | 73 |
| ვულვზი | 44 | 19 | 15 | 10 | 62:40 | 72 |
| შეფილდი | 45 | 18 | 13 | 14 | 70:62 | 67 |
| ნორვიჩი | 45 | 15 | 17 | 13 | 62:60 | 62 |
| ჰადერსფილდი | 45 | 15 | 15 | 15 | 62:71 | 60 |
| გრიმსბი | 44 | 17 | 9 | 18 | 40:51 | 60 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 16 | 11 | 18 | 68:73 | 59 |
| კრ. პალასი | 45 | 14 | 16 | 15 | 58:65 | 58 |
| ბარნსლი | 45 | 13 | 17 | 15 | 56:55 | 56 |
| ტრანმერი | 45 | 11 | 20 | 14 | 60:60 | 53 |
| სტოკპორტი | 45 | 12 | 17 | 16 | 49:55 | 53 |
| სვინდონი | 45 | 13 | 11 | 21 | 58:78 | 50 |
| პორტსმუთი | 45 | 11 | 14 | 20 | 57:71 | 47 |
| ქრიუ | 45 | 12 | 11 | 22 | 54:78 | 47 |
| პორტ ვეილი | 45 | 13 | 8 | 24 | 45:74 | 47 |
| ქუინზ პარკი | 45 | 11 | 11 | 23 | 46:61 | 44 |
| ბერი | 45 | 9 | 17 | 19 | 34:60 | 44 |
| ოქსფორდი | 45 | 9 | 14 | 22 | 43:71 | 41 |
| ბრისტოლი | 45 | 8 | 15 | 22 | 56:80 | 39 |

## გერმანია

### XXIX ტური

**ფრაიბურგი 2:0 აინტრახტი**

1:0 ბენ სლიმანი (29), 2:0 კობიაშვილი (48)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, ჰერმელი (შ. მიულერი 53), გიუნეში (პავლინი 86), კობიაშვილი, კოლი, ცქიტიშვილი, ბაია, ვაისჰაუპტი, ბენ სლიმანი (სელიმი 66)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი (ვესტერტალერი 46), ხუბჩევი (იანსენი 64), კუჩერა, შური, ცამპახი, პედერსენი, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ჩენ იანგი (ბონუა 59), ფიორტოფტი
გაფრთხილება: ბინდევალდი, შური
მსაჯი: მერკი

**ბაიერნი 4:2 გლადბახი**

0:1 პოლსტერი (25პ), 1:1 ბასლერი (32), 1:2 პეტერსონი (54), 2:2, 3:2 ციკლერი (68, 69), 4:2 შოლი (84)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ჰელმერი (ლინკე 46), იერემისი (შოლი 66), ფინკი (დრეერი 26), ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, ბასლერი, ციკლერი, იანკერი
მიონხენგლადბახი: ენკე, ებერლი, კლინკერტი (რაიტერი 32), მ. შნაიდერი, ფრონცეკი, სოპიჩი, ჰაუსვაილერი (პფლიპსენი 74), ასანინი, ვიტეჩეკი, პოლსტერი, პეტერსონი
გაფრთხილება: ბასლერი, იანკერი, კანი, სალიჰამიჯიჩი, ტარნატი, ციკლერი, ჰაუსვაილერი, პეტერსონი, რაიტერი
გაძევება: კანი (26), შნაიდერი (83)
მსაჯი: ვაგნერი

**ლევერკუზენი 2:2 ჰერტა**

1:0 რამელო (8), 1:1 ნოვოტნი (25), 2:1 ემერსონი (41), 2:2 ჰერცოგი (52)
ჰაინცემ ვერ გაიტანა პენალტი (45)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი (ჰაპე 61), რეები, ჰაინცე, რამელო, ემერსონი, ნ. კოვაჩი (მაიერი 78), ჰაიდუკი (ლენჰოფი 64), ზე რობერტო, კირსტენი
ჰერტა: კირალი, რეკდალი (შმიდტი 54), ვან ბურიკი, ჰ. ჰერცოგი, სვერისონი, ვაიტი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, ტომი, ვოში (სანე 80), პრეეტცი
გაფრთხილება: ემერსონი, რამელო, პრეეტცი, რეკდალი, ტომი, ვაიტი, ჰერცოგი
გაძევება: ჰერცოგი (74)
მსაჯი: შტრამპე

**ჰამბურგი 2:0 ლაუტერნი**

1:0 იებოა (37), 2:0 კირიაკოვი (49)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი (ფოგელი 60), ფ. ერნსტი, გროთი, ჰოლერბახი, გრამოცისი (დოლი 72), კირიაკოვი, იებოა, დემბინსკი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი (შეფერი 20), სამირი, ვაგნერი, რიდლი, შიონბერგი (ბალაკი 53), რაიხი (რატინიო 46), სფორცა, მარშალი, როსლერი
გაფრთხილება: კირიაკოვი, მარშალი, რაიხი, როსლერი
მსაჯი: ჰაინემანი

**ვოლფსბურგი 3:2 შტუტგარტი**

0:1 კისი (5), 0:2 როსტი (15), 1:2 შრიოდერი (62), 2:2 ბაუმგარტი (63), 3:2 პრეგერი (86)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი (კლეჩეცკი 17), ონილი, ტომსენი, მალტრიცი, დამაიერი (შრიოდერი 51), გრაინერი, აკონორი, პრეგერი, ბაუმგარტი (დებრიცი 89), იუსკოვიაკი
შტუტგარტი: ვოლფარტი, კისი, ენდრესი, ვერლაატი, კარნელი, სოლდო, ტ. როსტი (პინტო 88), ლისტეში, ცაიერი, ბობიჩი (რისტიჩი 77), აკპობორი (ფრომერი 85)
გაჯკრთხილება: ბალვანცი, ბაუმგარტი, გრაინერი, კისი, როსტი, ვოლფარტი
მსაჯი: ფანდელი

**დუისბურგი 3:2 დორტმუნდი**

1:0 შპისი (30), 2:0 ჰირში (40), 3:0 ბაიერლე (42), 3:1 სტევიჩი (45პ), 3:2 ნიეგუსი (79)
დუისბურგი: სტაუჩე, კომლიენოვიჩი, ჰაიტო, ვოლერტი, ოსტჰოფი, ვოლტერსი, ჰირში, ტიოფტინგი (ბუგერა 87), ვედაუ, ბაიერლე (შრამი 90), შპისი (ანდერსენი 82)
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, კ. ბაუმანი (ნერლინგერი 67), სტევიჩი, დედე, ვ. ბუტი (შაპუიზა 46), მიოლერი, სალუ, ჰერლიხი
გაფრთხილება: ჰაიტო, ჰირში, კ. ბაუმანი, კოლერი, მიოლერი, სალუ, სტევიჩი
მსაჯი: შტარკი

**ჰანზა 4:1 მიუნხენი**

1:0, 2:0 ნოივილი (3, 36), 3:0 აგალი (40), 4:0 ნოივილი (42პ), 4:1 ჰობში (52)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ელერსი, ვიბრანი, ლანგე, იასერი (ჰოლეჩეკი 80), ემარა (მაიაკი 73), ბრაიტკროიცი, ნოივილი, აგალი (რამდანე 85)
მიონხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, ჯორჯესი, კურცი, ტაისი, ბორიმიროვი, ზელიჩი (შტრანცლი 89), მალცი (ჩიჟეკი 63), ოუაკილი, შროტი, ჰობში
გაფრთხილება: მაიაკი, იასერი, ჯორჯესი, მალცი, შროტი, ზელიჩი
მსაჯი: კრუგი

**ბოხუმი 0:3 ნიურნბერგი**

0:1 ჩირიჩი (16), 0:2 კურტი (65), 0:3 ჩირიჩი (70)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, შინცილორცი (გაუდინო 46), რაისი, მაჰდავიკია, ბუკლი, ბასტურკი (იონი 65), მიხალკე, კუნცი
ნიურნბერგი: კიოპკე, ნიკლი, ფ. ბაუმანი, ვან ეკი, ოეხლერი, გერბერი, შტორცენჰოფეკერი, ლიოში, დრილერი (გიუტერი 85), ჩირიჩი, კუკა (კურტი 41)
გაფრთხილება: კრახტი, ვალდოხი, ვან ეკი
მსაჯი: ბერგი

# მთავარი სიმშვიდე ყოფილა

ბიბლიოთეკა




ბაიერნი — მიონხენგლადბახი 4:2. გლადბახელმა პეტერსონმა (№11) კანს ვერა, მაგრამ მის შემცვლელ დრეერს კი გაუტანა

REUTERS

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მწვრთნელები მუდამ იმას ჩივიან, კლუბებიდან ფეხბურთელები ფიზიკურად მოუმზადებლები ჩამოდიანო, ნაკრების წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზადაც ამას ასახელებენ. ეს რომ ასე არ არის, პარასკევს ლევან კობიაშვილმა დაამტკიცა. მან ოთხშაბათს საქართველოს ნაკრებში ითამაშა. მართალია, ნორვეგიელებთან თავი ვერაფრით გამოიჩინა, მაგრამ სამაგიეროდ პარასკევს ბუნდესლიგაში გამოირჩეოდა.

„ფრაიბურგმა" ფრანკფურტის „აინრახტს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. მეორე გოლი კი სწორედ კობიაშვილმა გაიტანა. ამ მატჩის შემდეგ გუნდებმა ორ საპირისპირო მხარეს გადადგეს ნაბიჯხი — „ფრაიბურგმა" მნიშვნელოვანად გაიუმჯობესა მდგომარეობა, ხოლო „აინტრახტმა" ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში შეაბიჯა.

„ფრაიბურგმა" მთელი შეხვედრა ძალიან კარგად ჩაატარა. ტერიტორიული უპირატესობა თავიდანვე ხელთ იგდო და მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა. 29-ე წუთზე სტუმართა დაცვა უხეშად შეცდა. ბერნდ შნაიდერმა და ხუბჩევმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, რითაც კარგად ისარგებლა ტუნისელმა ბენ სლიმანმა და ახლოდან გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს კობიაშვილს შეეძლო მეორე გოლის გატანა, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა. თუმცა ეს შეცდომა ლევანმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გამოასწორა, კოლის დარტყმულს ზუსტად დაამატა და მატჩის ბედი გადაწყვიტა — 2:0.

„ამ თამაშისთვის მთელი კვირა საგანგებოდ ვემზადებოდით. რადაც უნდა დაგვჯდომოდა, „აინტრახტი" უნდა დაგვემარცხებინა, საბედნიეროდ, ეს შევძელით. როგორც ჩანს, წინა ტურში „კაიზერსლაუტერნის" დამარცხებამ გუნდზე სასიკეთოდ იმოქმედა. კარგია, რომ ბიჭები იმ მძიმე პერიოდის შემდეგ დამშვიდნენ და მობილიზება შეძლეს" — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უზომოდ გახარებულმა მასპინძელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ. როგორც ჩანს, ფინკე მართალი ყოფილა, გუნდის წარუმატებელი სერიის შემდეგ რომ თქვა, მთავარია, დავმშვიდდეთ, მერე ყველაფერი კარგად იქნებაო.

„ფრაიბურგში" გადასვლის შემდეგ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა მეორე ქართველმა — ლევან ცქიტიშვილმა, რომელმაც პოპულარული ჟურნალ „კიკერისგან", კობიაშვილის მსგავსად, 2,5 ქულა მიიღო.

ბოლო დროს ძალიან უჭირს მიუნხენის „ბაიერნს". ბავარიელებს ჩემპიონობა ფაქტობრივად განაღდებული კი აქვთ, მაგრამ 26 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ელით „მანჩესტერთან" და მცირე ჩავარდნაც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. შაბათს „ბაიერნმა" ორივე ფეხით მეორე ბუნდესლიგაში მყოფ „გლადბახს" შინ 4:2 მოუგო, არადა, თავიდან ორჯერ აგებდა. 25-ე წუთზე პოლსტერმა პენალტით დააწინაურა სტუმრები, წუთის შემდეგ მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის „ბაიერნს" ოლივერ კანი გაუძევა და „გლადბახსაც" თითქოს მოგების კარგი შანსი გაუჩნდა, მაგრამ მალე ბასლერმა ითამაშა ჩინებულად და წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმის დასაწყისში პეტერსონმა ისევ წინ გაიყვანა თავისიანები, მაგრამ ცოტა ხნით. 68-ე და 69-ე წუთებზე ციკლერმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანა და მასპინძლები წინ გაიყვანა. მან ჯერ ბასლერის პასი გამოიყენა, მერე კი შორიდან დაარტყა ზუსტად. თამაშის მიწურულს შეცვლაზე შესულმა შოლმა კიდევ ერთი დაამატა და „ბაიერნმაც" 4:2 გაიმარჯვა.

„მეტოქემ დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი. „ბაიერნს" ორჯერ ვუგებდით, მაგრამ საბოლოოდ მაინც წავაგეთ. თუმცა მარცხში ყველაზე მეტად თავად ვართ დამნაშავენი" — სიტყვებს ვერ პოულობდა „გლადბახის" მწვრთნელი რაინერ ბონჰოფი.

გლადბახელთა მსგავსად, ორჯერ იგებდა „ლევერკუზენიც", თუმცა უპირატესობის შენარჩუნება მანაც ვერ შეძლო. ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლი „ჰერტა" თუნდაც სტუმრად რომ არაფერს დათმობდა, ეს წინასწარვე იყო ცნობილი. მასპინძლები დებიუტშივე დაწინაურდნენ — რამელომ ნახტომში თავით საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა, მაგრამ მალე ნოვოტნიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ტაიმის ბოლოს „ლევერკუზენს" ხელმეორედ დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ ჰაინცემ პენალტიდან ბურთი მიზანს ააცილა. მეორე ტაიმი მასპინძლებმა სწრაფი შეტევით დაიწყეს და გოლიც გაიტანეს: რამელომ გამოზომილი პასით ემერსონი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ბრაზილიელმა ლეგიონერმაც აუღელვებლად შეაგდო. თუმცა ხუთიოდე წუთში ანგარიში ისევ გათანაბრდა. ბერლინელი ჰერცოგის თავურს მატიშეკმა თვალი გააყოლა. ბოლო ნახევარი საათი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ლევერკუზენელებს ორი ასპროცენტიანი მომენტიც შეექმნათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს — ჯერ ზე რობერტო დარჩა მეკარესთან პირისპირ, შემდეგ ჰაიდუკი, მაგრამ ორივემ კირალს გაარტყა ბურთი.

ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის „ჰერტას" გარდა „კაიზერსლაუტერნი", „დორტმუნდი" და „ვოლფსბურგიც" იბრძვიან. ამ სამი გუნდიდან ორმა ამ ტურში წააგო. „ლაუტერნისთვის" ჰამბურგში მარცხი ბოლო ექვს მატჩში მეხუთე იყო. თუ რეჰაგელის გუნდმა სასწრაფოდ არ გამოასწორა მდგომარეობა, ოთხეულს (და შესაბამისად ჩემპიონთა ლიგის) მიღმა დარჩება.

„დორტმუნდი" „დუისბურგთან" სტუმრად 0:3-ს აგებდა, მაგრამ სტევიჩისა და ნიეგუსის გოლების წყალობით მხოლოდ 2:3 დამარცხდა.

ძნელი თამაში მოიგო „ვოლფსბურგმა". შინ „შტუტგარტთან" ვოლფსბურგელები მე-15 წუთზე უკვე 0:2 ჩამორჩნენ, მაგრამ მეორე ტაიმში თამაში გარდატეხა შეიტანეს. თუმცა მასპინძლები ამ მატჩს ვერ მოიგებდნენ, პირველივე ტაიმში ბობიჩს ორი რეალური მომენტი რომ არ გაეცუდებინა. მეორე ნახევარში „ვოლფსბურგმა" მთელი ძალით შეუტია და შედეგიც მოიმკო — შრიოდერის, ბაუმგარტის და პრეგერის გოლებმა მასპინძლებს მორიგი სამი ქულა მოუტანა. „შტუტგარტის" ხელმძღვანელობამ კი რაინერ ედრიონს მოგებული თამაშის წაგება არ აპატია და გუნდიდან გაუშვა. თუმცა შტუტგარტელები უთავკაცოდ არ დარჩენილან, გუშინ ახალ მწვრთნელად მარტში მეორე ბუნდესლიგის „ულმიდან" გამოძევებული რალფ რანგნიკი დანიშნეს.

ზედიზედ მეათე მატჩი ვერ მოიგო „მიუნხენ 1860"-მა, რომელსაც გამარჯვების გემო 20 თებერვლის შემდეგ არ უგემია. მიუნხენელები ამჯერად „ჰანზამ" იმსხვერპლა — 4:1.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 29 | 21 | 5 | 3 | 67:22 | 45 | 68 | 15 | 13 | 2 | 0 | 43:12 | 31 | 41 | 14 | 8 | 3 | 3 | 24:10 | 14 | 27 |
| 2 | ლევერკუზენი | 29 | 16 | 10 | 3 | 56:25 | 31 | 58 | 15 | 8 | 6 | 1 | 30:13 | 17 | 30 | 14 | 8 | 4 | 2 | 26:12 | 14 | 28 |
| 3 | ჰერტა | 29 | 14 | 7 | 8 | 46:30 | 16 | 49 | 14 | 11 | 1 | 2 | 28:9 | 19 | 34 | 15 | 3 | 6 | 6 | 18:21 | -3 | 15 |
| 4 | ვოლფსბურგი | 29 | 13 | 9 | 7 | 49:39 | 10 | 48 | 15 | 9 | 4 | 2 | 33:15 | 18 | 31 | 14 | 4 | 5 | 5 | 16:24 | -8 | 17 |
| 5 | ლაუტერნი | 29 | 14 | 6 | 9 | 40:41 | -1 | 48 | 15 | 9 | 3 | 3 | 26:19 | 8 | 30 | 14 | 5 | 3 | 6 | 14:23 | -9 | 18 |
| 6 | დორტმუნდი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:30 | 11 | 47 | 15 | 12 | 2 | 1 | 31:9 | 22 | 38 | 14 | 1 | 6 | 7 | 10:21 | -11 | 9 |
| 7 | ჰამბურგი | 29 | 11 | 9 | 9 | 36:35 | 1 | 42 | 15 | 7 | 5 | 3 | 19:13 | 6 | 26 | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | -5 | 16 |
| 8 | დუისბურგი | 29 | 11 | 9 | 9 | 39:39 | 0 | 42 | 14 | 8 | 4 | 2 | 25:15 | 10 | 28 | 15 | 3 | 5 | 7 | 14:24 | -10 | 14 |
| 9 | მიუნხენი | 29 | 10 | 8 | 11 | 41:42 | -1 | 38 | 14 | 6 | 4 | 4 | 21:15 | 6 | 22 | 15 | 4 | 4 | 7 | 20:27 | -7 | 16 |
| 10 | შალკე | 28 | 8 | 10 | 10 | 31:42 | -11 | 34 | 14 | 5 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 20 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:25 | -11 | 14 |
| 11 | შტუტგარტი | 29 | 7 | 12 | 10 | 36:39 | -3 | 33 | 14 | 6 | 5 | 3 | 21:12 | 9 | 23 | 15 | 1 | 7 | 7 | 15:27 | -12 | 10 |
| 12 | ფრაიბურგი | 29 | 8 | 9 | 12 | 31:35 | -4 | 33 | 15 | 4 | 6 | 5 | 15:15 | 0 | 18 | 14 | 4 | 3 | 7 | 16:20 | -4 | 15 |
| 13 | ნიურნბერგი | 29 | 6 | 13 | 10 | 33:44 | -11 | 31 | 14 | 2 | 10 | 2 | 18:19 | -1 | 16 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:25 | -10 | 15 |
| 14 | ჰანზა | 29 | 7 | 9 | 13 | 41:52 | -11 | 30 | 15 | 6 | 5 | 4 | 26:20 | 6 | 23 | 14 | 1 | 4 | 9 | 15:31 | -16 | 7 |
| 15 | ვერდერი | 28 | 7 | 8 | 13 | 32:38 | -6 | 29 | 14 | 2 | 6 | 6 | 17:21 | -4 | 12 | 14 | 5 | 2 | 7 | 15:17 | -2 | 17 |
| 16 | ბოხუმი | 29 | 7 | 8 | 14 | 36:52 | -16 | 29 | 14 | 5 | 3 | 6 | 19:21 | -2 | 18 | 15 | 2 | 5 | 8 | 17:31 | -14 | 11 |
| 17 | აინტრახტი | 29 | 5 | 9 | 15 | 30:48 | -18 | 24 | 14 | 4 | 5 | 5 | 17:18 | -1 | 17 | 15 | 1 | 4 | 9 | 13:30 | -17 | 7 |
| 18 | გლადბახი | 29 | 4 | 7 | 18 | 36:68 | -32 | 19 | 14 | 4 | 2 | 8 | 22:30 | -8 | 14 | 15 | 0 | 5 | 10 | 14:38 | -24 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 17 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |

**XXVIII ტური**

7 მაისი
შტუტგარტი - ბაიერნი (0:2)
ნიურნბერგი - ლევერკუზენი (0:3)

8 მაისი
ჰერტა - ვოლფსბურგი (1:2)
აინტრახტი - ჰამბურგი (1:0)
შალკე - დორტმუნდი (0:3)
მიუნხენი - ფრაიბურგი (2:1)
ბოხუმი - დუისბურგი (0:2)
გლადბახი - ჰანზა (1:1)

9 მაისი
ლაუტერნი - ვერდერი (1:0)

## მეორე ბუნდესლიგა

### XXVIII ტური

**ულმი 1:0 ობერჰაუზენი**
1:0 როსლერი (23)

**ზტ. პაული 1:0 გიუტერსლო**
1:0 კლასნიჩი (15)

**კიოლნი 4:0 ურდინგენი**
1:0 ბერი (52), 2:0 ვოლიტცი (66), 3:0 დონკოვი (71), 4:0 მუნტიანუ (86)

**ვატენშაიდი 1:1 ფიურტი**
0:1 კლეე (55), 1:1 ფაინბირი (71)

**მაინცი 0:0 კოტბუსი**

**ჰანოვერი 3:3 ფორტუნა**
1:0 ჰეკინგი (10), 1:1 ბრდარიჩი (17), 2:1 რასიევსკი (34), 2:2 ბრდარიჩი (52), 3:2 ბლანკი (58), 3:3 ვესტერბეკი (84)

**არმინია 1:2 კიკერსი**
1:0 რეინა (26), 1:1 შტროგისი (63), 1:2 მარიჩი (67)

**უნტერჰახინგი 1:0 დიუსელდორფი**
1:0 ობერლაიტნერი (61)

**კარლსრუე — ბერლინი**
გვიან ღამით გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 28 | 17 | 4 | 7 | 37:20 | 55 |
| არმინია | 28 | 16 | 5 | 7 | 48:26 | 53 |
| ფიურტი | 28 | 13 | 9 | 6 | 37:21 | 48 |
| ბერლინი | 27 | 14 | 5 | 8 | 42:34 | 47 |
| ულმი | 28 | 12 | 11 | 5 | 51:43 | 47 |
| ჰანოვერი | 28 | 13 | 5 | 9 | 43:31 | 45 |
| კარლსრუე | 27 | 14 | 2 | 11 | 45:36 | 44 |
| მაინცი | 28 | 11 | 7 | 10 | 37:37 | 40 |
| კიკერსი | 28 | 10 | 7 | 11 | 29:37 | 37 |
| ფორტუნა | 28 | 9 | 9 | 10 | 44:47 | 36 |
| კიოლნი | 28 | 9 | 9 | 10 | 38:42 | 36 |
| ზტ. პაული | 28 | 9 | 6 | 13 | 32:41 | 33 |
| ობერჰაუზენი | 28 | 6 | 12 | 10 | 30:41 | 30 |
| კოტბუსი | 28 | 6 | 11 | 11 | 32:35 | 29 |
| გიუტერსლო | 28 | 7 | 7 | 14 | 32:45 | 28 |
| ვატენშაიდი | 28 | 6 | 9 | 13 | 23:34 | 27 |
| დიუსელდორფი | 28 | 4 | 12 | 12 | 29:42 | 24 |
| ურდინგენი | 28 | 5 | 9 | 14 | 27:44 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერიდან ამოსუნთქვა გამორიცხულია

## იტალია

### XXXI ტური

### უდინეზე 0:3 ლაციო

0:1 მიხაილოვიჩი (32პ), 0:2 ვიერი (48), 0:3 მანჩინი (57)
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი, იორგენსენი (ბაკინი 46), ლოკატელი (სოსა 46), პოჯი, ამოროზო (ნავასი 84)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო (გოტარდი 52), სტანკოვიჩი (კოუტუ 74), ოკონი, ლომბარდო, მანჩინი (დე ლა პენია 80), ვიერი
გაფრთხილება: ვიერი, კონსეისაო, ლოკატელი
მსაჯი: პელეგრინო

### მილანი 3:2 სამპდორია

1:0 ამბროზინი (17), 1:1 მონტელა (59), 2:1 ლეონარდო (79), 2:2 ფრანჩესკეტი (86), 3:2 კასტელინი (95 ს.კ.)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, გული (ბა 65), ბობანი (ლეონარდო 64), ბირჰოფი, განცი
სამპდორია: ფერონი, გრანდონი (უგო 84), ფრანჩესკეტი, ლასისი, ბალერი, პეკია, დორივა, ლაილი (იაკოპინო 85), კასტელინი, პალმიერი (კატე 78), მონტელა
გაფრთხილება: ლაილი
გაძევება: ლასისი (46)
მსაჯი: ბრასკი

### ფიორენტინა 5:1 პერუჯა

1:0 ბატისტუტა (40), 2:0, 3:0 რუი კოშტა (44, 66), 4:0 ედმუნდო (76), 4:1 კავიედესი (78), 5:1 ედმუნდო (91)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტაროცი (ფირიკანო 15), ტორიჩელი, ჰაინრიხი, ოლივეირა, კოისი, რუი კოშტა (ამორი 77), ამოროზო (ფიჩინი 82), ედმუნდო, ბატისტუტა
პერუჯა: მაცანტინი, სოლანო (ბუკი 74), მატრეკანო, რიპა, კოლონელო, პეტრაკი, რივასი (ტენტონი 56), ლეპკოსუო, რაპაიჩი (სტრადა 79), ნაკატა, კავიედესი
გაფრთხილება: ამოროზო
გაძევება: ბატისტუტა (70), ბოშკოვი (პერუჯას მწვრთნელი, 64)
მსაჯი: როდომონტი

### პარმა 1:0 ემპოლი

1:0 სტანიჩი (8)
პარმა: ბუფონი, კანავარო, სენსინი, ტურამი, ფუზერი, დ. ბაჯო (მუსი 16), ფიორე, ვანოლი, ბალბო (ასპრილია 81), კიეზა, სტანიჩი (ორლანდინი 69)
ემპოლი: სერენი, ფუსკო (კუპი 79), ბიანკონი, ბიზოლი, ლუჩენტი, კრიბარი, ბონომი, მორონე, ტონეტო, კიაპარა (დი ნაპოლი 46), კაპელინი (ჩერბონე 66)
გაფრთხილება: ფუსკო, ლუჩენტი
მსაჯი: ჩეკარინი

### ბოლონია 1:3 კალიარი

0:1 ონილი (20), 1:1 სინიორი (31), 1:2 მაჩელარი (46), 1:3 მბომა (48)
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია (პაგანინი 66), მანგონე, პარამატი, ნერვო (ბინოტო 46), მაინი (ერიბერტო 46), ინგესონი, ფონტოლანი, კოლივანოვი, სინიორი
კალიარი: სკარპი, ვილა, გრასადონია (ძებინა 70), კენტურიონი, კავეცი, ძანეტი, ბერეტა, მაჩელარი, ონილი, ვაზარი (მაცეო 86), მბომა (მუცი 60)
გაფრთხილება: კავეცი, რინალდო, გრასადონია, ვილა, მანგონე, ბინოტო, ინგესონი
გაძევება: რინალდი (54), ფონტოლანი (78)
მსაჯი: ბოლონინო

### სალერნიტანა 1:0 იუვენტუსი

1:0 დი ვაიო (35)
სალერნიტანა: ბალი, მონაკო (ტოსტო 88), ფრეზი, დელ გროსო, ბოლიჩი, გატუზო, ბერნარდინი, ტედესკო, ჯამპაოლო (ამეტრანო 84), დი მიკელე (ვანუკი 53), დი ვაიო
იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, მონტერო, იულიანო, პესოტო, კონტე (დი ლივიო 62), დეშამი, დავიდსი, ანრი (ფონსეკა 51), ზიდანი, ფ. ინძაგი (ამორუზო 83)
გაფრთხილება: მონტერო, დეშამი, ფონსეკა, დავიდსი
გაძევება: მირკოვიჩი (72), იულიანო (85)
მსაჯი: ბორიელო

### ვენეცია 1:2 ვიჩენცა

0:1, 0:2 ოტერო (45, 48), 1:2 ვალტოლინა (89)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი (პედონე 50), ლუპი, პავანი, პისტონე (ტუტა 60), კარნაშალი, ვოლპი, მიჩელი (მარანგონი 79), ვალტოლინა, რეკობა, მანიერო
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, დი კარა, კარდონე, სკენარდი, ვივიანი, დაბო, ბეგეტო (კონტე 69), ძაული (დი კარლო 87), სკარლატო (აურელიო 56), ოტერო
გაფრთხილება: ძაული, მიჩელი, ვოლპი, კარდონე, დაბო
მსაჯი: ფარინა

### ბარი 3:1 პიაჩენცა

1:0 დი აშენტისი (4), 1:1 დიონიჯი (9), 2:1 მასინგა (84), 3:1 ჯორჯეტი (88პ)
ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია (ინოჩენტი 50), ნექროიზი, დე აშენტისი, ბრესანი (გუერერო 60), დ. ანდერსონი, მარკოლინი (ჯორჯეტი 72), ძამბროტა, ოსმანოვსკი, მასინგა
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ბუზო, მაცოლა, სტატუტო (ლამაკი 61), სტროპა, რასტელი (რიციტელი 65), დიონიჯი (პიოვანი 78)
გაფრთხილება: დე როზა, ვერხოვოდი, ჯორჯეტი, ნექროიზი
გაძევება: ოსმანოვსკი (70)
მსაჯი: მესინა

### რომა 4:5 ინტერი

0:1 რონალდო (16), 0:2 სამორანო (21), 1:2 ტოტი (25პ), 1:3 სამორანო (34), 2:3 პაულო სერჟიო (47), 3:3 დელვეკიო (48), 3:4 რონალდო (55), 4:4 დი ფრანჩესკო (78), 4:5 სიმეონე (87)
რომა: კონსელი, კუადრინი, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ალენიჩევი (ტომაზი 32), დი ბიაჯო (ტომიჩი 84), დი ფრანჩესკო, პაულო სერჟიო (გაუტიერი 79), დელვეკიო, ტოტი
ინტერი: პალიუკა (ფრეი 62), ბერგომი, სილვესტრი, კოლონეზე, სიმიჩი, ხ. ძანეტი (ჯორკაეფი 79), კოე, სიმეონე, რ. ბაჯო, რონალდო, სამორანო
გაფრთხილება: ძაგო, კოლონეზე, ძანეტი
მსაჯი: კოლინა

**მსაჯის** მიერ წამატებული წუთებიც ილეოდა, როდესაც გენუელი ფეხბურთელის ავტოგოლმა „მილანს“ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილ „სამპდორიასთან“ დრამატული გამარჯვება, 3:2, მოუტანა. ამ გამარჯვებით მილანელებმა ლიდერის, „ლაციოს“ ზურგსუკან შეინარჩუნეს ადგილი, ანუ იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში კვლავაც არაფერი გამოკვეთილა.

„ლაციომ“, თავის მხრივ, უდინეში, „უდინეზესთან“ მოიგო 3:1 და პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე 62 ქულით ცხრილის სათავეშია. „მილანს“ 61 ქულა აქვს, ხოლო „ფიორენტინას“, რომელსაც „პერუჯასთან“ საშინაო შეხვედრაში არგენტინელი ვარსკვლავი, გაბრიელ ბატისტუტა გაუძევეს მოედნიდან, — 54. ფლორენციელებმა პერუჯელებს 5:1 მოუგეს.

„იუვენტუსი“ „სალერნიტანას“ სტუმრობდა, 0:1 წააგო და თანაც მცველები, ზორან მირკოვიჩი და მარკ იულიანო გაუძევეს. მატჩის ერთადერთი გოლი სალერნოელთა ნიჭიერმა ახალგაზრდა თავდამსხმელმა, მარკო დი ვაიომ პირველსავე ტაიმში გაიტანა. ამ დამარცხების შემდეგ გასული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ბებერ ქალბატონს“ მეოთხე ადგილზე მყოფ „პარმასთან“ ოთხქულიანი ჩამორჩენა აქვს. „პარმამ“ ხომ სუსტ და უსტიმულო, უკვე გავარდნილ „ემპოლისთან“ 1:0 გაიმარჯვა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებასთან (იტალიიდან ოთხი გუნდი გადის) კონკურენტებზე ახლოსაა.

„მილანი“ — „სამპდორია“: მასპინძლებისთვის ერთადერთი შედეგი ფასობდა — გამარჯვება. გახსნეს კიდეც ანგარიში — მასიმო ამბროზინიმ 25 მეტრიდან გენუელთა კარის მარცხენა ზედა კუთხეში შეაგდო ბურთი. 46-ე წუთზე, როდესაც „სამპდორიას“ ფრანგი მცველი სალუ ლასისი მოედნიდან (სეზონში მესამედ!) გააძევეს, „მილანის“ გამარჯვება თითქოს ეჭვს მიღმაც კი დადგა, მაგრამ სტუმრებმა თამამი რამ გადაწყვიტეს, კვლავაც სამმცველიან დაცვას მიმართეს და რისკი დაუფასდათ: ვინჩენცო მონტელამ, რომელმაც პირველ ტაიმში ძელს გაარტყა ბურთი, მარკო ფრანჩესკეტის კუთხურის შემდეგ თავურით გაასწორა მიზანი.

აქ, მოედანზე უცნაური ამბავი ტრიალებდა: უმცირესობაში მყოფი გენუის გუნდი ნახევარდაცვაში გაცილებით მეტს და უკეთ მოძრაობდა, ვიდრე სრულშემადგენლობიანი „მილანი“. ასეთი უხერხულობისა და ვაებისგან თავის დასაღწევად შავ-წითელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ თამაშში ბრაზილიელი ლეონარდო ჩართო და მალე გაირკვა, რომ სწორედაც მოქცეულა — 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონმა და 1998 წლის ვიცე-ჩემპიონმა საუცხოო საჯარიმო დარტყმით ბურთი ფაბრიციო ფერონის კარში შეაგდო.

მაგრამ, გაირკვა, რომ მასპინძლებს წინ კიდევ დიდი ბრძოლა ელოდათ. ლეონარდოს წარმატებიდან სულ ცოტა იყო გასული, ფრანჩესკეტიმ პიერ ლაილის კუთხურს გემრიელი დარტყმა რომ მიაყოლა და ანგარიში გაქვითა.

თამაშის ბოლო მონაკვეთი ძალიან დაძაბული გამოდგა. მაურიციო განცმა საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მაგრამ მსაჯის დამატებული დროის მეხუთე (!) წუთზე დამტკიცდა, რომ ამ ფორვარდს ბედი იოლად არ წირავს: ამბროზინიმ პასი ჩააწოდა, განცმა დაარტყა, ხოლო საბრალო გენუელმა, მარჩელო კასტელინიმ ბურთი აისხლიტა და საკუთარი მეკარე გააწბილა.

„ჩემპიონის ტიტული რომ მოვიპოვოთ, შეუძლებელი უნდა შევძლოთ“ — თქვა ძაკერონიმ „სამპდორიასთან“ მატჩის დამთავრებისთანავე, მაგრამ გონებით უკვე შემდგომი ტურის შეხვედრას უტრიალებდა, სადაც მილანელები „იუვენტუსს“ უნდა დაეჭიდონ.

„ლაციოს“ ფეხბურთელები კი უკვე მოედნიდან გადიოდნენ, როდესაც უდინეს სტადიონზე მილანელთა მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის ამბავი გამოაცხადეს.

„მილანელები ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევენ. წინ უმძიმესი თამაშები გველის“ — განაცხადა რომაელთა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა, რომლის გუნდსაც ერთობ ძლიერ მოწინაამდეგე ჰყავდა.

სტუმრებმა პირველი გოლი პენალტით გაიტანეს. რობერტო მანჩინის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი დარტყმა სინიშა მიხაილოვიჩმა შეასრულა და ამის მერე რომაელთა შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. მეორე ნახევრის დასაწყისში მიხაილოვიჩმა ასისტენტობის ნიჭიც გამოავლინა. მან კრისტიან ვიერის ჩააწოდა მაღალი პასი, რის შედეგადაც მაყურებელმა თავური გოლი იხილა. ბოლოს კი მანჩიმ თქვა თავისი ოსტატური სიტყვა.

ხოლო ფლორენციაში „ფიორენტინასა“ და „პერუჯას“ შეხვედრაში პირველი ტაიმი იწურებოდა, როდესაც არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ ანგარიში გახსნა და მერე ესტაფეტა სხვებს გადააბარა — კიდევ ოთხი გოლი პორტუგალიელმა რუი კოშტამ და ბრაზილიელმა ედმუნდომ შეაგდეს — თითომ ორი — ბატისტუტამ კი თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მოწინაალმდეგეს იდაყვი უთავაზა და მსაჯის სამართლიანი რისხვა დაიმსახურა.

ისე, „ფიორენტინას“ სახვალიოდ კარგი ვარჯიში გამოუვიდა: ხვალ, ოთხშაბათს, ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე“ იტალიის თასის საპასუხო ფინალური მატჩია: „ფიორენტინა“ — „პარმა“. პირველი მატჩი პარმაში 1:1 დასრულდა.

წუხელ კი ნამდვილი გოლების ფესტივალი აჩუქეს საკუთარ ქომაგებს 9 გოლის გამტანმა „რომამ“ და „ინტერმა“. ეგაა, საბოლოოდ მოგებულნიცა და გახარებულნიც მილანელები დარჩნენ.

**ბაბუნა ძედია**



REUTERS მილანიდან

მილანი — სამპდორია 3:2. მილანელი მაურიციო განცი (მარჯვნივ) უხეში გენუელის ფრანგი სალუ ლასისის წინააღმდეგ

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაციო | 31 | 18 | 8 | 5 | 60:29 | 31 | 62 | 16 | 10 | 4 | 1 | 37:13 | 24 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 7 | 28 |
| 2 | მილანი | 31 | 17 | 10 | 4 | 51:33 | 18 | 61 | 16 | 12 | 3 | 1 | 31:17 | 14 | 39 | 15 | 5 | 7 | 3 | 20:16 | 4 | 22 |
| 3 | ფიორენტინა | 31 | 16 | 6 | 9 | 51:36 | 15 | 54 | 16 | 13 | 3 | 0 | 35:9 | 26 | 42 | 15 | 3 | 3 | 9 | 16:27 | -11 | 12 |
| 4 | პარმა | 31 | 14 | 10 | 7 | 51:32 | 19 | 52 | 16 | 9 | 6 | 1 | 27:12 | 15 | 33 | 15 | 5 | 4 | 6 | 24:20 | 4 | 19 |
| 5 | რომა | 31 | 13 | 9 | 9 | 62:45 | 17 | 48 | 15 | 12 | 3 | 1 | 40:15 | 25 | 39 | 15 | 1 | 6 | 8 | 22:30 | -8 | 9 |
| 6 | იუვენტუსი | 31 | 13 | 9 | 9 | 38:32 | 6 | 48 | 15 | 9 | 4 | 2 | 22:12 | 10 | 31 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:20 | -4 | 17 |
| 7 | უდინეზე | 31 | 14 | 6 | 11 | 45:47 | -2 | 48 | 16 | 9 | 4 | 3 | 24:18 | 6 | 31 | 15 | 5 | 2 | 8 | 21:29 | -8 | 17 |
| 8 | ინტერი | 31 | 12 | 7 | 12 | 54:47 | 7 | 43 | 15 | 9 | 3 | 3 | 39:20 | 19 | 30 | 16 | 3 | 4 | 9 | 15:27 | -12 | 13 |
| 9 | ბოლონია | 31 | 11 | 10 | 10 | 41:40 | 1 | 43 | 16 | 8 | 4 | 4 | 29:18 | 11 | 28 | 15 | 3 | 6 | 6 | 12:22 | -10 | 15 |
| 10 | ბარი | 31 | 8 | 15 | 8 | 38:42 | -4 | 39 | 16 | 6 | 8 | 2 | 17:14 | 3 | 26 | 15 | 2 | 7 | 6 | 21:28 | -7 | 13 |
| 11 | ვენეცია | 31 | 10 | 8 | 13 | 31:39 | -8 | 38 | 16 | 8 | 5 | 3 | 20:13 | 7 | 28 | 15 | 2 | 3 | 10 | 11:26 | -15 | 9 |
| 12 | კალიარი | 31 | 10 | 7 | 14 | 44:45 | -3 | 37 | 15 | 8 | 4 | 3 | 29:17 | 12 | 28 | 16 | 2 | 3 | 11 | 15:28 | -13 | 9 |
| 13 | პერუჯა | 31 | 10 | 6 | 15 | 40:57 | -17 | 36 | 15 | 10 | 3 | 2 | 29:18 | 11 | 33 | 16 | 0 | 3 | 13 | 11:39 | -28 | 3 |
| 14 | პიაჩენცა | 31 | 9 | 7 | 15 | 44:49 | -5 | 34 | 15 | 8 | 4 | 3 | 31:19 | 12 | 28 | 16 | 1 | 3 | 12 | 13:30 | -17 | 6 |
| 15 | სალერნიტანა | 31 | 9 | 7 | 15 | 33:46 | -13 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 24:15 | 9 | 28 | 15 | 1 | 3 | 11 | 9:31 | -22 | 6 |
| 16 | ვიჩენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 23:38 | -15 | 33 | 15 | 7 | 4 | 4 | 15:13 | 2 | 25 | 16 | 1 | 5 | 10 | 8:25 | -17 | 8 |
| 17 | სამპდორია | 31 | 8 | 9 | 14 | 32:51 | -19 | 30 | 15 | 6 | 6 | 3 | 21:13 | 8 | 24 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:37 | -26 | 6 |
| 18 | ემპოლი * | 31 | 4 | 9 | 18 | 23:54 | -31 | 19 | 15 | 4 | 4 | 7 | 14:20 | -6 | 16 | 16 | 0 | 5 | 11 | 9:34 | -25 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 20 |
| დელვეკიო (რომა) | 17 |
| ბირჰოფი (მილანი) | 16 |
| კრესპო (პარმა) | 16 |
| ამოროზო (უდინეზე) | 16 |

### XXXII ტური

9 მაისი
პერუჯა - ბარი (1:2)
ლაციო - ბოლონია (1:0)
სამპდორია - ფიორენტინა (0:1)
იუვენტუსი - მილანი (1:1)
ინტერი - პარმა (0:1)
პიაჩენცა - რომა (2:2)
კალიარი - სალერნიტანა (3:1)
ვიჩენცა - უდინეზე (1:2)
ემპოლი - ვენეცია (2:3)

## სერია B

### XXXII ტური

### ფ. ანდრია 2:3 რეჯანა

0:1 კიტერიო (12), 0:2 მარჯოტა (15პ), 1:2 კორადი (47), 1:3 პროტი (51), 2:3 ტრაპელა (83)
რეჯანა: პაგატო, შაკპოკე (სკარპონი 46), კაპელაჩი, ძინი (მოცინი 66), ბრეშიანი (კევოლი 84), კარბონე, მასპერო, ორფეი, კიტერიო, მარჯოტა, პროტი

### ტორინო 3:2 ნაპოლი

0:1 შალიმოვი (3), 1:1 ბონომი (34), 2:1 ფერანტე (38), 2:2 ესპოზიტო (70), 3:2 ფერანტე (92)

### ტერნანა 1:0 ლუკეზე

1:0 ბაკინი (10)

### პესკარა 1:0 რავენა

1:0 პიზანო (2)

### მონცა 1:1 ლეჩე

0:1 პიანგერელი (15), 1:1 ვინაროლი (25)

### ჯენოა 1:1 ბრეშა

1:0 ტანგორა (5), 1:1 უბნერი (88)

### კოზენცა 1:0 ტრევიზო

1:0 მოსკარდი (55)

### კიევო 3:0 რეჯინა

1:0 დე ჩეზარე (27), 2:0 მარაცინა (78), 3:0 დი ზოლე (84ს.კ.)

### ჩეზენა 2:0 ვერონა

1:0 გრაფიედი (37), 2:0 სალვეტი (75)

### ატალანტა 3:0 კრემონეზე

1:0 კაჩა (52), 2:0, 3:0 დონი (70, 75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 32 | 16 | 10 | 6 | 55:31 | 58 |
| ტორინო | 32 | 17 | 6 | 9 | 50:30 | 57 |
| ატალანტა | 32 | 13 | 14 | 5 | 41:26 | 53 |
| პესკარა | 32 | 15 | 8 | 9 | 43:35 | 53 |
| ლეჩე | 32 | 15 | 8 | 9 | 39:34 | 53 |
| რეჯინა | 32 | 13 | 13 | 6 | 38:29 | 52 |
| ტრევიზო | 32 | 13 | 12 | 7 | 45:33 | 51 |
| ბრეშა | 32 | 12 | 13 | 7 | 36:27 | 49 |
| ნაპოლი | 32 | 11 | 13 | 8 | 33:28 | 46 |
| რავენა | 32 | 10 | 11 | 11 | 37:43 | 41 |
| მონცა | 32 | 9 | 12 | 11 | 29:33 | 39 |
| კიევო | 32 | 9 | 12 | 11 | 32:37 | 39 |
| ჯენოა | 32 | 9 | 11 | 12 | 44:46 | 38 |
| ჩეზენა | 32 | 8 | 12 | 12 | 29:34 | 36 |
| კოზენცა | 32 | 9 | 9 | 14 | 34:45 | 36 |
| ფ. ანდრია | 32 | 9 | 9 | 14 | 28:40 | 36 |
| ტერნანა | 32 | 7 | 4 | 11 | 30:42 | 35 |
| ლუკეზე | 32 | 7 | 10 | 15 | 28:35 | 31 |
| რეჯანა | 32 | 5 | 13 | 14 | 30:41 | 28 |
| კრემონეზე | 32 | 3 | 10 | 19 | 28:60 | 19 |

## ესპანეთი

### XXXII ტური

### რეალი 2:0 ესპანიოლი

1:0, 2:0 მორიენტესი (9, 30)
რეალი: ილგნერი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, რედონდო, ივან კამპო, რაული (ზეედორფი 25), მიატოვიჩი, სავიო (გუტი 82), მორიენტესი
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერჟიო, ივან ელგერა, გალკა (ნან რიბერა 54), არტეაგა (კიკე მარტინი 68), კაპდევილა, დარიო სილვა, ტამუდო (მარტინ პოსე 57)
გაფრთხილება: გუტი, მორიენტესი, კრისტობალი, ივან ელგერა, მარტინ პოსე
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ვალენსია 5:0 ალავესი

1:0 კ. ლოპესი (20), 2:0 მენდიეტა (36), 3:0, 4:0 კ. ლოპესი (56, 72), 5:0 მენდიეტა (82)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, როში, ხუანფრანი, მენდიეტა, ფარინოსი, მიია, კ. ლოპესი, ვლაოვიჩი
ალავესი: ტიტო, კარმონა, ბელსუე, ხოსეტე, ბერუე, კანაბალი (მანიო 46), პაბლო გომესი, გერარდი, დესიო, სივორი, ვიტამინა სანჩესი (სალინასი 46)
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### სელტა 1:0 სალამანკა

1:0 რევივო (62)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ოსკარ ვალესი, ხოსემა (ტომასი 61), მაზინიო, კარპინი (გუდელი 61), მოსტოვოი, მაკელელე, რევივო (ეგენი 77), სანჩესი
სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ნუნო ლუისი, ტაირა, როხერიო (მუნტეანუ 68), ჯოვანელა, კარდეტი, ველისკა, კასარტელი
გაფრთხილება: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, მოსტოვოი, სანჩესი, კასარტელი
მსაჯი: პერეს ლასა

### ესტრემადურა 1:0 სოსიედადი

1:0 ტონი ველამასანი (26)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, კალა, სოტო (პედრო ხოსე 77), ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ვიოდო, ტონი ველამასანი (ხუანიტო 80), მანუელი (ესპოზიტო 69), გაბრიჩი, უტარა
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, ლორენი, პიკაბეა, დე პედრო (ალდეონდო 80), დე პაულა, ადეპოჟუ, იარეგი (იდიაკესი 63), სა პინტუ, კოვაჩევიჩი
გაფრთხილება: ვიოდო, მანუელი, გომესი, პიკაბეა, ადეპოჟუ
გაძევება: ადეპოჟუ (81)
მსაჯი: მუხეტო გონსალესი

### რასინგი 0:0 ოვიედო

რასინგი: გროდასი, მელბერგი, ნერუ (ამავასკა 46), არსენო, სიეტესი, ტაისი, ისმაელი, ვივარ დორადო (ვიქტორი 46), მაგალანეში, პრესიადო (სალვა 46), მუნიტისი
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, პომპეი (ივან ანია 59), ხაიმე (მორენო 53), პაულო ბენტო, ონოპკო, ნადი, ფაბიო პინტუ (ივან იგლესიასი 46), დელი ვალდესი
გაფრთხილება: ამავისკა, არსენო, მაგალანეში, რაბანიროვი, მანელი, ივან ანია, პომპეი, პაულო ბენტო, ნადი
გაძევება: მანილი (87), ონოპკო (90)
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### სარაგოსა 3:1 ტენერიფე

0:1 ბალესტეროსი (21), 1:1 აგუადო (43), 2:1 იორდი (76), 3:1 მილოშევიჩი (88)
სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი, პაკო, გარიტანო, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, იორდი (მარკოს ვალესი 77), გ. ლოპესი
ტენერიფე: უნსუე, ლორენი, ალექსისი, ბალესტეროსი, იოკანოვიჩი, დანი, ემერსონი, ხუანელე, პინილია (ჩანო 67), მისტა, მაკაი (კოდრო 67)
გაფრთხილება: აგუადო, სუნდგრენი, მარკოს ვალესი, დანი, მისტა
მსაჯი: დიას ვეგა

### ბეტისი 1:3 მალიორკა

0:1 სტანკოვიჩი (12), 1:1 ოლი (49), 1:2 იბაგასა (65), 1:3 პაუნოვიჩი (74)
ბეტისი: ვალერიო, ხაიმე (კანიასი 53), ლუის ფერნანდესი, ურენია, მერინო (იტო 67), ოლიასი, ფილიპესკუ, ფერნანდო, ოლი, დენილსონი, გალვესი (მარკესი 66)
მალიორკა: როა, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (კარერასი 78), სტანკოვიჩი (ჩუპა ლოპესი 87), ლორენი, ფ. სოლერი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი (პაუნოვიჩი 67)
გაფრთხილება: ურენია, ფერნანდო, ოლი, მ. სოლერი, მარსელინო, ლორენი, ენგონგა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### ბარსელონა 4:0 დეპორტივო

1:0 კლუივერტი (14), 2:0 ფიგუ (40), 3:0 ლუის ენრიკე (45), 4:0 რივალდო (78)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური (პელეგრინო 37), გვარდიოლა, ფიგუ, კოკუ, ლუის ენრიკე, რივალდო (ზენდენი 81), კლუივერტი (ანდერსონი 81)
დეპორტივო: სონგო, არმანდო, რომერო, ნაიბეტი, შურერი, მაურო სილვა, ჯალმინია (პაულეტა 46), ფრანი, კონსეისაო (დონატო 77), ზიანი (პაჯი 59), ტურუ ფლორესი
გაფრთხილება: შურერი, ჯალმინია
გაძევება: ფიგუ (86)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### ვალიადოლიდი 1:0 ვილიარეალი

1:0 ვიქტორი (51)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენია (სანტამარია 90), ტორეს გომესი, ჩემა (ალბერტო 71), ვისკაინა, ტურიელი (დუტრუელი 76), აროლდ ლოსანო, პეტერნაკი, ვიქტორი
ვილიარეალი: პალოკი, პასკუალი, ტელესი (კრისტიანსენი 86), ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, ვალტერ გაიტანი (ალბერტო 42), გერარდო, კრაიოვეანუ, მოიზესი
გაფრთხილება: მარკოსი, გარსია კალვო, ვიქტორი, ტელესი, ვალტერ გაიტანო, გერარდო, მოიზესი
გაძევება: ვისკაინო (58), ალბელდა (58), კრაიოვეანუ (58), ტაშევსკი (69)
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### ბილბაო 1:2 ატლეტიკო

1:0 ი. გერერო (18), 1:1 ჟუნინიო (45), 1:2 მენა (75)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, ლაკრუსი, ფერეირა, რობერტო რიოსი, ი. გერერო, კარლოს გარსია (ხ. ეჩებერია 51), ნაგორე, ალკისა (ესკუერო 65), ხავი გონსალესი (ლასა 71), ურსაისი
ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა (ტონი 88), სერენა, ჟუნინიო (ვენტურინი 82), რობერტო, მენა, ბარახა, ხუან გონსალესი (სოლარი 70), ხოსე მარი
გაფრთხილება: ფერეირა, რობერტო რიოსი, ი. გერერო, კარლოს გარსია, ხ. ეჩებერია, ნაგორე, ლასა, შამოტი, სანტი, აგილერა, მენა, ხუან გონსალესი, ბარახა, სოლარი
გაძევება: ფერეირა (70), ბარახა (70)
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

# მიზანი ერთია — ჩემპიონთა ლიგა



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — დეპორტივო 4:0. ცეკვა კატალონიური მასპინძელი კლუივერტისა და სტუმარი ალვარესის შესრულებით

ერთი „დეპორტივოს" დაუცურდა ფეხი, თორემ ლიგის საგზურებისთვის მებრძოლი ხუთეულის დანარჩენმა ოთხმა წევრმა მოიგო. დაძაბულობა მაინცდამაინც არ განმუხტულა, მდგომარეობა ისეთივე დარჩა, როგორიც აქამდე იყო.

ჩემპიონატის ლიდერის, „ბარსელონას" უახლოესი მდევარი „სელტა" „სალამანკას" მასპინძლობდა და დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა. ერთ დროს პირველობის ლიდერმა „მალიორკამ" სევილიაში „ბეტისს" სძლია. მადრიდის „რეალმა" ბარსელონას „ესპანიოლთან" საშინაო მატჩში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა. „ვალენსიამ" შინ „ალავესი" არ დაინდო. ყველამ მოიგო, გარდა „დეპორტივოსი".

რა უნდა თქვა „კამპ ნოუს" თამაშზე? მასპინძლებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და მეტოქეს საკადრისი ადგილი მიუჩინეს. დღესდღეობით ერთი რამ აშკარაა — ლა კორუნიას გუნდი ნამდვილად არაა „ბარსელონას" დონის კლუბი. ჩემპიონატის დასასრულამდე ექვსი ტური დარჩა. სავარაუდოდ, ოქროს მედლები კატალონიელთ დარჩებათ.

ვიგოში, „ესტადიო ბალაიდოსზე", „სელტამ" „სალამანკას" ქვეყნის პირველობების ისტორიაში მეხუთედ სძლია. მასპინძლებს მეტოქის ძლევა ძალიან, ძალიან გაუჭირდათ — სანამ ვიგოელთა ებრაელი ლეგიონერი ჰაიმ რევივო „სალამანკას" რუმინელი მეკარის, ბოგდან სტელეას საჯარიმოში არ შეიჭრა და შედეგიანად არ დაარტყა, გუნდები ქულებს იყოფდნენ.

მძიმე თამაში მოვიგეთ და ძალიან მიხარიაო, განაცხადა „სელტას" მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა. ძნელია, არ დაეთანხმო. სხვათა შორის, „სელტას" პრეზიდენტმა ორასიო გომეს არაუზომ განაცხადა, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გავა, ბიჭებს პრემიალურები „არ ასცდებათო". პრეზიდენტის შესაძლო ძღვენში, ცხადია, რამდენიმე ათასი დოლარი იგულისხმება.

ვიგოს „სელტას" წამოეწია „მალიორკა", რომელმაც სევილიაში უდავოდ რთული შეხვედრა მოიგო. უცნაურია — მიმდინარე სეზონში „მალიორკა" მეოთხედ დაუპირისპირდა „ბეტისს" და მეოთხედვე იმარჯვა. გარდა იმისა, რომ პირველ წრეში, შინ „ესტადიო ლუის სიტიხარზე", მალიორკელებმა 1:0 იმარჯვეს სევილიელებთან, ორი სათასო პაექრობაც მათი გამარჯვებით დასრულდა.

— მიმდინარე სეზონში ეს ჩვენთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩი გახლდათ. კარგია, რომ მოვიგეთ. წინ დაძაბული თამაშები გველის და უნდა ვეცადოთ, მათ მობილიზებულები და ქულათა დიდი მარაგით შევხვდეთ — განაცხადა „მალიორკას" მწვრთნელმა ვიქტორ რაულ კუპერმა. ცნობისთვის: მოხვდება თუ არა „მალიორკა" ჩემპიონთა ლიგაში, ძირითადად ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში გაირკვევა — პირველობის მიწურულს „მალიორკას" „რეალთან" და „ვალენსიასთან" ელის საგარეო მატჩები, თავად კი „სელტას" მასპინძლობს.

ერთიც: სტუმართა გამოცდილი მცველი მარსელინიო ელენა სიერა ზაფხულში ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედში" გადადის. ყველაფერი გადაწყვეტილია.

მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე", ადგილობრივი „რეალი" ჯონ ტოშაკის ხელმძღვანელობით ჯერ არ დამარცხებულიყო და წაუგებელი საშინაო სერია არც ახლა შეწყვიტა — სამეფო კლუბმა 22 წლის ფერნანდო მორიენტესის დუბლის წყალობით მორიგ მეტოქეს სძლია და უკვე მარტო ჩემპიონთა ლიგაზე კი არა, პრიზიორობაზეც განაცხადა პრეტენზია. გამარჯვება თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ „ესპანიოლთან" მოგებას სამეფო კლუბის თავდამსხმელი რაული შეეწირა. როდის დაბრუნდება ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი, ჯერ უცნობია.

— გუნდმა კარგად ითამაშა და ვიმედოვნებ, პირველობას საკადრის ადგილზე დავასრულებთ. ჩემპიონობის შანსი მცირეა, მაგრამ იგი კიდევ არის. „რეალი" ბოლომდე იბრძოლებს! — მადრიდელთა პრეზიდენტი ლორენსო სანსი გახარებული ჩანდა. ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება, თუ გეტყვით, რომ „რეალმა" „ესპანიოლს" ჩემპიონატების ისტორიაში 65-ედ უმასპინძლა და 50-ედ მოუგო.

ვალენსიას ულამაზესი სტადიონი „მესტალა" მორიგი სტუმრის ნგრევის მოწმე გახდა. „ვალენსიამ" ხუთი ბურთი ორი ფეხბურთელის წყალობით შეაგდო — არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა, რომელსაც თითქმის ორი თვე არ გაეტანა, თავისი მონაგარიერთბაშად სამი გოლით გაზარდა, კაპიტანმა გაისკა მენდიეტამ კი აქტივში დუბლი ჩაიწერა.

— აუცილებლად უნდა გავიდეთ ჩემპიონთა ლიგაში. დღესდღეობით ჩვენთვის უპირველესი მიზანი სწორედ ესაა — განაცხადა კლაუდიო ლოპესმა. ესპანური პრესის ცნობით, „ვალენსია" ლოპესთან ახალი, სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს, რომლის თანახმად ფეხბურთელის წლიური ჯამაგირი სამ მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

...მივადექით „დეპორტივოს". ლაკორუნიელებს შავი კვირადღე გაუთენდათ — გარდა იმისა, რომ ოთხი გოლი გაუშვეს, კიდევ ერთს გადაურჩნენ — ფიგუს დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. თითქოს ეს არ ეყოფოდაო და კლუბის ორმა ლიდერმა, ბრაზილიელმა ჯალმინიამ და არგენტინელმა შურერმა ყვითელ ბარათს გამოჰკრეს ხელი, რის „წყალობითაც" მომავალ ტურში ბილბაოელებს ვერ დაუპირისპირდებიან.

ამ, ერთი შეხედვით ცენტრალური თამაშების დარად, ძალიან დაძაბული გამოდგა „ვალიადოლიდი" — „ვილიარეალის" მატჩი. მსაჯმა მედინა კანტალიეხომ, გარდა იმისა, რომ ოთხი ფეხბურთელი გააძევა, კიდევ ორი აშკარად დაინდო.

ყვითელი ბარათების ნამდვილი წვიმა მოვიდა ბილბაოში — გამოცდილმა მსაჯმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ არც მეტი, არც ნაკლები 16 მოთამაშე გააფრთხილა, რაც პრიმერა დივიზიონის რეკორდი გახლავთ.

...ქვეყნის ჩემპიონატის ეს ტური კიდევ ერთი რამით გახლდათ აღსანიშნავი — იმ კლუბებმა, რომელთა ფეხბურთელებმაც რამდენიმე დღის წინ ნიგერიაში დასრულებული მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა მოიგეს, თამაშის წინ მსოფლიოს ჩემპიონები ქომაგებს შეახვედრეს. სხვათა შორის, ამ ტურნირის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა გაბრიმ მეორე დივიზიონში გოლიც გაიტანა.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 32 | 20 | 6 | 6 | 72:35 | 37 | 66 | 17 | 12 | 2 | 3 | 47:21 | 26 | 38 | 15 | 8 | 4 | 3 | 25:14 | 11 | 28 |
| 2 | სელტა | 32 | 15 | 12 | 5 | 62:32 | 30 | 57 | 16 | 11 | 5 | 0 | 42:12 | 30 | 38 | 16 | 4 | 7 | 5 | 20:20 | 0 | 19 |
| 3 | მალიორკა | 32 | 17 | 6 | 9 | 42:25 | 17 | 57 | 16 | 11 | 3 | 2 | 25:8 | 17 | 36 | 16 | 6 | 3 | 7 | 17:17 | 0 | 21 |
| 4 | რეალი | 32 | 17 | 5 | 10 | 64:51 | 13 | 56 | 16 | 11 | 2 | 3 | 39:21 | 18 | 35 | 16 | 6 | 3 | 7 | 25:30 | -5 | 21 |
| 5 | ვალენსია | 32 | 16 | 7 | 9 | 52:33 | 19 | 55 | 16 | 9 | 5 | 2 | 31:12 | 19 | 32 | 16 | 7 | 2 | 7 | 21:21 | 0 | 23 |
| 6 | დეპორტივო | 32 | 15 | 9 | 8 | 46:36 | 10 | 54 | 16 | 10 | 4 | 2 | 29:12 | 17 | 34 | 16 | 5 | 5 | 6 | 17:24 | -7 | 20 |
| 7 | სარაგოსა | 32 | 13 | 8 | 11 | 47:42 | 5 | 47 | 16 | 8 | 3 | 5 | 27:21 | 6 | 27 | 16 | 5 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 20 |
| 8 | ბილბაო | 32 | 13 | 8 | 11 | 37:42 | -5 | 47 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:14 | 8 | 29 | 16 | 5 | 3 | 8 | 15:28 | -13 | 18 |
| 9 | სოსიედადი | 32 | 12 | 10 | 10 | 38:34 | 4 | 46 | 16 | 10 | 4 | 2 | 27:12 | 15 | 34 | 16 | 2 | 6 | 8 | 11:22 | -11 | 15 |
| 10 | ესპანიოლი | 32 | 10 | 13 | 9 | 33:35 | -2 | 43 | 15 | 5 | 8 | 2 | 15:13 | 2 | 23 | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | -4 | 20 |
| 11 | ვალიადოლიდი | 32 | 12 | 7 | 13 | 31:35 | -4 | 43 | 17 | 10 | 3 | 4 | 21:12 | 9 | 33 | 15 | 2 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 15 |
| 12 | ბეტისი | 32 | 11 | 7 | 14 | 36:42 | -6 | 40 | 16 | 7 | 3 | 6 | 20:19 | 1 | 24 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:23 | -7 | 16 |
| 13 | ატლეტიკო | 32 | 10 | 9 | 13 | 46:41 | 5 | 39 | 16 | 7 | 6 | 3 | 31:13 | 18 | 27 | 16 | 3 | 3 | 10 | 15:28 | -13 | 12 |
| 14 | ოვიედო | 32 | 9 | 12 | 11 | 34:45 | -11 | 39 | 16 | 6 | 5 | 5 | 16:15 | 1 | 23 | 16 | 3 | 7 | 6 | 18:30 | -12 | 16 |
| 15 | რასინგი | 32 | 9 | 9 | 14 | 36:44 | -8 | 36 | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 0 | 19 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | -8 | 17 |
| 16 | ალავესი | 32 | 9 | 7 | 16 | 31:49 | -18 | 34 | 16 | 8 | 4 | 4 | 20:12 | 8 | 28 | 16 | 1 | 3 | 12 | 11:37 | -26 | 6 |
| 17 | ვილიარეალი | 32 | 7 | 11 | 14 | 37:48 | -11 | 32 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 16 | 2 | 5 | 9 | 16:28 | -12 | 11 |
| 18 | ესტრემადურა | 32 | 7 | 10 | 15 | 21:46 | -26 | 31 | 16 | 6 | 3 | 7 | 12:19 | -7 | 21 | 16 | 1 | 7 | 8 | 9:27 | -18 | 10 |
| 19 | ტენერიფე | 32 | 5 | 12 | 15 | 32:52 | -20 | 27 | 16 | 3 | 8 | 5 | 18:22 | -4 | 17 | 16 | 2 | 4 | 10 | 14:30 | -16 | 15 |
| 20 | სალამანკა | 32 | 6 | 6 | 20 | 25:55 | -30 | 24 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | -1 | 22 | 17 | 0 | 2 | 15 | 5:34 | -29 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| რივალდო (ბარსელონა) | 20 |

### XXXIII ტური

9 მაისი

ალავესი - ვალიადოლიდი (0:3)
ქლიმერალი - ბარსელონა (3:1)
დეპორტივო - ბილბაო (1:2)
ატლეტიკო - ბეტისი (0:0)
მალიორკა - სარაგოსა (1:0)
ტენერიფე - რასინგი (0:0)
ოვიედო - ესტრემადურა (1:0)
სოსიედადი - რეალი (1:3)
ესპანიოლი - სელტა (0:2)
სალამანკა - ვალენსია (0:1)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

### XXXV ტური

### ლეიდა 2:1 ლოგრონიესი

1:0 ესკოდა (4), 2:0 ხოსემი (5), 2:1 ტეხერა (62)

### სევილია 3:1 მალიორკა B

1:0 ხუან კარლოსი (38), 1:1 ტრისტანი (42), 2:1 ოლივერა (49), 3:1 ხუან კარლოსი (62)

### ორენსე 4:1 ლას პალმასი

1:0 კურასი (1), 2:0 მორანი (20), 3:0 ჯურიევიჩი (46), 3:1 ელოი (75), 4:1 აგუსტინ რუისი (85)

### ბადახოსი 0:0 ალბასეტე

### მერიდა 0:2 ეიბარი

0:1, 0:2 კუელარი (38, 74)

### ლეგანესი 1:2 ტოლედო

0:1 ალეხანდრო (20), 1:1 პაჩონი (25), 1:2 ფედე მარინი (68)

### მალაგა 2:1 ერკულესი

1:0 რუფეტე (11), 1:1 პაკიტო (45პ), 2:1 რუფეტე (81)

### ნუმანსია 2:1 რაიო

1:0 ხავი მორენო (16), 1:1 ბოლო (57), 2:1 კასტანიო (88)

### კომპოსტელა 0:3 ატლეტიკო B

0:1 ბუკიჩი (48), 0:2 სეკუეიროსი (60), 0:3 პაბლო გარსია (82)

### რეკრეატივო 0:0 სპორტინგი

### ოსასუნა 1:2 ბარსელონა B

0:1 გაბრი (17), 0:2 ლუისი (21), 1:2 მატიტო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 35 | 18 | 11 | 6 | 60:40 | 65 |
| რაიო | 35 | 16 | 12 | 7 | 56:42 | 60 |
| ატლეტიკო B | 35 | 17 | 9 | 9 | 58:46 | 60 |
| ნუმანსია | 35 | 17 | 8 | 10 | 57:35 | 59 |
| ტოლედო | 35 | 16 | 10 | 9 | 47:39 | 58 |
| ლას პალმასი | 35 | 14 | 13 | 8 | 48:35 | 55 |
| სევილია | 35 | 15 | 10 | 10 | 50:43 | 55 |
| ოსასუნა | 35 | 14 | 12 | 9 | 41:35 | 54 |
| ლეიდა | 35 | 14 | 12 | 9 | 41:36 | 54 |
| რეკრეატივო | 35 | 12 | 14 | 9 | 33:22 | 50 |
| მერიდა | 35 | 13 | 11 | 11 | 42:33 | 50 |
| კომპოსტელა | 35 | 12 | 12 | 11 | 45:40 | 48 |
| ბადახოსი | 35 | 12 | 10 | 13 | 28:30 | 46 |
| ლეგანესი | 35 | 10 | 12 | 13 | 34:39 | 42 |
| ალბასეტე | 35 | 9 | 14 | 12 | 26:33 | 41 |
| ლოგრონიესი | 35 | 10 | 11 | 14 | 41:49 | 41 |
| სპორტინგი | 35 | 10 | 11 | 14 | 33:41 | 41 |
| მალიორკა B | 35 | 11 | 7 | 17 | 42:52 | 40 |
| ბარსელონა B | 35 | 11 | 5 | 19 | 42:53 | 38 |
| ერკულესი | 35 | 7 | 10 | 18 | 29:52 | 31 |
| ეიბარი | 35 | 8 | 6 | 21 | 30:54 | 30 |
| ორენსე | 35 | 6 | 6 | 23 | 33:67 | 24 |

# მწვანეები აღზევდნენ

## საფრანგეთი

XXXI ტური

**ლე ავრი 1:1 ნანსი**
0:1 ბასტიენი (21), 1:1 ნალისი (57)

**რენი 2:1 პსჟ**
1:0 გრეგუარი (15), 1:1 ადაილტონი (52), 2:1 ბარდონი (90)

**ბასტია 1:1 ლანსი**
0:1 მორეირა (55), 1:1 ლორანი (56)

**სტრასბური 1:1 სოშო**
1:0 ზიტელი (56), 1:1 ფლაშესი (66)

**მონპელიე 1:2 ნანტი**
0:1 დევინო (30), 1:1 სილვესტრი (51), 1:2 სიუფო (78)

**მეცი 2:0 ოსერი**
1:0 რიზეტო (4), 2:0 ორლავილი (48)



REUTERS რენიდან

რენი — პსჟ 2:1. მასპინძელი იოან ბინე (მარჯვნივ) და სტუმარი მარკო სიმონე

— მიბრძანდით, ბატონო!

— ოჰ, როგორ გეკადრებათ, თქვენ მიბრძანდით, ბატონო!

— მხოლოდ თქვენს შემდეგ, ჩემო ბატონო!

იქნებ გახსოვთ დიალოგი უფროს ქორიძესა და უფროს შევარდნაძეს შორის ქართული მულტფილმიდან „მტრობა". არც ერთს უნდოდა, კარში პირველი შესულიყო და არც მეორეს. ორივე გადამეტებულ ზრდილობას იჩენდა.

თითქმის ასეთივე სიტუაციაა საფრანგეთის ჩემპიონატშიც. თითქოს არც „მარსელს" სურს მაინცდამაინც ოქროს მედლების მოპოვება და არც „ბორდოს". ჩემპიონთა ლიგაში თამაში ორივეს დიდი ხნის განაღდებული აქვს და პირველობას, აბა, რა თავში იხლიან.

ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდებისთვის მართლაც რომ შეუფერებელ შედეგებს აჩვენებენ. „მარსელმა" ბოლო სამ ტურში მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვა, „ბორდო" კი „უკეთესად" გაისარჯა და თავის აქტივს ოდენ ერთი ქულა შესძინა (მაჩანჩალა „ლორიანთან" შინ 0:0).

ამ ტურში ორივე ლიდერი შინ თამაშობდა და ორივე მესამე ადგილისთვის მებრძოლ გუნდს ხვდებოდა: „მარსელი" „ლიონს", „ბორდო" კი „მონაკოს".

მარსელელებმა საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანეს და მოგების დიდი იმედიც ჰქონდათ. შეხვედრა მათი იერიშებით დაიწყო და ასეც გაგრძელდა. ლიონელებმა კი თავიანთ ჩვეულ სტილში, კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. სახიფათო მომენტები ორივე კართან უხვად იქმნებოდა. გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდათ რავანელის, პირესს, გურვენეკს, კამარას (ყველა „მარსელი"), კოკარს, კავეგლიას, გრასის (ყველა „ლიონი"), მაგრამ მასპინძელთა მეკარე სტეფან პორატომ და მისმა კოლეგა გრეგორი კუპემ მატჩი ბრწყინვალედ, უშეცდომოდ ჩაატარეს. ხოლო ისეთ მომენტებში, როცა მათაც აღარაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, თავდამსხმელები სცოდავდნენ. ყველაზე ხშირად ტიტი კამარას ღალატობდა ბედი. მოკლედ, უგოლო ფრე და კონკურენტისთვის კიდევ ერთი ქულით გასწრება. ეს „მარსელს", თორემ „ლიონს" „პარი სენ ჟერმენის" მძლეველი „რენი" ორი ქულით მიუახლოვდა და ახლა მათ შორის სხვაობა ერთი ქულაღაა.

თითქმის ასეთივე სცენარით წარიმართა მატჩი ბორდოშიც. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ ყოფილ ოსერელ საბრი ლამუშის სხვებზე მეტად გაუმართლა და 28-ე წუთზე მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ულრიხ რამემ ბურთის მოგერიება ვერ შეძლო. 1:0 მონაკოელთა სასარგებლოდ და ისინი კიდევ ინარჩუნებენ ბრინჯაოს მედლების და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვების შანსს.

„მარსელისა" და „ბორდოს" საპირისპიროდ მშვენივრად თამაშობს ქვეყნის თასის ფინალში გასული „ნანტი". ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა ახალგაზრდებმა ექვსთვიანი შესვენების შემდეგ საგარეო შეხვედრა მოიგეს. თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო და დევინოსა და მონტერუბიოს ტაიმის პირველივე ნახევარში შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. გოლი კი „ნანტმა" სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ გაიტანა — ფლანგზე გაჭრილმა და როშამ კარგად ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში და დევინომ მშვენიერი თავურით ბურთს კარში მიუჩინა ადგილი.

საპასუხო გოლი რობერის მიერ შესრულებული კუთხურის შემდეგ ექსოსერელმა სილვესტრმა გაიტანა. თუმცა „მონპელიეს" იმ დღეს ქულის ალება არ ეწერა: კარიერის ჩაწოდებული საჯარიმო. ფაბრის თავური. მასპინძელთა მეკარე კასარი ბურთს ვერ იჭერს და შეცვლაზე შესულ სიუფოს გამარჯვების გოლი გააქვს.

ამ მოგებით „ნანტი" მე-6 ადგილზე გადავიდა, მაგრამ ჩემპიონატის გასრულებამდე დარჩენილ სამ ტურში იგი უფრო ზევით ასვლას ნაღდად ვერ მოახერხებს, რადგან მეხუთეადგილოსან „მონაკოს" 8 ქულით ჩამორჩება.

ცხრილის ფსკერზე კი „ტულუზი" და „სოშო" დაილექნენ. მათ, ალბათ, აღარაფერი უშველით და მომავალი სეზონიდან II დივიზიონშიც დაქვეითდებიან. მესამე უბედური კი „ლორიანიდან" დაწყებული პსჟ-თი დამთავრებული ყველა შეიძლება გახდეს.

ქვევიდან კი უკვე აღზევდა ერთ დროს ევროპული ფეხბურთის გრანდი, მერე კი დროისაგან დაჩაგრული „სენტ ეტიენი". II დივიზიონში სამწლიანი ყოფნის შემდეგ „მწვანეებმა" ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე აიღეს I დივიზიონის ბილეთები. მათგან განსხვავებით, „სედანსა" და „ტრუას" კიდევ მოუწევთ ცდა, სანამ ოფიციალურად გახდებიან ელიტის წევრები.

სენტ ეტიენის სტადიონმა „ჟოფრუა-გიშარმა" ერთხმად იზუვლა, როცა „სენტ ეტიენ" — „აიაჩოს" მატჩის არბიტრის სასტვენმა ყველას ამცნო, რომ შეხვედრა ფრედ 2:2 დამთავრდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „მწვანეებმა" ერთი საფეხურით ზევით აინაცვლეს.

მე-6 წუთზე სარმა თავურით დააწინაურა მასპინძლები. სტუმრებმა დაახლოებით 20 წუთში გაათანაბრეს ფადერნის გოლის წყალობით. მეორე ტაიმში „სენტ ეტიენს" ბევრი მომენტი გაუცუდდა. მეორე ბურთი კი თამაშის დამთავრებამდე 19 წუთით ადრე პენალტით გაიტანა რეველმა. თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ დროში „აიაჩომაც" შეძლო მეორე გოლის გატანა — ეს პრსომ მოახერხა, მაგრამ ამას მასპინძელთათვის გული უკვე აღარ დაუწყვეტია.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 31 | 19 | 8 | 4 | 53:26 | 65 |
| ბორდო | 31 | 19 | 6 | 6 | 58:25 | 63 |
| ლიონი | 31 | 16 | 9 | 6 | 46:27 | 57 |
| რენი | 31 | 16 | 8 | 7 | 43:34 | 56 |
| მონაკო | 31 | 15 | 8 | 8 | 47:30 | 53 |
| ნანტი | 31 | 11 | 12 | 8 | 38:31 | 45 |
| ლანსი | 31 | 13 | 6 | 12 | 40:37 | 45 |
| მონპელიე | 31 | 10 | 8 | 13 | 48:48 | 38 |
| სტრასბური | 31 | 8 | 13 | 10 | 26:30 | 37 |
| პსჟ | 31 | 9 | 9 | 13 | 29:29 | 36 |
| ბასტია | 31 | 9 | 8 | 14 | 35:41 | 35 |
| მეცი | 31 | 8 | 11 | 12 | 26:35 | 35 |
| ნანსი | 31 | 9 | 8 | 14 | 31:42 | 35 |
| ოსერი | 31 | 8 | 9 | 14 | 38:44 | 33 |
| ლე ავრი | 30 | 8 | 9 | 13 | 22:35 | 33 |
| ლორიანი | 31 | 7 | 11 | 13 | 29:45 | 32 |
| სოშო | 30 | 4 | 14 | 12 | 25:48 | 26 |
| ტულუზი | 31 | 5 | 11 | 15 | 20:47 | 26 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| *ვილტორდი* | *(ბორდო)* | *19* |
| *ლასლანდი* | *(ბორდო)* | *15* |
| *კავეგლია* | *(ლიონი)* | *15* |
| *ნონდა* | *(რენი)* | *14* |

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ.ეტიენი | 35 | 18 | 13 | 4 | 56:32 | 67 |
| სედანი | 35 | 16 | 12 | 7 | 54:29 | 60 |
| ტრუა | 35 | 16 | 12 | 7 | 44:28 | 60 |
| გენიონი | 35 | 14 | 13 | 8 | 42:36 | 55 |
| ლილი | 35 | 16 | 7 | 12 | 41:35 | 55 |
| კაენი | 35 | 15 | 9 | 11 | 43:36 | 54 |
| მატორრუ | 35 | 12 | 13 | 10 | 38:37 | 49 |
| გენგამი | 35 | 13 | 10 | 12 | 34:35 | 49 |
| ლავალი | 35 | 11 | 14 | 10 | 34:32 | 47 |
| აიაჩო | 35 | 12 | 11 | 12 | 47:52 | 47 |
| ნიორი | 35 | 11 | 13 | 11 | 30:31 | 46 |
| ნიცა | 35 | 11 | 11 | 13 | 30:31 | 44 |
| კანი | 35 | 11 | 11 | 13 | 33:42 | 44 |
| ნიმი | 35 | 10 | 13 | 12 | 45:41 | 43 |
| ვასკეალი | 35 | 9 | 12 | 14 | 29:36 | 39 |
| ლე მანი | 35 | 8 | 14 | 13 | 40:39 | 38 |
| ამიენი | 35 | 9 | 11 | 15 | 31:39 | 38 |
| რედ სტარი | 35 | 8 | 11 | 16 | 48:68 | 35 |
| ვალანსი | 35 | 8 | 10 | 17 | 35:52 | 34 |
| ბოვე | 35 | 8 | 8 | 19 | 38:64 | 32 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

IX ტური

**სერვეტი 1:0 ლუცერნი**
1:0 რეი (20)

**ლოზანა 3:0 ბაზელი**
1:0 პუჩე (13), 2:0 ბარბერისი (31 ს.კ.), 3:0 გერბერი (67)

**ქსამაქსი 1:3 ციურიხი**
0:1, 0:2, 0:3 ბარტლეტი (12, 54, 60), 1:3 ბეელი (79)

ციურიხი: შორუნმუ, ტარონე, კასტილიო, ფიშერი, ჰუბერი, ოპანგო (სანტანა 43), ლიმა, დი ჯორიო, კუნცი (შასო 63), ბარტლეტი, ჯამარაული

**გრასჰოპერი 4:0 სენტ გალენი**
1:0 ყაველაშვილი (34), 2:0 სმილიანიჩი (56), 3:0 ყაველაშვილი (58), 4:0 ტიკვა (68)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, მიულერი, გრენი, სმილიანიჩი (ბერნერი 77), მანინი (დე ნაპოლი 46), ფოგელი, ტარარახე, მაგრო (კომიზეტი 46), ყაველაშვილი, ტიკვა

შვეიცარიის ჩემპიონატის მეცხრე ტური ლიდერთათვის წარმატებული გამოდგა. პირველი ოთხეულის წარმომადგენელთაგან ყველამ მოიგო და ამიტომ ცხრილში დიდად არაფერი შეცვლილა.

„გრასჰოპერის" საშინაო გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ნაკრებში მიუპატიჟებელმა მიხეილ ყაველაშვილმა, რომელმაც დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ყაველაშვილმა ბოლო დროის საგრძნობლად მოუმატა თამაშს. მან წინა მატჩშიც გამოიჩინა თავი, „სენტ გალენთან" კი ერთ გოლს აღარ დასჯერდა და ერთმანეთ ორი შეაგდო. 34-ე წუთზე იგი მიუერთდა კარგ პასით მეკარე შტილთან პირისპირ გაიყვანა. მიშამაც აღელვალ მოატყუა რა და ანგარიში გახსნა. პირველ ტაიმში მასპინძელთაგან მაგრობაც შეეძლო გატანა, მაგრამ მისი თავური ხარიხამ უკუაგდო. მეორე ტაიმი „გრასჰოპერმა" უფრო აქტიურად დაიწყო და მალე ეს ტაბლომაც ასახა. ჯერ სმილიანიჩმა დაამატა ტიკვას დარტყმის შემდეგ შტილის მოგერიებულს — 2:0, ორ წუთში კი ისევ ყაველაშვილმა ივარგა, როდესაც საჯარიმოს გარედან ცხრიანში გაგზავნა ბურთი. მატჩს წერტილი ტიკვამ დაუსვა. ტსავა სულ ოცი წამის შესული იყო მინდორზე, საკუთარ საჯარიმოში დე ნაპოლი რომ წააქცია. „გრასჰოპერისა" და ისრაელის ნაკრების თავდამსხმელმაც ზუსტად შეასრულა პენალტი.

გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა" ზედიზედ მესამედ მოიგო. სტუმრად „ქსამაქსის" დამარცხება მთლიანად სამხრეთაფრიკელი შონ ბარტლეტის დამსახურება გახლდათ, რომელმაც სამი გოლი გაიტანა. ჯამარაულმა კი „ციურიხში" პირველი მატჩი ჩაატარა შეუცვლელად.

გაჭირვებით მოიგო შინ „სერვეტმა", რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდა, მაგრამ ახლახან „გრასჰოპერს" დაუთმო პირველი ადგილი. აუტსაიდერ „ლუცერნთან" მასპინძლები რეის გოლით თავიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ძლივს შეინარჩუნეს. თამაშის მიწურულს სტუმრებს სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ იღბალმა ზურგი აქციათ — ჯოლერის თავური მცველმა დურიქსმა კარის ხაზიდან გამოიტანა, ხოლო კოუმენტარიკისისა და ვუკიჩის დარტყმული ბურთები ძელმა მოიგერია.

მანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 9 | 6 | 2 | 1 | 22:6 | 39 |
| სერვეტი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:8 | 38 |
| ლოზანა | 9 | 6 | 0 | 3 | 19:13 | 37 |
| ციურიხი | 9 | 3 | 3 | 4 | 13:12 | 30 |
| ბაზელი | 9 | 4 | 1 | 4 | 13:15 | 27 |
| ქსამაქსი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:18 | 25 |
| სენტ გალენი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:18 | 22 |
| ლუცერნი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:16 | 21 |

## პორტუგალია

XXX ტური

**მარიტიმუ 1:3 ფარენსე**
1:0 ბუნბურუ (39), 1:1 კარლოშ კოშტა (45), 1:2, 1:3 ჟაენ როდრიგესი (75, 89)

**ალვერკა 0:1 რიუ ავე**
0:1 ჟაკარე (90)

სალგეირუში 1:1 აკადემიკა
0:1 მონტეირო (45), 1:1 ჩელსო სილვა (85)

**ბრაგა 1:0 შავეში**
1:0 როშა (44)

ბენფიკა 1:1 კამპომაიორენსე
1:0 ჟორჟე კადეტე (56), 1:1 ველინგტონ სილვა (72)

**პორტუ 6:0 სეტუბალი**
1:0 კაპუჩო (3), 2:0 ზაჰოვიჩი (10), 3:0 ჟარდელი (30), 4:0, 5:0 ალოიზიო (43, 57), 6:0 კუინზინიო (85)

**გიმარაეში 3:0 ბეირა მარი**
1:0 ლუკენა (33), 2:0 ესტევანი (39), 3:0 ტიტო (53)

**ლეირია 0:3 სპორტინგი**
0:1 საბროზა (22), 0:2 დუშერი (59), 0:3 იორდანოვი (64)

**ბოავიშტა 2:1 ამადორა**
1:0 რუი ბენტო (22), 1:1 მანუელი (37ს.კ.), 2:1 კვამე (40)

სუსტ „კამპომაიორენსესთან" 1:1 „ბენფიკას" ისედაც მიმავალი შოტლანდიელი მწვრთნელისთვის, გრემ სუნესისთვის ლისაბონის გუნდში უკანასკნელი აღმოჩნდა. მას, მის ასისტენტ ფილ ბოერსმას და ინგლისელ მცველ სტივ ჰარკნესს, კლუბის პრეზიდენტმა, ჟოაო ვალე ე აზევედომ კარისკენ მიუთითა და შიდასაკლუბო გამოძიებითაც დაემუქრა.

„კლუბში გამოძიება ჩატარდება" — მრისხანედ განაცხადა ვალე ე აზევედომ, მეტად კი აღარ ჩაღრმავებია თემას. არაა გამორიცხული, რომ დასახელებული სამეული, უპირველესად კი სუნესი სერიოზულად დაჯარიმდეს.

ჯერჯერობით შოტლანდიელის საქმეს „ბენფიკას" მწვრთნელთა ბრიგადის ერთ-ერთი წევრი, გუნდის ყოფილი მოთამაშე, შეუ ანი ჩაიბარებს, ივნისიდან კი, მოგეხსენებათ, ცნობილი სპეციალისტი, იუპ ჰაინკესი დაიწყებს ახალ შენებას.

„კამპომაიორენსესთან" 1:1 იმას ნიშნავდა, რომ „ბენფიკა" ჩემპიონატის პირველ ან მეორე ადგილზე ჩამთავრებას ველარ შეძლებს, რაც თავის მხრივ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაკარგვის ტოლფასია.

სუნესის რეაქცია ვალე ე აზევედოს რისხვასთან დაკავშირებით უცნობია. ერთადერთი, რაც მისით უკმაყოფილო ლისაბონელებმა იციან ისაა, რომ შოტლანდიელი ვალე ე აზევედოს წუწურაქობასა და კარგი ფეხბურთელების არყიდვაში სდებს ბრალს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 21 | 6 | 3 | 71:24 | 69 |
| ბოავიშტა | 30 | 18 | 10 | 2 | 50:24 | 64 |
| ბენფიკა | 30 | 17 | 7 | 6 | 61:24 | 58 |
| სპორტინგი | 30 | 16 | 10 | 4 | 57:25 | 58 |
| ლეირია | 30 | 12 | 8 | 10 | 30:26 | 44 |
| გიმარაეში | 30 | 12 | 7 | 11 | 47:37 | 43 |
| ამადორა | 30 | 11 | 9 | 10 | 31:36 | 42 |
| სეტუბალი | 30 | 11 | 8 | 11 | 31:37 | 41 |
| სალგეირუში | 30 | 7 | 15 | 8 | 38:45 | 36 |
| ფარენსე | 30 | 9 | 8 | 13 | 32:47 | 35 |
| ბრაგა | 30 | 8 | 10 | 12 | 33:49 | 34 |
| კამპომაიორენსე | 30 | 9 | 7 | 14 | 37:44 | 34 |
| მარიტიმუ | 30 | 8 | 9 | 13 | 36:40 | 33 |
| რიუ ავე | 30 | 7 | 11 | 12 | 24:40 | 32 |
| ალვერკა | 30 | 7 | 10 | 13 | 29:41 | 31 |
| ბეირა მარი | 30 | 5 | 13 | 12 | 28:45 | 28 |
| შავეში | 30 | 5 | 10 | 15 | 36:56 | 25 |
| აკადემიკა | 30 | 4 | 8 | 18 | 28:59 | 20 |

## უკრაინა

23-ე ტური. შახტიორი — ცსკა 1:0; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — დინამო 1:3; კარპატი — ვორსკლა 2:1; მეტალისტი — ზირკა 3:0; მეტალურგი (მარიუპოლი) — პრიკარპატიე 2:1; ტავრია — მეტალურგი (დონეცკი) 2:2; ნიკოლაიევი — კრივბასი 0:4; ნივა — დნეპრი 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 16 | 4 | 1 | 56:14 | 52 |
| შახტიორი | 23 | 17 | 1 | 5 | 61:22 | 52 |
| კარპატი | 23 | 12 | 7 | 4 | 40:23 | 43 |
| კრივბასი | 23 | 11 | 9 | 3 | 29:12 | 42 |
| მეტალისტი | 23 | 12 | 3 | 8 | 26:26 | 39 |
| მეტალურგი (მ) | 22 | 10 | 5 | 7 | 30:21 | 35 |
| ცსკა | 21 | 8 | 8 | 5 | 26:20 | 32 |
| ზირკა | 22 | 8 | 5 | 9 | 20:25 | 29 |
| მეტალურგი (ზ) | 22 | 8 | 3 | 11 | 31:39 | 27 |
| ტავრია | 23 | 7 | 6 | 10 | 23:30 | 27 |
| მეტალურგი (დ) | 23 | 6 | 7 | 10 | 23:36 | 25 |
| ნივა | 23 | 6 | 6 | 11 | 21:30 | 24 |
| ვორსკლა | 22 | 6 | 5 | 11 | 23:32 | 23 |
| დნეპრი | 22 | 6 | 3 | 13 | 17:34 | 21 |
| პრიკარპატიე | 23 | 3 | 5 | 15 | 15:47 | 14 |
| ნიკოლაიევი | 22 | 2 | 5 | 15 | 12:45 | 11 |

## თურქეთი

30-ე ტური. ერზურუმი — ბურსა 2:1; გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი 3:0; ადანა — ანთალია 4:2; ისთანბული — ქოჯაელი 2:1; ტრაბზონი — დარდანელი 2:1; ფენერბაჰჩე — ალთაი 5:0; გალათასარაი — საქარია 3:0; სამსუნი — ანკარაგიუჯიუ 0:0; ქარაბუქი — ბეშიქთაში 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 30 | 22 | 6 | 2 | 81:27 | 72 |
| ბეშიქთაში | 30 | 20 | 7 | 3 | 49:24 | 67 |
| ფენერბაჰჩე | 30 | 19 | 5 | 6 | 74:25 | 62 |
| ტრაბზონი | 30 | 17 | 6 | 7 | 44:30 | 57 |
| გენჩლერბირლიგი | 30 | 12 | 9 | 9 | 46:38 | 45 |
| ანთალია | 30 | 13 | 6 | 11 | 40:40 | 45 |
| ქოჯაელი | 30 | 13 | 5 | 12 | 39:34 | 44 |
| გაზიანთეფი | 30 | 10 | 11 | 9 | 43:43 | 41 |
| ისთანბული | 30 | 11 | 7 | 12 | 43:44 | 40 |
| ალთაი | 30 | 10 | 5 | 15 | 43:56 | 35 |
| ანკარაგიუჯიუ | 30 | 9 | 7 | 14 | 39:41 | 34 |
| სამსუნი | 30 | 9 | 7 | 14 | 33:48 | 34 |
| ბურსა | 30 | 10 | 4 | 16 | 44:63 | 34 |
| ადანა | 30 | 9 | 6 | 15 | 32:48 | 33 |
| ერზურუმი | 30 | 8 | 8 | 14 | 35:59 | 32 |
| საქარია | 30 | 8 | 7 | 15 | 39:47 | 31 |
| დარდანელი | 30 | 6 | 8 | 16 | 28:44 | 26 |
| ქარაბუქი | 30 | 4 | 6 | 20 | 20:57 | 18 |

## პოლონეთი

24-ე ტური. ვიძევი — ბელხატოვი 1:0; ამიცა — ლკს 1:2; რაძიონკოვი — გურნიკი 0:0; სტომილი — ოდრა 3:1; ზაგლებიე — პოლონია 1:0; კატოვიცე — რუხი 0:1; ლეგია — ვისლა 1:2; ლეხი — პოგონი 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 24 | 21 | 1 | 2 | 63:18 | 64 |
| ლეხი | 24 | 15 | 2 | 7 | 49:27 | 47 |
| ვიძევი | 24 | 15 | 1 | 8 | 41:28 | 46 |
| ლეგია | 24 | 11 | 8 | 5 | 30:21 | 41 |
| პოლონია | 24 | 11 | 6 | 7 | 35:26 | 39 |
| გურნიკი | 24 | 8 | 8 | 8 | 28:25 | 32 |
| რუხი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:28 | 32 |
| ზაგლებიე | 24 | 8 | 8 | 8 | 34:35 | 32 |
| სტომილი | 24 | 8 | 3 | 13 | 24:35 | 27 |
| რუხი | 24 | 7 | 6 | 11 | 17:32 | 27 |
| ამიცა | 24 | 7 | 5 | 12 | 28:37 | 26 |
| ლკს | 24 | 6 | 8 | 10 | 25:34 | 26 |
| ბელხატოვი | 24 | 7 | 5 | 12 | 24:37 | 26 |
| ოდრა | 24 | 6 | 6 | 12 | 27:35 | 24 |
| პოგონი | 24 | 6 | 6 | 12 | 28:44 | 24 |
| კატოვიცე | 24 | 5 | 5 | 14 | 19:39 | 20 |

# რეინჯერსი პირველია!

## შოტლანდია

XXXIII ტური

**სელტიკი 0:3 რეინჯერსი**
0:1 მაკკენი (12), 0:2 ალბერცი (44პ), 0:3 მაკკენი (76)

**აბერდინი 1:0 სენტ ჯონსტონი**
1:0 ვინტერსი (67)

**დანდი იუნაიტედი 0:2 დანდი**
0:1 ირვინი (67), 0:2 გრედი (90)

**კილმარნოკი 0:1 მოზერველი**
0:1 ბრენანი (53პ)

**ჰარტსი 2:0 დანფერმლაინი**

კვირას გაირკვა — „რეინჯერსი" შოტლანდიის ჩემპიონია. გლაზგოურმა გუნდმა მორიგი მარათონული დუელი მოუგო თავის მუდმივ კონკურენტს თანაქალაქურ „სელტიკს", თანაც მეტად დამამცირებლად — „პარკჰედზე" ესტუმრა, სამი უპასუხო გოლი გაუტანა და სანუკვარი ტიტულის მოპოვება „მტრის ბანაკში" ორმაგად გახარებულმა იზეიმა. სხვათა შორის, „რეინჯერსს" ასეთი დიდი ანგარიშით „სელტიკისთვის" 1960 წლის შემდეგ არ მოუგია.

— ძალიან მიხარია, რომ „რეინჯერსში" მუშაობის პირველივე წელს ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ვფიქრობ, ჩვენს პირველობაში ეჭვი არც არავის შეჰპარვია. მიმდინარე სეზონში ჩვენ შეუდარებლად კარგად ვთამაშობდით და იმიტომ. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ წარმატებაში მონაწილეობდა — ახალგამომცხვარი ჩემპიონის გამოცდილ თავკაცს, ჰოლანდიელ დიკ ადვოკაატს სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი შარშან ჩაუდგა სათავეში გუნდს, მის გადასახალისებლად 40 მილიონი გირვანქა (64,5 მილიონი დოლარი) დახარჯა და შედეგიც სახეზეა.

ამ შეხვედრაში, რომელშიც „რეინჯერსმა" „სელტიკს" მეასედ მოუგო, შობის წინ „ჰართსიდან" 3 მილიონ დოლარად გადაბირებულმა ნილ მაკკენმა გაიბრწყინა და ორი გოლი გაიტანა. ეს შოტლანდიელთათვის მეტად სასიამოვნო ფაქტია, რადგან „რეინჯერსი" საკმაოდ მრავალეროვანი გუნდი გახლავთ, მასში, არც მეტი არც ნაკლები, 8 ეროვნების წარმომადგენელი ირიცხება.

მატჩი, ბუნებრივია, დაძაბული, ამასთან უხეშიც გამოდგა. მსაჯმა მინდვრიდან ორი მასპინძელი — ფრანგი სტეფან მაე და ახლახან თბილისში ნამყოფი ნორვეგიელი ვიდარ რისეტი დაითხოვა, ხოლო 87-ე წუთზე სტუმარი როდ უოლესიც გააგდო.

— მაღალი დონის ფეხბურთელი მოედანზე ღირსების განსახიერება უნდა იყოს, ემოციების მოთოკვა უნდა შეძლოს — მხოლოდ ეს თქვა ნამატჩევს „სელტიკის" სლოვაკმა მწვრთნელმა იოჟეფ ვენგლოშმა.

— მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ჩვენი გულშემატკივრების უმეტესობას თვალზე ცრემლი შევნიშნე. იმედგაცრუებისთვის ყველას ბოდიშს ვუხდით — ეს სიტყვები უკვე ექსჩემპიონის პრესმდივან პიტერ მაკლინის ეკუთვნის.

მაშ, ასე, გლაზგოს „რეინჯერსი" შოტლანდიის ახალი ჩემპიონია. დიდი გლაზგოური დერბი კი ამ სეზონში, ამით არ დასრულებულა — 29 მაისს „ემპდენ პარკზე" ქვეყნის თასის ფინალში ეს ორი გრანდი კვლავ შეხვდება ერთმანეთს. „სელტიკი" შურისძიებისთვის ემზადება.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 22 | 6 | 5 | 72:29 | 72 |
| სელტიკი | 33 | 18 | 8 | 7 | 77:31 | 62 |
| კილმარნოკი | 33 | 14 | 11 | 8 | 45:27 | 53 |
| სტ. ჯონსტონი | 33 | 14 | 10 | 9 | 37:37 | 52 |
| დანდი | 33 | 11 | 7 | 15 | 31:53 | 40 |
| მოზერველი | 33 | 9 | 10 | 14 | 32:48 | 37 |
| აბერდინი | 33 | 10 | 7 | 16 | 38:61 | 37 |
| ჰართსი | 33 | 9 | 8 | 16 | 35:47 | 35 |
| დანდი იუნ. | 33 | 8 | 9 | 16 | 35:42 | 33 |
| დანფერმლაინი | 33 | 4 | 16 | 13 | 25:52 | 28 |




სელტიკი — რეინჯერსი 0:3. „სელტიკის" დანიელი ლეგიონერი ვიგჰორსტი (ზოლიან მაისურში) სტუმართა ამერიკელ ფორვარდ რეინას უშლის ხელს

## ბელგია

XXXI ტური

**სტანდარდი 0:6 ანდერლეხტი**
0:1 შიფო (1), 0:2 ბაზეჯიო (28), 0:3 რადზინსკი (33), 0:4 იაშჩუკი (34), 0:5, 0:6 რადზინსკი (49, 65)
სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, პელერსი, რენიე, გოდფრუა (ტიისი 46), დე კონდე, ერნსტი, ფოლია, ბისკონტი (ლუკუნკუ 37), მორნარი (რემაკლი 75), ემილ მპენზა

**ლიერსი 2:3 ლოკერენი**
0:1 ვონაშეკი (17), 0:2, 0:3 ლისასი (42, 50), 1:3 ვან მეირი (78), 2:3 ჰუისმანსი (84)
ლიერსი: დემონი, ბროკენი (ჰააგდორენი 64), ვან მეირი, ჰოფკენსი, დაემსი, პოორტერსი (ჰუისმანსი 46), ლარემანსი, სერნეელსი, ზდებელი, ვან დე ვეიერი (სპიტენი 72), კავენსი

**გენკი 4:1 სტ. ტრუიდენი**
1:0 გუდიონსონი (8), 2:0 ორიჯი (32), 2:1 ტეპერსი (36), 3:1 სტრუპარი (45პ), 4:1 ორიჯი (77)

**შარლერუა 1:2 ბრიუგე**
1:0 ბრონო (50), 1:1 ლემბი (60), 1:2 ვერჰეიენი (83)

**აალსტი 1:4 მუსკრონი**
0:1, 0:2 ტანგე (20, 33), 1:2 დე ვლეესშოვერი (40 სკ.), 1:3 პიერი (52), 1:4 ტანგე (82)

**გენტი 2:2 ლომელი**
1:0 რუსელი (1), 1:1 დეკელვერი (3), 2:1 ნილსენი (47), 2:2 დეკელვერი (75)

**კორტრაიკი 1:2 ეკერენი**
0:1 სევერეინსი (38), 1:1 ჟოლი (67), 1:2 ბართლომეუსენი (88)

**ოსტენდე 1:0 ჰარელბეკი**
1:0 კუფესი (10)

**ბევერენი 1:0 ვესტერლო**
1:0 ბონეტო (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 31 | 20 | 7 | 4 | 67:32 | 67 |
| ბრიუგე | 31 | 20 | 5 | 6 | 57:32 | 65 |
| ანდერლეხტი | 31 | 18 | 7 | 6 | 64:36 | 61 |
| მუსკრონი | 31 | 18 | 7 | 6 | 72:45 | 61 |
| ლოკერენი | 31 | 16 | 6 | 9 | 63:53 | 54 |
| სტანდარდი | 31 | 17 | 2 | 12 | 52:39 | 53 |
| სტ. ტრუიდენი | 32 | 14 | 8 | 10 | 50:43 | 50 |
| გენტი | 31 | 13 | 9 | 9 | 51:54 | 48 |
| ლიერსი | 31 | 13 | 6 | 12 | 60:46 | 45 |
| ეკერენი | 31 | 13 | 6 | 12 | 44:43 | 45 |
| ჰარელბეკი | 31 | 10 | 9 | 12 | 42:43 | 39 |
| ვესტერლო | 31 | 11 | 5 | 15 | 51:55 | 38 |
| აალსტი | 31 | 8 | 7 | 16 | 42:62 | 31 |
| შარლერუა | 31 | 6 | 11 | 14 | 37:49 | 29 |
| ბევერენი | 31 | 7 | 5 | 19 | 29:55 | 26 |
| ლომელი | 31 | 6 | 7 | 18 | 30:48 | 25 |
| კორტრაიკი | 32 | 5 | 7 | 20 | 44:77 | 22 |
| ოსტენდე | 31 | 3 | 10 | 18 | 25:68 | 19 |

## ჰოლანდია

XXXI ტური

**აიაქსი 6:0 ფეიენოორდი**
1:0 გრონკიაერი (30), 2:0 ვამბერტო (48), 3:0 სიბონი (49), 4:0, 5:0 ლიტმანენი (68, 85), 6:0 შ. არველაძე (90)

**ნაიმეგენი 0:1 უტრეხტი**
0:1 მოლსი (16)

**სპარტა 0:4 ტილბურგი**
0:1 ბომბარდა (14), 0:2 რამზი (40), 0:3 სესაი (86), 0:4 შულპი (90)

**კამბური 0:0 ჰერენვენი**

**როდა 3:1 გრააფსხაპი**
1:0 ნიგაარდი (45), 1:1 ვისკაალი (75), 2:1 ვალგერენი (83), 3:1 ზაფარინი (90)

**ტვენტე 2:2 სიტარდი**
0:1 სიმონსი (26), 1:1 დე ვიტე (45), 1:2 ჯეფრეი (54), 2:2 ჰესელინკი (70)

**ეინდჰოვენი 2:2 ვალვაიკი**
1:0 რომდალი (3), 2:0 ვან ნისტელროი (55), 2:1, 2:2 უგენდორპი (68, 71)

**ვიტესი 0:1 ალკმაარი**
0:1 უიბერტსი (31)

**მაასტრიხტი 3:3 ბრედა**
1:0 დე იონგი (16), 1:1 შუკოვი (31), 1:2 ა. არველაძე (48), 2:2 პერესი (49), 2:3 ვან დერ ვეერტი (71), 3:3 იანსენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 30 | 22 | 5 | 3 | 68:35 | 71 |
| ტილბურგი | 31 | 18 | 5 | 8 | 62:43 | 59 |
| ეინდჰოვენი | 31 | 15 | 10 | 6 | 73:46 | 55 |
| ვიტესი | 31 | 16 | 7 | 8 | 56:40 | 55 |
| როდა | 30 | 15 | 8 | 7 | 52:34 | 53 |
| ჰერენვენი | 31 | 14 | 10 | 7 | 51:38 | 52 |
| აიაქსი | 31 | 14 | 8 | 9 | 66:38 | 50 |
| ტვენტე | 31 | 12 | 12 | 7 | 46:39 | 48 |
| ალკმაარი | 31 | 11 | 11 | 9 | 46:50 | 44 |
| სიტარდი | 31 | 11 | 8 | 12 | 41:44 | 41 |
| უტრეხტი | 31 | 10 | 8 | 13 | 51:56 | 38 |
| ნაიმეგენი | 31 | 9 | 8 | 14 | 38:50 | 35 |
| გრააფსხაპი | 31 | 8 | 11 | 12 | 36:50 | 35 |
| კამბური | 31 | 7 | 10 | 14 | 34:56 | 31 |
| მაასტრიხტი | 31 | 6 | 11 | 14 | 38:55 | 29 |
| სპარტა | 31 | 6 | 4 | 21 | 32:66 | 22 |
| ვალვაიკი | 31 | 4 | 9 | 18 | 33:58 | 21 |
| ბრედა | 31 | 3 | 9 | 19 | 32:57 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 27 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 21 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 20 |
| მოლსი (უტრეხტი) | 18 |

## ნორვეგია

მე-4 ტური. ბოდო გლიმტი — ბრანი 1:3; კონგსვინგერი — როსენბორგი 0:1; მოსი — გრელანდი 1:0; ტრომსო — ვიკინგი 1:3; სკეიდი — სტრომსგოდსეტი 4:0; ლილესტრიომი — სტაბეკი 1:2; მოლდე — ვალერენგა წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტაბეკი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 9 |
| მოლდე | 3 | 3 | 0 | 0 | 9:3 | 9 |
| ლილესტრიომი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:7 | 9 |
| გრელანდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| როსენბორგი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:5 | 7 |
| ვალერენგა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ვიკინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| ბრანი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:13 | 6 |
| ტრომსო | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| ბოდო გლიმტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| სკეიდი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| სტრომსგოდსეტი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:11 | 3 |
| მოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |
| კონგსვინგერი | 4 | 0 | 0 | 4 | 7:11 | 0 |

## საბერძნეთი

28-ე ტური. კავალა — ოლიმპიაკოსი 0:2; პანათინაიკოსი — ქსანტი 2:1; არისი — აეკი 2:0; პანელეფსინიაკოსი — პაოკი 0:4; აპოლონი — იონიკოსი 1:1; პანილიაკოსი — პანიონისი 2:0; ეთნიკოსი (პირეოსი) — ირაკლისი 1:2; ოფი — პრუდეფტიკი 0:0; ვერია — ეთნიკოსი (ასტირი) წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 28 | 23 | 2 | 3 | 70:19 | 71 |
| აეკი | 28 | 19 | 4 | 5 | 60:24 | 61 |
| პანათინაიკოსი | 28 | 19 | 3 | 6 | 57:33 | 60 |
| პაოკი | 28 | 15 | 5 | 8 | 37:25 | 50 |
| ქსანტი | 28 | 13 | 7 | 8 | 36:27 | 46 |
| ოფი | 28 | 14 | 3 | 11 | 41:32 | 45 |
| არისი | 28 | 14 | 3 | 11 | 40:37 | 45 |
| იონიკოსი | 28 | 12 | 8 | 8 | 50:34 | 44 |
| ირაკლისი | 28 | 12 | 7 | 9 | 41:[illegible] | 43 |
| კავალა | 28 | 10 | 6 | 12 | 41:53 | 36 |
| ეთნიკოსი (ა) | 27 | 10 | 4 | 13 | 32:44 | 34 |
| პანილიაკოსი | 28 | 9 | 5 | 14 | 32:43 | 32 |
| აპოლონი | 28 | 7 | 9 | 12 | 35:51 | 30 |
| პრუდეფტიკი | 28 | 7 | 7 | 14 | 20:31 | 28 |
| პანიონისი | 28 | 8 | 3 | 17 | 36:45 | 27 |
| პანელეფსინიაკოსი | 28 | 5 | 11 | 12 | 19:38 | 26 |
| ვერია | 27 | 4 | 5 | 18 | 15:45 | 17 |
| ეთნიკოსი (პ) | 28 | 0 | 8 | 20 | 15:66 | 8 |

## სლოვენია

სლოვენია. 26-ე ტური. კოროტანი — ბელტინჩი 2:1; ოლიმპია — ველენიე 1:1; ტრიგლავი — მურა 2:1; დომზალე — ნოვა გორიცა 0:0; ცელიე — მარიბორი 0:0; კოპერი — აიდოვშინა 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 26 | 14 | 8 | 4 | 56:26 | 50 |
| ნოვა გორიცა | 26 | 14 | 6 | 6 | 43:27 | 48 |
| ველენიე | 26 | 13 | 7 | 6 | 33:19 | 46 |
| მურა | 26 | 12 | 5 | 9 | 42:26 | 41 |
| ოლიმპია | 26 | 11 | 6 | 9 | 46:34 | 39 |
| კოროტანი | 26 | 11 | 6 | 9 | 35:35 | 39 |
| აიდოვშინა | 26 | 10 | 6 | 10 | 31:29 | 36 |
| ცელიე | 26 | 6 | 11 | 9 | 20:27 | 29 |
| ბელტინჩი | 26 | 8 | 4 | 14 | 28:49 | 28 |
| დომზალე | 26 | 6 | 8 | 12 | 23:41 | 26 |
| კოპერი | 26 | 6 | 6 | 14 | 24:48 | 24 |
| ტრიგლავი | 26 | 5 | 7 | 14 | 23:43 | 22 |

## ავსტრია

31-ე ტური. გრაცერი — ლინცერი 2:1; რიდი — შტურმი 0:3; ზალცბურგი — აუსტრია 3:0; შტაირი — ლუსტენაუ 2:0; რაპიდი — ტიროლი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 31 | 18 | 10 | 3 | 48:22 | 64 |
| შტურმი | 31 | 20 | 3 | 8 | 61:27 | 63 |
| გრაცერი | 31 | 17 | 5 | 9 | 38:26 | 56 |
| ზალცბურგი | 31 | 13 | 10 | 8 | 48:35 | 49 |
| ლინცერი | 31 | 13 | 6 | 12 | 41:37 | 45 |
| ტიროლი | 31 | 11 | 10 | 10 | 37:37 | 43 |
| აუსტრია | 31 | 11 | 10 | 10 | 34:35 | 43 |
| რიდი | 31 | 7 | 7 | 17 | 23:38 | 28 |
| ლუსტენაუ | 31 | 3 | 11 | 17 | 21:53 | 20 |
| შტაირი | 31 | 3 | 6 | 22 | 26:67 | 12 |

## ლატვია

მე-4 ტური. ვენტსპილსი — პოლიციასი 5:2; რეზეკნე — რიგა 0:0; მეტალურგსი — ვალმიერა 3:0; სკონტო — დინაბურგი 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| მეტალურგსი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:2 | 9 |
| სკონტო | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| რიგა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| ვალმიერა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| პოლიციასი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:9 | 3 |
| დინაბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | 2 |
| რეზეკნე | 4 | 0 | 1 | 3 | 1:11 | 1 |

## რუსეთი

V ტური

**სპარტაკი 2:0 ჩერნომორეცი**
1:0 ტიტოვი (18), 2:0 კეჩინოვი (38)

**ცსკა 2:2 ზენიტი**
1:0 კულიკი (25), 1:1 პანოვი (35), 2:1 კულიკი (44), 2:2 პოპოვიჩი (54)

**ტორპედო 1:1 ალანია**
0:1 თედეევი (23), 1:1 სკაჩენკო (35)

**სატურნი 3:3 დინამო**
1:0 გავრილინი (15), 1:1 გოლოვსკოი (21), 2:1 მენშჩიკოვი (30), 2:2 რომაშჩენკო (39), 3:2 მედვედევი (80), 3:3 რომაშჩენკო (87)

**როტორი 2:0 შინიკი**
1:0, 2:0 ვერეტენიკოვი (29, 84პ)

**ჟემჩუჟინა 1:4 ლოკომოტივი**
0:1 გურენკო (54), 0:2, 0:3 სარქისიანი (55, 61), 0:4 ოვანესიანი (70), 1:4 იაშჩენკო (73პ)

**როსტსელმაში 2:0 ურალანი**
1:0 კოლოტოვკინი (28), 2:0 ბესმერტნი (64)

**ნ. ნოვგოროდი 3:0 კრილია**
1:0 დზამიკოვი (12), 2:0 კრუკოვეტსი (14), 3:0 ავაქოვი (32)

რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მე-5 ტური ჩატარდა. მოსკოვის „სპარტაკმა" კი მე-7 მატჩი გამართა. ჩემპიონებმა იოლად მოუგეს „ჩერნომორეცს" და პირველ ადგილზე მყარად დამკვიდრდნენ. თუმცა დაკარგული ქულების მიხედვით პირველები დედაქალაქელი დინამოელები არიან. იარცევის შეგირდებმა კვლავ გააგრძელეს დაუმარცხებელი სერია, მაგრამ ყოველივეს დიდი ნერვიულობის ფასად მიაღწიეს. დებიუტანტი „სატურნი" შინ სამჯერ უგებდა „დინამოს" და რომ არა მოსკოველი რომაშჩენკოს აქტიური თამაში, სტუმრებს პირველ მარცხსაც აგემებდა. ამ შეხვედრაში რამენსკოეში მაყურებელთა დასწრების სარეკორდო ციფრი — 18 ათასი დაფიქსირდა.

დაუმარცხებლები არიან მოსკოველი არმიელებიც. დოლმატოვის შეგირდებს კარგი შანსი ჰქონდათ თასის ნახევარფინალში დამარცხებისთვის სანქტპეტერბურგელებთან რევანში აეღოთ. თანაც „ზენიტს" მაქსიმოვი, ოვსეპიანი და კობელევი არ ჰყავდა, მაგრამ მეტოქეს ტოლი არ დაუდო და დაგეგმილი ქულაც მოიპოვა.

მესამე ტურში გაძევებული ზაზა ჯანაშია ორი მატჩის დისკვალიფიკაციით დასაჯეს. „ლოკომოტივსაც" უმისოდ მოუწია სოჭში ჩასვლა, თუმცა საერთოდ არ გასჭირვებია გამარჯვება. ამ შეხვედრაში ერთმა ქართველმა მაინც მოახერხა „თავის გამოჩენა". „ჟემჩუჟინას" თავდამსხმელი და ლიდერი გოჩა გოგრიჭიანი 81-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს. თუმცა 21 წუთით ადრე რკინიგზელ გურენკოსაც აუფრიალეს წითელი.

კვლავ წააგო ზურაბ ფოფხაძისა და ზურაბ წიკლაურის „კრილიამ". ნიჟნი ნოვგოროდში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოუთავა საქმე სამარელებს, რომელთაც 79-ე წუთზე მკრტჩიანი გაუძევს. „კრილიას" და „ჟემჩუჟინას" წლეულს სერიოზული ბრძოლა მოუწევთ პირველ დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად.

„ალანიას" მოსკოვური ფრე წარმატებულ შედეგად უნდა ჩაითვალოს, რადგან ვლადიკავკაზელებს, როგორც წესი, დედაქალაქურ კლუბებთან თამაში ძალიან უჭირთ. გაზაევის ხელმძღვანელობით გუნდს მოსკოვში 1995 წლის მერე არ მოუგია. 4 წლის წინ „სპარტაკი" დაამარცხა სტუმრად 2:1.

ქულის ალებას ვერ ახერხებს აშკარა აუტსაიდერი „ურალანი". შინაურ მატჩებშიც სხვის სტადიონებზე მოთამაშე გემეზაშვილის გუნდი, მე-6 ტურში საკუთარ ელისტაში უმასპინძლებს „ტორპედოს" და ვნახოთ, გულშემატკივრების მხარდაჭერა თუ მაინც უშველის.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 7 | 6 | 0 | 1 | 13:3 | 18 |
| დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 13 |
| როტორი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| ცსკა | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| სატურნი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ალანია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| როსტსელმაში | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ზენიტი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ნ. ნოვგოროდი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:4 | 5 |
| ჩერნომორეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| შინიკი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| კრილია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |
| ურალანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:8 | 0 |

# ძაგნიძე არც ისვენებს და არც ასვენებს

რუსთავი. 2 მაისი

**რუსთავი — დათვები**

**0:78(0:47)**

რუსთავი: მელაძე, კვიჟინაძე, სამხარაძე, გიგაური, ნარსია, მღებრიშვილი, ნადირაშვილი, ტიკარაძე (ქერტკოევი), გელაშვილი, ლობჟანიძე, მჭედლიშვილი, ღირსიაშვილი, მეფარიშვილი, ნაირაშვილი, მინდორაშვილი

დათვები: ნინიძე (ღლონტი), გურეშიძე (წუთაძე), ფირცხალავა, აბაშიძე, რეხვიაშვილი, სვანიძე, ფხაკაძე (თედორაძე), აბდალაძე, გაბელაია, ნ. ძაგნიძე, ხონელიძე (აგლაძე), ძოწენიძე (ჩხარტიშვილი), ე. ძაგნიძე (ჯანაშია), შარვაშიძე, ჩუბინიძე

10ლ — შარვაშიძე (3), ე. ძაგნიძე (2), ჩუბინიძე (2), აბდალაძე, რეხვიაშვილი (2), ხონელიძე, სვანიძე; 9გ — ნ. ძაგნიძე

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი

მეთვალყურე: კაკაბაძე

რუსთაველთა ახლადშექმნილ გუნდს კალენდარმა თავიდანვე ძნელი გამოცდა მოუწყო. ჯერ იყო და, პირველ ტურში მათ ქვეყნის ჩემპიონი „ყოჩები“ ეწვია, ახლა კი ვიცე-ჩემპიონ „დათვებს“ უმასპინძლეს. თუ თბილისელებმა მასპინძლები 76:0 დაამარცხეს, მათ არც ბათუმელები ჩამორჩნენ და ორი ქულით მეტის მოპოვებაც შეძლეს „ინტერნატის“ მოედანზე.

შეხვედრა, რა თქმა უნდა, „დათვების“ იერიშებით დაიწყო და მერეც ასევე გაგრძელდა. „რუსთავის“ მთავარი საფიქრალი რაც შეიძლება ნაკლები ანგარიშით წაგება იყო. სტუმრებმა პირველ ლელოს ორიოდ წუთიც არ მოანდომეს. გარდასახვა, ისევე როგორც დანარჩენი 11 ლელოსი, ქართული რაგბის ვეტერანმა ნუგზარ ძაგნიძემ დაარტყა. 12 ცდიდან მან 9-ჯერ გაატარა ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი კვლავაც კარგ ფორმაშია. თუმცა, შეხვედრის ბოლოსკენ ბათუმელთა მე-10 ნომერს დაღლა შეეტყო და შეცვლაც ითხოვა, მაგრამ „დათვების“ ყველა სათადარიგო ამ დროისთვის უკვე ჩართულიყო თამაშში და ნუგზარსაც მატჩის ჩათავებამ მოუწია. ისე, მსაჯმაც, ალბათ მისი ხათრით, შეხვედრა რამდენიმე წუთით ადრე დაამთავრა...

რუსთაველების დაცვის გარღვევა სტუმრებს არც შემდგომ გასჭირვებიათ. თუმცა მათ თამაშში მაინც შეიმჩნეოდა მცირედი ხარვეზები; ეტყობა, დათვებმა ზამთრის ძილს თავი მთლიანად ჯერ კიდევ ვერ დაალწიეს. ისე, ისინი მხოლოდ მას შემდეგ „დაწყნარდნენ“, როცა ანგარიში 78:0 გახდა, ანუ როცა რუსთაველებს „ყოჩებზე“ მეტად გაასწრეს.

მასპინძლებს რამდენიმე ქულის აღების შანსი კი მიეცათ, მაგრამ მათ მოწინააღმდეგის სალელოე მოედნიდან 25-30 მეტრის მოშორებით საჯარიმოს დარტყმას გათამაშება არჩიეს და პირველი ტურის მსგავსად, კვლავაც უქულოდ დატოვეს მოედანი. მათი ენთუზიაზმის შემხედვარე კაცს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ მათგან ჩვენი ჩემპიონატის საშუალო გუნდი შეიძლება დადგეს, თუმცა ამის მისაღწევად ბევრი და მუხლჩაუხრელი შრომა მართებთ.

**გაგი გურული**

# ზორდაც ვნახეთ



ამ ფოტოზეც ჩანს, რომ ზორდელებს ჟინი არ აკლდათ, მაგრამ ლოკომოტიველებმა ლელო ლელოზე მიითვალეს

თბილისი. 2 მაისი

**ლოკომოტივი 1 — ზორდა**

**30:0 (11:0)**

ლოკომოტივი 1: მაჭუტაძე, ჯაველიძე (თოფურიძე), კერესელიძე, ჩადუნელი, გოგელაძე, კობახიძე, ცხომელიძე, კახიანი, სარიშვილი (ბერიძე), კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ანდღულაძე (ჩაჩუა), ალანია, ძნელაძე, იოვაძე

4ლ — ბუგიანიშვილი, კვინიხიძე, სარიშვილი, ალანია; 2გ და 2ს — კვინიხიძე

ზორდა: შველიძე, ჭელიძე, მაგრაქველიძე (ბერიაშვილი), სორდია, ზედგინიძე, ვართანიანი (ჩაკვეტაძე), გ. ხაბეიშვილი (ბურდული), დ. ხაბეიშვილი (დიდებულიძე), ხუციშვილი, ჯანელიძე, მგელაძე, მაისურაძე, გომარელი, ჩაკვეტაძე, ხვიჩია

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

ანგარიშმა არ შეგაცდინოთ. მატჩი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა. შედეგი კი სხვას მეტყველებს, მაგრამ იმ დღეს ერთმანეთის პირისპირ ორი მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი გუნდი იდგა. შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, „ზორდა“ უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა, აი, თამაშის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ — პირიქით. რკინიგზელებმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანეს და ახალი წესების თანახმად, რომელიც მეოთხე ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულის მინიჭების ითვალისწინებს, ბათუმელებთან ერთად ლიდერობენ პირველობას. პირველ ტაიმში „ზორდამ“, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბურთი მეტოქის ლელოს მოედანთან ვერ მიიტანა, რკინიგზელებმა კი ეს ერთხელ შეძლეს და ისიც წარმატებით დააგვირგვინეს. დარჩენილ დროში თამაში ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა და უამრავი შეცდომის გამო ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა რაიმე ღირებულის გაკეთებას. ორჯერ იყო მხოლოდ, ზორდელები რომ დაჯარიმდნენ და ორჯერვე კვინიხიძისგან დაისაჯნენ.

მეორე ნახევარი ორი წუთის დაწყებული იყო, რომ „ზორდამ“ მშვენიერი შეტევა განახორციელა და თითქოს ლელოც გაიტანა, მაგრამ მხოლოდ თითქოს. როგორც შეხვედრის არბიტრმა აღნიშნა, ლოკომოტიველ გუჯა იოვაძეს ბოლო წამს მეტოქის აუტში გადაყვანა მოუსწრია. აქედან ორ წუთში კი უკვე „ლოკომოტივმა“ გაიტანა და ისევ ზორდელთა შეცდომის წყალობით. დარჩენილ დროში „ზორდას“ სულ ცოტა ორი ლელო მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ მობურთალნი ბოლო მომენტში სცოდავდნენ. „ლოკომოტივმა“ კი მეტოქის ყველა შეცდომით ისარგებლა და ანგარიშში სოლიდური სხვაობაც ამან განაპირობა.

**ბაატა თოთაძე**

# რა უთხრა ბურძგლამ სტუდენტებს?

თბილისი. 2 მაისი

**უნივერსიტეტი — ლოკომოტივი 2**

**36:10(12:10)**

უნივერსიტეტი: კობიაშვილი (ელოშვილი), ჯანუკაშვილი, წიკლაური, რაცანიძე, ბიძინაშვილი, მჭედლიშვილი, ლაბაძე (სქარეული), ჭუმბურიძე, კიზირია, ბარამიძე, ჯაში (ვეფხვშვილი), ჯაგრიშვილი, ახობაძე (თავაძე), ქირიკაშვილი, ბოლაშვილი

6ლ — ქირიკაშვილი (3), ჭუმბურიძე, ჯაში, ბარამიძე, 3გ — ჯავრიშვილი

ლოკომოტივი 2: კვანტალიანი, გიუნაშვილი, კერესელიძე, გიორგაძე, მაღალთაძე (ღლენტი), უდესიანი, ჯოხია, სუჯაშვილი (ჯიბლაძე), ბერიძე, ხუნწარია, გუგავა, ხვიჩია, ახალაია, ყაჯრიშვილი, მხეიძე.

2ლ — ჯოხია, მაღალთაძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

ამინდის ბრალი თუ იყო, მატჩი ძალიან დუნედ რომ დაიწყო. შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მოთამაშეებს ბურთაობა ეზარებოდათ. ანგარიში რკინიგზელებმა გახსნეს მე-8 წუთზე, ბოლაშვილის შეცდომით ჯოხიამ ისარგებლა. საერთოდ, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია, ორივე გუნდმა ორ-ორი ლელო გაიტანა. ოღონდ თუ რკინიგზელმა ხუნწარიამ თანაგუნდელთა ლელოების გარდასახვა ვერ შეძლო, მეტოქე ჯავრიშვილმა ეს პირველ ტაიმში ერთხელ მოახერხა.

შესვენებაზე, ეტყობა, გურამ მოდებაძემ კარგად დამოძღვრა თავისიანები, რადგან უნივერსიტეტი მეორე ტაიმში ერთი თავით სჯობდა მეტოქეს. დასაწყისშივე ქირიკაშვილის მიერ გატანილმა ორმა ლელომ „ლოკომოტივი“ სტატისტად აქცია. მთლიანად მოიშალა შერკინება, ვერ ხერხდებოდა კომბინაციის გათამაშება, ხშირად ცდებოდნენ უკანახაზელები. ყოველივე ეს რკინიგზელებს კიდევ ორ გაშვებულ ლელოდ დაუჯდათ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა აუტებში, შეიძლება ითქვას, პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე, ამ მხრივ განსაკუთრებით ლაბაძე გამოირჩეოდა. მატჩის ბოლოს მოდებაძემ ძირითადის რამდენიმე მობურთალი დაასვენა, მაგრამ არც მათ შემცვლელებს შეურცხვენიათ თავი. სტუდენტთა შერკინებამ პირწმინდად დაჩაგრა მეტოქის მორკინალები. ბოლო ხუთი წუთი ლოკომოტიველთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ მხოლოდ ტერიტორიულით, რადგან მათი შეტევების მოგერიება უნივერსიტეტს არ გასჭირვებია.

უნდა ითქვას, რომ პირველ მატჩთან შედარებით „უნივერსიტეტი“ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. მართალია, მეტოქეც არ ჰყავდა იმ დონისა, პირველ ტურში რომ დაუპირისპირდა სტუდენტებს, მაგრამ არც „ლოკომოტივი 2“-ია ისეთი ჯაბანი, ვისაც მოესურვება, ყველამ დაიბრიყვოს.



უნივერსიტეტელმა გოჩა ლაბაძემ (მარჯვნივ) აუტებში ძალიან ივარგა

**ბაჩო სვანიძე**

**ზე-12. X ტური**

| | |
|---|---|
| კრაისტჩერჩი 58:38 იოჰანესბურგი | ბრისბენი 30:13 სიდნეი |
| კეიპტაუნი 37:23 ოკლენდი | დანიდინი 9:8 კანბერა |
| | ჰამილტონი 32:19 დურბანი |

# სად საფრანგეთი და სად...



მოსკოველი ვეტერანი ედუარდ კობზევი ბათლომე ხამაშურიძემ შებოჭა

ორი აკადემიკოსი, ოთხი მეცნიერებათა დოქტორი, კოსმოსური ცენტრის განყოფილების უფროსი, „ჟელეზნოდოროჟნი“ რაიონის მერი, რუსეთის სამხედრო მშენებლობის კომპლექსის ვიცე პრეზიდენტი, მილიციის გენერალი, დიდი ბანკის მმართველი, ოსტანკინოს ტელეცენტრის ტექსამსახურის ხელმძღვანელი, გზათა მიმოსვლის მინისტრის მოადგილე... აი, ასეთი ხალხით ეწვია ქუთაისს მოსკოვის ვეტერან მორაგბეთა გუნდი.

საორმაისოდ რუს და ქართველ „ბებერ ხართა“ მოსალოდნელი შერკინების შესახებ ადრეც გაუწყეთ, მაგრამ რუსთა ჩამოსვლა ბოლო მომენტამდე საეჭვო იყო — მოსკოველ ვეტერანებს მაისის დამდეგს საფრანგეთშიც ელოდნენ. აქეთ თუ იქით, საით სჯობსო და... რუსებმა ჩვენსკენ გამოსწიეს. ყოფილ საბჭოეთში რაგბის თამაში ოფიციალურად 40 წლის წინ დაეწყოთ და ქუთაისშიც სწორედ საბჭოთა მორაგბეთა იმ პირველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები გვესტუმრნენ: ვალერი სოკოლოვი, ვიქტორ და ევგენი კანუნიკოვები, ბორის ბლინიკი, სერგეი იურიევი, ალექსანდრ ველიჩკინი, ანდრეი რახმანოვი, ალექსანდრ ელეხინი, ალექსანდრ ბარბარიუში, ვლადიმერ დიაკინი, ლევ ოსტროუმოვი, ანატოლი ტუმანოვი და სხვანი.

მასპინძელთა შემადგენლობაც ძირითადად 60, 70-იან წლებში ვალმოხდილი მოთამაშეებისა გახლდათ: დუგლას კავთელაშვილი, ოთარ ალავიძე, ავთანდილ ჩოგოვაძე, თემურ რუხაძე, ვახტანგ შვანგირაძე, გიზო ცქიტიშვილი, დიმიტრი დევიძე, თენგიზ გულვერდაშვილი, თემურ არჩაია, ჯუმბერ დემეტრაშვილი, ომარ წერეთელი, ელგუჯა მამაგეიშვილი, ზურაბ ცერცვაძე, ნოდარ თადუმაძე, დავით რეხვიაშვილი, ავთანდილ ჩუბინიძე, ნუგზარ ფურცხვანიძე, თამაზ ცქიტიშვილი, რობერტ ობოლაძე, ოლეგ ლიპარტელიანი, ბათლომე ხამაშურიძე, ალექსანდრე ნაჭყებია (მწვრთნელი შალვა ქურციკიძე).

კავთელაშვილის ზუსტ საჯარიმოს მოსკოველებმა უმალ ორი ლელოთი და ერთი გარდასახვით უპასუხეს და თამაშიც მათი კარნახით მიმდინარეობდა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ბოლოსკენ მასპინძლებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. ნაჭყებიამ და ობოლაძემ ლელოები გაიტანეს, ხამაშურიძემ და კავთელაშვილმა გარდასახეს და 17:12. თამაშის მსაჯის გივი მრელაშვილის საფინალო სასტვენმა ქუთაისელ ვეტერანთა გამარჯვება გვაუწყა.

**იუზა ძაციტაძე**

**ქუთაისიდან**

5-6 მაისს ჩატარდება სპეციალური სპორტული ფესტივალი ინვალიდ ბავშვთა შორის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი. შეჯიბრებები დაიწყება 5 მაისს 11 საათზე სპორტის აკადემიის სპორტულ ბაზაზე (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტი).

სპორტული ფესტივალის გახსნა შედგება 5 მაისს 18 საათზე ვერის პარკის კალათბურთის სასახლის დარბაზში.

*საქართველოს ინვალიდთა სპორტული ფედერაცია*

# ფინიშმა ლეგიონერები მოამრავლა

**1 მაისი · თბილისი · ვერის ბაღი · 30 ტური**

**კოლხა 74:87 დინამო**

I ტაიმი 44:48
კოლხა: ბერიშვილი (13), თოდუა (2), კვაჭაძე (7), კეიდია (21), უგრეხელიძე (23); არველაძე (8), ძიძიგური, ჟღენტი, ფენდერავა
დინამო: ვაშაკიძე (8), ხოშტარია (11), მაისურაძე (27), ნინიაშვილი (8), კილაძე (9); ნიკოლაძე (6), ნიკლაური (7), აბულაძე (2), შანიძე (6)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**შევარდენი 59:74 მაკაბი**

I ტაიმი 25:34
შევარდენი: კაზანჯიანი (20), მოისწრაფიშვილი (6), მაჭავარიანი (6), გაგნიძე (16), ღვინეფაძე (4); მესხი, ოქრიაშვილი (7)
მაკაბი: დ. ბერიშვილი (18), ი. ბერიშვილი (3), მჭედლიშვილი (16), ლასარეიშვილი (5), ფერიაშვილი (13); რიჟინაშვილი (2), ანდღულაძე (13), ნაცვლიშვილი (4)
მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**სტუ 103:93 თსუ**

I ტაიმი 48:53
სტუ: ჩერქეზიშვილი (10), მიქაძე (4), ნაცვლიშვილი (16), ჩხეიძე (33), ოთიურიძე (8); მოისწრაფიშვილი (2), გაგნიძე (8), ლოსაბერიძე (11), მინაშვილი, ცქიტიშვილი (11)
თსუ: ვეფხვაძე (6), წოწელია (26), მარკოიშვილი (4), ქარაბაკი (30), ხელაშვილი (18); არსიაშვილი, მშვილდაძე (6), დიმიტრიადი (3)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
დელეგატი: როლანდ ხომერიკი

**ასკ 67:104 აზოტი**

I ტაიმი 39:48
ასკ: ნოზაძე (7), აკოლაშვილი (13), გელაშვილი (13), სპარსიაშვილი (2), ნუცუბიძე (10); ნათაძე (14), ალავიძე (4), ჭყონია (4)
აზოტი: ჟღენტი (11), ჩაჩუა (5), გოგობერიშვილი (9), ბაბიაშვილი (18), ჯაფარიძე (21); ბერუაშვილი (14), გოგოლაძე (8), დანელიანი, კოჭლამაზაშვილი (4), ბარამიძე (1), ჯიმშელეიშვილი (13)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

**ვითა 75:59 სდასუ**

I ტაიმი 37:25
ვითა: უსტიაშვილი (17), ტურაშვილი (18), აბრამიძე (7), ორმოცაძე (4), კორძაძე; ბაქრაძე (3), ახალკაცი (10), კოკოლიშვილი (9), ჩუბინიძე (7)
სდასუ: თორთლაძე (3), უძილაური (17), ორჯონიკიძე (5), გიგაური (4), ხარაძე (7); არჩვაძე (8), გიგაშვილი (1), აბულაძე (8)
მსაჯები ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქუროძე

**პლეი ოფის** საგზურის მაძიებელთ მიზნის მისაღწევად ერთი ხერხისთვის მიუგნიათ. ლეგიონერებით გუნდების შევსება ხუმრობა არაა და ჩვენებური კლუბების მესვეურებიც შესაშურ ფხას იჩენენ. მოგვიმრავლდნენ ევროპულ ლიგებს ნაზიარევ-ნაჩვევი მობურთალნი, ვის აღარ ნახავთ ვერის ბაღში. თუმც ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა, ერთი-ორ ლეგიონერს კიდევ მოელიან სხვადასხვა ბანაკებში.

თქმა არ უნდა, ლეგიონერები გუნდებს საქმეს უფრო გაუიოლებენ, ჩემპიონატის დონეც ამაღლდება და სანახაობაც მეტი იქნება, მაგრამ... ამას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდებიან და პირველი, მგონი, „აზოტი" იქნება. გასაკვირი არცაა. თურმე ტყუილად უწვალიათ ოთარ ხმელიძეს და მის შეგირდებს. ნაბიჯ-ნაბიჯ მიზნისკენ მიმავალთ უცხოეთმოვლილი მოთამაშეები დაუპირისპირდებიან და ჩემპიონობაზე ოცნებასაც დაემშვიდობე...

ამ თემას თავი აქვე მივანებოთ, მით უმეტეს, რომ „აზოტის" თავკაცობა ჩივილს აპირებს (სად გაგონილა, კაცი ორ ჩემპიონატში მონაწილეობდესო) და ვნახოთ, რა გამოუვა ერთპიროვნულ ლიდერს.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული სტუდენტური დერბი გამოდგა. სტუ-ს და თსუ-ს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ. ისინი დაცვას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, მხოლოდ ქულების მოპოვებას ეშურებოდნენ და პირველ ნახევარში მართლაც უხვი მოსავალი მოიმკეს. შეტევას მოძალებული გუნდები ნაკლებად სცოდავდნენ და ანგარიშიც სწრაფად იზრდებოდა. ტაიმის შუაწელში სტუ უფრო გააქტიურდა და გაგნიძის სამიანებით შესამჩნევად დაწინაურდა. მოწინააღმდეგე სტუდენტები უმალ მოეგნენ გონს. წოწელია ჩვეულად ამოქმედდა, მისი სამიანებიც აღწევდა მიზანს და სხვაობა მალე ქულამდე შემცირდა (37:38). სტუ-ს თავკაცობამ ხშირ-ხშირ შეცვლებს მიმართა და დასვენებული მოთამაშეები მოიშველია, რათა უპირატესობა კვლავ ხელთ ეგდო. მაგრამ თსუ-მ ამასაც მოუძებნა გასაღები, პრესინგს იგივე დაუპირისპირა და მეტოქის კონტრიერიშებზე გამოჭერას შეეცადა. აკი გამოუვიდა კიდეც. პირველი ნახევრის მიწურულს 5 ქულით დაწინაურდა და ეს სხვაობა ბოლომდეც შეინარჩუნა.

მატჩის განახლებისთანავე ჩერქეზიშვილმა სამიანი ჩააგდო, რასაც ორი ზურგი საჯარიმო დაუმატა და ანგარიშიც გათანაბრდა. აქედან მოყოლებული თამაში, ქულა-ქულაზე გაჩაღდა, მაგრამ თსუ უფრო შეჭირვებული ჩანდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოთამაშეებს პერსონალურები მოუმრავლდათ და დაცვაში მეტი სიფრთხილე მართებდათ. ჯარიმები არც სტუ-ელებს დაჰკლებიათ, მაგრამ სწრაფად და უმტკივნეულოდ ახერხებდნენ მოთამაშეთა თამაშში ჩართვას. საქმე იქით მიდიოდა, რომ სტუ იმძლავრებდა და ასეც მოხდა. 6 წუთი რჩებოდა. ანგარიში კვლავ თანაბარი იყო (61:61), როცა სტუ-მ მეტოქის შეტევათა ჩაჭრას მიჰყო ხელი და შედეგიანობასაც უმატა. თუმც თსუელი წოწელია იხტიბარს არ იტეხდა, მის ზუსტ სამიანებს ხელაშვილიც და ქარაბაკიც უმატებდნენ თავიანთ მონაგარს, მაგრამ გალაღებულ სტუელებს რაღა შეაჩერებდათ — ბურთს უმეტესად ისინი ფლობდნენ, ორივე ფარსაც აკონტროლებდნენ და მეტოქის დაცვასაც იოლად არღვევდნენ.

„ვითა" — სდასუ-ს მატჩის მხილველს დიდი იმედგაცრუება ელოდა. შეხვედრა უინტერესო გამოდგა. ვითელები თავიდანვე მოგვევლინნენ მოედნის ბატონ-პატრონებად და დამსახურებულადაც მოიგეს. რაც შეეხებათ სდასუელთ, მათი უილაჯობის შემხედვარე ძნელად ირწმუნებდა კაცი, რომ ამ გუნდმა წინა წრეში „ვითა" დაამარცხა.

შეიძლება ითქვას, რომ „მაკაბიმ" საშიშ ზონას თავი დააღწია. ახლა „შევარდენის" დაჩაგვრით მოიფხანა გული. ზუსტი სამიანების იმედად მყოფ „შევარდენს" „მაკაბიმ" ცოტა ხანს აცალა წინ გასვლა და მერე კი დაიფრინა. მატჩის დაწყებიდან 4 წუთში 5 ქულით დაწინაურებული „შევარდენის" განავარდება აქვე დამთავრდა.

როგორც ყოველთვის, „კოლხამ" ახლაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია „დინამოს", მაგრამ საწადელს კვლავაც ვერ მიაღწია. სოხუმელი სტუდენტები ტაიმნახევარი ცდილობდნენ მეტოქესთან ტოლ-სწორად ეთამაშათ, ახერხებდნენ კიდეც. ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის მეცამეტე წუთამდე, როცა „დინამოს" ქულითღა ჩამორჩებოდნენ — 50:51. გარდატეხის შეტანა კი არ დასცალდათ, 5-5 პერსონალური დაუგროვდათ უგრეხელიძეს, კეიდიას და ბერიშვილს. ამის შემდეგ კოლხები გატყდნენ და „დინამომაც" საბოლოოდ იმძლავრა.

ასკ-„აზოტის" მატჩზე სათქმელიც არაფერია. 37-ქულიანი სხვაობა ყველაფერზე მეტყველებს.

**მამუკა ტუღუში**

**2 მაისი · თბილისი · ვერის ბაღი · 31 ტური**

**შევარდენი 82:95 ასკ**

I ტაიმი 33:38
შევარდენი: კაზანჯიანი (27), შ. გაგნიძე (12), მაჭავარიანი (7), ხობელია (7), ღვინეფაძე (12); მესხი (12), ოქრიაშვილი (5), მოისწრაფიშვილი
ასკ: ნათაძე (6), აკოლაშვილი (14), სპარსიაშვილი (13), გელაშვილი (30), ნუცუბიძე (12); ნოზაძე (6), ალავიძე (8), ჭყონია (6)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**თსუ 97:84 კოლხა**

I ტაიმი 45:40
თსუ: ვეფხვაძე (3), წოწელია (13), მარკოიშვილი (20), არსიაშვილი (17), ქარაბაკი (27); მგალობლიშვილი (10), დიმიტრიადი (7), მშვილდაძე
კოლხა: არველაძე (11), თოდუა (2), ქარუმიძე (19), კეიდია (14), უგრეხელიძე (13); კვაჭაძე (9), ბერიშვილი (16), ბერეკაშვილი
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**აზოტი 83:81 სდასუ**

I ტაიმი 35:43
აზოტი: ჟღენტი (21), ჩაჩუა, გოგობერიშვილი (18), ბაბიაშვილი (20), ჯაფარიძე (21); ბერუაშვილი (5), გოგოლაძე, ჯიმშელეიშვილი
სდასუ: თორთლაძე (27), უძილაური (24), ორჯონიკიძე (6), გიგაშვილი (8), ხარაძე (2); გიგაური (8), აბულაძე (6), ქურდიანი, არჩვაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**მაკაბი 74:82 სტუ**

I ტაიმი 32:37
მაკაბი: დ. ბერიშვილი (9), ი. ბერიშვილი (13), ლასარეიშვილი (4), მჭედლიშვილი (9), ფერიაშვილი (37); ანდღულაძე (2), რიჟინაშვილი
სტუ: ჩერქეზიშვილი, მიქაძე (2), ჩხეიძე (23), ნაცვლიშვილი (6), ოთიურიძე (13); ტუღუში (5), მოისწრაფიშვილი (4), გ. გაგნიძე (11), ლოსაბერიძე (7), მინაშვილი (9), ცქიტიშვილი (2), სუხიშვილი
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ლაშა თოიძე
დელეგატი: თენგიზ ქიქოძე

**დინამო 87:95 ვითა**

I ტაიმი 42:42
დინამო: მაისურაძე (10), ნიკოლაძე (28), ნინიაშვილი (12), ხეცურიანი (2), კილაძე (11); ვაშაკიძე (7), ხოშტარია (15), შანიძე (2), ნიკლაური
ვითა: უსტიაშვილი (8), აბრამიძე (24), კოკოლიშვილი (15), ორმოცაძე (8), კორძაძე (12); ტურაშვილი (12), ჩუბინიძე (13), ახალკაცი (3), ვაშაკიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: მურმან ქურიძე

**კვირას** ვერის ბაღში გამართული ხუთი შეხვედრიდან ინტერესი და დაძაბულობა არც ერთს მოჰკლებია. მეტოქეებმა ერთმანეთს მძაფრი ბრძოლა გაუმართეს და ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ვინაობა.

წლევანდელ ჩემპიონატში რუსთავის „აზოტმა" მეოთხედ დაამარცხა წლების მანძილზე უხერხული მეტოქე სდასუ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტურ გუნდს სამი წამყვანი მოთამაშე — შოთა მაჭარაძე, ლევან ქავხიშვილი და გიორგი ჩხეიძე აკლდა, სდასუელებმა თავიანთი ლიდერების — დავით თორთლაძისა და შოთა უძილაურის მშვენიერი თამაშის წყალობით მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

რუსთაველებს პრინციპულ თამაშებში ძირითადად 6 მოთამაშით უწევთ გამოსვლა. ამ შეხვედრაში მათი მცველი, ზაზა გაბისონია არ თამაშობდა, რაც „აზოტს" აშკარად დაეტყო. სწრაფი სდასუელების — თორთლაძისა და უძილაურის შეჩერება გაუჭირდათ, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ორივემ ერთად მთელი გუნდის მონაგარის ნახევარზე ბევრად მეტი ქულა დააგროვეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მატჩის მსვლელობისას რუსთაველებმა დაცვის ტაქტიკა რამდენჯერმე შეცვალეს. პირველი ნახევრის დასაწყისში „აზოტმა" პერსონალურ დაცვას მიმართა, თუმცა სდასუ-მ ყოველივეს თავი იოლად გაართვა — თორთლაძე და უძილაური შორეული სროლებით გადიოდნენ ფონს, თითქმის მთელი ტაიმის მანძილზე სტუდენტები ლიდერობდნენ, მაყურებელი კი რუსთაველთა გააქტიურებას ელოდა.

მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით დაძაბული გამოდგა. აზოტელებმა ნელ-ნელა შეამცირეს ანგარიშში სხვაობა. აქტიურობდა გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი. მისი ზუსტი სამქულიანის შემდეგ



მაკაბი — სტუ. სტუდენტი გაგნიძე (№7) ფერიაშვილის წინააღმდეგ

ჯერ ანგარიში გათანაბრდა და შემდეგ რამაზ გოგობერიშვილმა დააწინაურა კიდეც „აზოტი". ტაიმის შუაში მოედანზე სდასუელი ლადო აბულაძე გამოჩნდა, რომელმაც მეტად დროული სამიანი მოათავსა და თვისი გუნდი წინ გაიყვანა.

რუსთაველებმა სტუდენტების შეტევებს ზონური დაცვა დაუპირისპირეს, რამაც გაამართლა. სდასუ-მ ორი შეტევა ვერ გამოიყენა, „აზოტმა" კი ორივეზე შედეგიანად უპასუხა და 7 ქულით დაწინაურდა. ყველას ეგონა, სდასუ-ს ძალა აღარ ეყოფოდა, მაგრამ ისევ ლადო აბულაძეს სამიანი, შემდეგ დუდუ ორჯონიკიძის გარღვევა და ანგარიში კვლავ თანაბარია 76:76.

მატჩის მიწურულს კარგად ათამაშდა რუსთაველთა ცენტრი ირაკლი ჯაფარიძე. ირაკლიმ ორჯერ ჩააგდო და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, თორთლაძემ ორი ქულით შეამცირა სხვაობა.

დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ჟღენტმა სამქულიანით სდასუს იმედი გადაუწურა.

უშეღავათო ბრძოლა გაიმართა დღის ბოლო, მეხუთე შეხვედრაში „დინამოსა" და „ვითას" შორის. პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. გუნდები განსაკუთრებულ ყურადღებას დაცვას აქცევდნენ. აქედან გამომდინარე, გახშირდა ჯარიმები. რუსეთ-ისრაელ მოვლილი, ახ უკვე დინამოელი ირაკლი ვაშაკიძე როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ შეეწყო ჩვენებურ ბურთაობას და ტაიმის მიწურულს უკვე 4 ჯარიმა ჰქონდა. აქტიურობდა ირაკლი ხოშტარიაც. მან ლიდერობა ითავა და თანაგუნდელებს გააზრებული პასებით ამარაგებდა. „ვითაც" არაფერს თმობდა და მეტოქეს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

მეორე ნახევარში ხუთ-ხუთი ჯარიმით მოედანი დატოვეს დინამოელებმა — ირაკლი ვაშაკიძემ და ირაკლი მაისურაძემ. „დინამოს", ბუნებრივია, გაუჭირდა. მამუკა აბრამიძისა და გოდერძი კორძაძის ძალისხმევით „ვითა" დაწინაურდა, მაგრამ ახლა ნიკოლაძემ ჩააგდო შორიდან და ანგარიშის სხვაობაც შეამცირა, თუმცა დროებით — ახლა ორმოცაძემ ივარგა ორჯერ.

მეორე ნახევარში საუკეთესო იყო გიორგი ნიკოლაძე. მან ჩემპიონის კალათში 5 სამქულიანი მოათავსა და „დინამოს" იმედს უნარჩუნებდა, მაგრამ მამუკა აბრამიძემ მეტად საჭირო დროს ჩააგდო და მეტოქეც საბოლოოდ გატყდა.

„შევარდენი" — ასკ-ის შეხვედრაში ამ უკანასკნელმა მეორე ტაიმის ბოლოსლა მიაღწია წარმატებას. ყოფილი შევარდნელი დავით აკოლაშვილის სამქულიანმა ამ შეხვედრის ბედი ჯარისკაცთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

„მაკაბიმ" გვარიანი თავსატეხი გაუჩინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს. სტუდენტებმა ამ შეხვედრაში ყველა მოთამაშე დაასაქმეს. „მაკაბი" კი, მოგეხსენებათ, სკამმოკლე გუნდია. მთელი შეხვედრის მანძილზე მეტოქეები ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ, სულ ბოლოს კი „მაკაბი" დაწინაურდა, თუმცა მათ ამ შეხვედრაში არც ბედი სწყალობდათ და არც — მსაჯები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა კი „კოლხასთან" შეხვედრაში შანსი არ გაუშვა ხელიდან. ვერ ვიტყვით, რომ სტუდენტებმა ახალგაზრდული „კოლხა" დაჩაგრეს, მაგრამ თსუ-ს გამარჯვება ეჭვს ნამდვილად არ იწვევდა.

**ზურაბ გონაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი · 31 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 31 | 30 | 1 | 2803:2267 | 61 |
| ვითა(-1) | 31 | 24 | 7 | 2284:1986 | 54 |
| დინამო | 30 | 19 | 11 | 2380:2260 | 49 |
| სტუ | 28 | 20 | 8 | 2299:2151 | 48 |
| თსუ | 29 | 18 | 11 | 2448:2279 | 47 |
| სდასუ | 28 | 15 | 13 | 2094:2102 | 43 |
| მაკაბი | 30 | 9 | 21 | 2203:2383 | 39 |
| ასკ | 31 | 4 | 27 | 1639:1874 | 35 |
| კოლხა | 29 | 6 | 23 | 2115:2524 | 35 |
| შევარდენი | 31 | 4 | 27 | 2165:2604 | 15 |

რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლს სასწაულიღა უშველის

30 აპრილი

**სიეტლი 111:101 დენვერი**

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა), ჰოკინსი (14), შრემპფი (28), მაკლინი (13), პოლინაისი (10 ქულა, 11 მოხსნა); ელისი (13), მაკკოი (5), ბერი (3), ბეიკერი (2)
დენვერი: ვან ექსელი (18 ქულა, 11 პასი), ბილაფსი (18), სტისი (7), მაკდაიესი (25), ფორტსონი (12 ქულა, 17 მოხსნა); ვაშინგტონი (14), ტეილორი (7), ერერა

2 მაისი

**სიეტლი 84:91 ლეიკერსი**

სიეტლი: პეიტონი (29), ჰოკინსი (5), შრემპფი (21 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), მაკლინი, პოლინაისი (4); ბეიკერი (19 ქულა, 12 მოხსნა), ელისი (6), მაკკოი, კროტი, ბერი
ლეიკერსი: ფიშერი (6), ბრაიანტი (28), რაისი (5), რიდი (4), ონილი (33 ქულა, 12 მოხსნა); ფოქსი (12), ნაითი (2), ჰორი (1), ჰარპერი

ცოტა ძნელია, რაიმე გაუგო პოლ ვესტფოლს, კაცს, რომელმაც ამ სეზონის დაწყებამდე „სიეტლ სუპერსონიქსის“ მწვრთნელობა ითავა და ეს გუნდი საკმაოდ დაიქვეითა. ისე, რომ, 1990 წლის შემდეგ სიეტლს პირველად დაემუქრა პლეი ოფში ვერმოხვედრის საფრთხე და სავსებით მოსალოდნელია, „ზებგერითებმა“ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებასთან ერთად დაასრულონ სეზონი. მათ დასავლეთში რვა უძლიერესს შორის მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსები რჩებათ. სიეტლი ასეთ მძიმე დღეშია მაშინ, როცა იგივე სიძლიერის შემადგენლობა ჰყავს, რაც შარშან (ცოტა უეთესიც კი). წინა სეზონში სიეტლმა 82-დან 61 თამაში მოიგო და დანარჩენი 28 გუნდიდან მხოლოდ მომავალ ფინალისტებს — ჩიკაგოს და იუტას ჩამორჩა, ისიც მხოლოდ ერთი წაგებით. ამ 61 მოგებით სიეტლი წყნარი ოკეანის დივიზიონში პირველ ადგილზეც გავიდა და დასავლეთში იუტას მერე მეორე ნომრადაც განითესა. მეორე ნომრად ვინ ჩივის, ახლა ვესტფოლის ხელში ბოლო მერვე ადგილიც სანატრელი გახდომია.

უცნაურად ექცევა ვესტფოლი ჩვენებურ ვოვა სტეფანიას. მისმა მოსვლამ შეიძლება 1998 წლის დრაფტი სიეტლის ისტორიაში გარდატეხის ეპოქად აქციოსო, ამბობდა სიეტლის ახლადდანიშნული დამრიგებელი, როცა ქართველი თავისთან დაიგულა. „სტეფანიას რომ მომავალ დრაფტში მიეღო მონაწილეობა, იქნებ იგი დრაფტის პირველი ნომერიც გამხდარიყო“ — თქვა კალათბურთის ამერიკელმა სპეციალისტმა. ეს საბაბს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ამერიკელებმა კარგად იცოდნენ ქართველის ავან-ჩავანი და მასზე იმედებსაც ამყარებდნენ. თავისთავად, ევროპული და ამერიკული კალათბურთი სხვადასხვა განზომილებაა და ოკეანის გაღმა ძალისმიერ თამაშთან შესაგუებლად დროა საჭირო. ეს მეტ-ნაკლებად ყველა ევროპელს სჭირდება, მათ შორის სტეფანიასაც. ქართველმაც როცა ითამაშა, თავი არ დაზოგა. მას, მართალია, 20 ქულა არ გაუკეთებია თამაშში, მაგრამ იმ წუთების კვალობაზე, რასაც ჩვენებური მოედანზე ატარებდა, მისი მაჩვენებლები სავსებით დამაკმაყოფილებელია თუ მეტი არა. მაშინ, როცა ვოვა საშუალოდ მატჩში მხოლოდ 11 წუთს თამაშობს, იგი მთელ გუნდში უძლიერესი დამფარებელია. და მაინც, ვესტფოლმა ქართველი ჩრდილში დატოვა და ძნელად, რომ მას შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება მისცეს. სამაგიეროდ, ვესტფოლს დიდი სიმპატიები აქვს სტეფანიასავით ახალბედა ჯანიან ზანგის ბიჭ ჯელანი მაკკოისადმი. ეს მაკკოი ბევრი არაფერი მოთამაშეა და ერთადერთი, რითაც იგი ქართველს სჯობს, ეს კუნთების სიდიდეა. თავისთავად თავს ვერ დავდებთ, ვერ ვიტყვით, ვესტფოლს არჩევანი სტეფანიაზე რომ გაეკეთებინა, ქართველი თამაშებს მოიგებდა. ჩვენებური ჯერ ვერ გასჩვევია ამ ტიტანთა თამაშს ისე, რომ რაიმე მარტომ გადაწყვიტოს (როგორც ეს ევროპაში მომხდარა და არაერთხელ), მაგრამ ერთი კი ფაქტია, რომ ვესტფოლს ბევრი ასეთი „წვრილმანი“ შეეშალა. თუ გუნდი სათანადოდ ვერ თამაშობს, ეს უპირველეს ყოვლისა მწვრთნელის ბრალია. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვინ ბეიკერიც საშინლად ირჯება, ესეც მწვრთნელის კისერზეა. წინა წლებში ხომ ბეიკერი ლიგის უძლიერეს თავდამსხმელებს შორის იყო. იგი ზედიზედ ბოლო ოთხ „ოლ სტარში“ მონაწილეობდა, მიწვეულია იმ დრიმ თიმ 4-ში, სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკის ღირსებას რომ დაიცავს. ამ სეზონში კი ახალი მწვრთნელის ხელში ბეიკერი ლამის უსაქმურ კაცად იქცა მოედანზე. მთლად ბეიკერივით არა, მაგრამ დაეცა სხვა წამყვანი მოთამაშე დეტლეფ შრემპფიც. ერთადერთი, ვინც სიეტლის ლიდერთაგან წლეულს ღირსეულად თამაშობს, გერი პეიტონია. იგი უძლიერესია როგორც გუნდში, ისე ლიგის გამთამაშებლებში. ძალიან ხშირად ლამის მთელი მატჩის განმავლობაში მარტო უწევს მეტოქეს წინააღმდეგობას. სიეტლი კი დაეცა, დაეცა ვესტფოლის ხელში და ნიუ ჯერსების, ვაშინგტონების, ვანკუვერების მოსაგები გამხდარა. ამას ვერავინ წარმოიდგენდა ძველი მწვრთნელის, ჯორჯ კარლოს ხელში. იგი შარშან გააგდეს გუნდიდან, ზედიზედ მეორე წელია, პლეი ოფის მეორე წრეს ვერ გასცილებიხარო... აი, ასე.

სტეფანიას არ უთამაშია არც პარასკევს, 30 აპრილს, დენვერთან მოგებულ და არც 2 აპრილს ლეიკერსთან წაგებულ შეხვედრებში. იგი ორივე შემთხვევაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა და იქიდან უცქეროდა სიეტლის და მისი მეტოქე გუნდების ჭიდილს, როცა იგივე მაკკოი ან თუნდაც ძირითადი ხუთეულიდან ბეიკერის ამომგდები (ამაში უმთავრესი როლი ისევ ბეიკერმა ითამაშა) უსახური დონ მაკლინი როგორ ფაფხურობდნენ. დენვერთან მათ კიდევ არა უშავდათ, მაგრამ ლეიკერსთან კი უქულოდ, თავლაფდასხმულებმა დასტოვეს სარბიელი.

სიეტლი პლეი ოფში გასვლაზე ოცნებობს და მისთვის ყოველ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საჭირო იყო ამ ბოლო სამ დღეში გასამართი ორივე თამაშის მოგება, ორივე შინ უწევდა. პარასკევს მასპინძლებმა დაძაბულ ბრძოლაში მოახერხეს დენვერის ძლევა. ასეთი მეტოქის დამარცხება საგმირო საქმე სულაც არაა. რაც სიეტლმა დენვერთან გააკეთა, ვეღარ შეძლო ლეიკერსთან, იგი დენვერივით იოლად დასამარცხებელი არ ყოფილა. ეს ვესტფოლმა მატჩის შემდეგ აღმოაჩინა, უნდა მოგვეგო, მაგრამ ვეღარ მოვახერხეთო, ამბობდა სიეტლელთა თავკაცი ნამატჩევს. და ეს მაშინ როცა პირველი ნახევარი 44:40 დაასრულა, მესამე მეოთხედის შემდეგ უკვე 57:70 აგებდა. ლეიკერსმა ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა ვესტფოლის ბიჭებს. სტუმრები მესამე მეოთხედში მასპინძელთა კალათს აწიოკებდნენ და ვესტფოლი ამაოდ ცდილობდა, მოშლილ გუნდისთვის რაიმე ეწამლა. ამ მეოთხედმა წერტილი დაუსვა სიეტლის ყველაზე უსახურ სეზონს 90-იან წლებში.

იქნებ ზოგიერთი შემოგვედაოს, „სუპერსონიქსს“ კიდევ დარჩენია პლეი ოფში მოხვედრის შანსები, მერე კი ვინ იცისო, მაგრამ სიეტლი როცა ლეიკერსთან აგებდა, მის კონკურენტებს — მინესოტასა და საკრამენტოს არ ეძინათ. მათგან პირველმა გოლდენ სტეიტი და მერე კლიპერსი დასცა და ორი თამაშით ადრე დაიბევა პლეი ოფი. საკრამენტოს მხოლოდ ერთმა შეხვედრამ მოუწია, ისიც არცთუ სახუმარო გუნდთან, ფინიქსთან და საკმაოდ იოლად მოახერხა მისი ძლევა. პლეი ოფში გამსვლელი მერვე ადგილისთვის ეცილება საკრამენტო სიეტლს და ახლა ორიოდე სიტყვა მათ შანსებზეც ვთქვათ. საკრამენტო ორი მოგებით უსწრებს ჩვენებურის გუნდს. ორივეს ორ-ორი თამაშიღა დარჩენიათ. სიეტლის ორივე მეტოქე სუსტია — დალასი და კლიპერსი, მაგრამ არც მის კონკურენტს ხვდებიან გრანდები. საკრამენტოს ან დენვერთან და ანაც უსახურ ვანკუვერთან გამარჯვებაც აძლევს ხელს. ასე რომ, „სიეტლ სუპერსონიქსს“ ისღა დარჩენია, ხავსს მოეჭიდოს და სასწაულს დაელოდოს.

**ირაკლი ფირაშვილი**

30 აპრილი

**ჰიუსტონი 78:91 იუტა**

**მინესოტა 90:85 გოლდენ სტეიტი**

**მილუოკი 76:81 დეტროიტი**

მილუოკი: ჯონსონი (12)
დეტროიტი: დუმარსი (20)

დეტროიტმა სტუმრად სძლია მილუოკი და სამი თამაშით ადრე დაიბევა პლეი ოფი, მოგვიანებით შემდეგ დღეებში მილუოკიმაც მოახერხა ეს.

**შარლოტი 92:88 ჩიკაგო**

შარლოტი: კემპბელი (19 ქულა, 10 მოხსნა)
ჩიკაგო: კუკოჩი (23)

**კლივლენდი 91:82 ტორონტო**

**ორლანდო 107:95 ნიუ ჯერსი**

ორლანდო: ანდერსონი (40)
ნიუ ჯერსი: მარბერი (36)

**ატლანტა 90:92 ინდიანა**

(ძირითადი დრო 81:81)
ატლანტა: სმიტი (22), ბლეილოკი (20)
ინდიანა: მილერი (21)

ატლანტელმა სტივ სმიტმა ძირითადი დროის დამთავრების მაუწყებელ სირენასთან ერთად სამქულიანი ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა იმისათვის, რომ ოვერტაიმის ბოლო წამებზე სამიანი აეცილებინა. ამის ატლანტა დივიზიონში კლავ ინდიანას მდევრად დარჩა.

1 მაისი

**სან ანტონიო 98:90 პორტლენდი**

(ძირითადი დრო 83:83)
სან ანტონიო: რობინსონი (26 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი (24), დანკანი (19 ქულა, 12 მოხსნა)
პორტლენდი: საბონისი (14)

პორტლენდელმა დეიმონ სტუდემაიერმა ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ორქულიანი ჩააგდო და მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო, მაგრამ იქ უპრობლემოდ... წააგო.

**მინესოტა 103:93 კლიპერსი**

მინესოტა: გარნეტი (19 ქულა, 14 მოხსნა, 5 დაფარება, 5 პასი)
კლიპერსი: ტეილორი (15)

**დალასი 105:94 გოლდენ სტეიტი**

**ფინიქსი 107:77 ვანკუვერი**

ფინიქსი: გულიოტა (24 ქულა, 12 მოხსნა), ჩეპმენი (20)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (23)

**ნიუ ჯერსი 102:91 ვაშინგტონი**

**მაიამი 86:101 ჩიკაგო**

მაიამი: ჰარდევეი (20)
ჩიკაგო: ჰარპერი (25), კუკოჩი (22 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა)

**ბოსტონი 79:88 მილუოკი**

ბოსტონი: მერსერი (21)
მილუოკი: ალენი (26)

**ფილადელფია 103:96 ტორონტო**

ფილადელფია: აივერსონი (31)
ტორონტო: კრისტი (27)

2 მაისი

**მაიამი 100:93 შარლოტი**

მაიამი: მაშბურნი (20)
შარლოტი: ჯონსი (23)

**საკრამენტო 111:100 ფინიქსი**

საკრამენტო: ვილიამსი (24)
ფინიქსი: გულიოტა (21)

**დენვერი 102:110 პორტლენდი**

**ინდიანა 94:71 ნიუ იორკი**

ინდიანა: მულინი (20)
ნიუ იორკი: იუინგი (15)

**კლივლენდი 65:76 ატლანტა**

**დეტროიტი 100:96 ფილადელფია**

დეტროიტი: ჰილი (35 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი)
ფილადელფია: აივერსონი (27)

**ჰიუსტონი 110:84 კლიპერსი**

**სან ანტონიო 84:78 იუტა**

სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 14 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (24 ქულა, 14 მოხსნა)

წინა დღით პორტლენდის მძლეველმა სან ანტონიომ ტიმ დანკანის მეთაურობით მეორე ბობოლა იუტა დასცა. ტიმ დანკანმა კი კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა სეზონის უძვირფასესის წოდების დათრევაზე.

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXX ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | კაიზერსლაუტერნი — ვერდერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | აინტრახტი — ჰამბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | მიონხენგლადბახი — ჰანზა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | შტუტგარტი — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 5.05 | ჰერტა — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ნიურნბერგი — ლევერკუზენი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | შალკე — დორტმუნდი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ბოხუმი — დუისბურგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | მიუნხენ 1860 — ფრაიბურგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | ლანსი — ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პსჟ — მარსელი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | მონპელიე — მეცი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 5.05 | ნანტი — რენი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| | მონაკო — სტრასბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნანსი — ლორიანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ოსერი — ლე ავრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ლიონი — ბასტია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სოშო — ტულუზი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ბელგიის ჩემპიონატი. XXXII ტური**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4-5.05 | ლოკერენი — ოსტენდე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰარელბეკე — სტანდარდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ანდერლეხტი — გენტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლომელი — გენკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ეკერენი — შარლერუა | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | ბრიუგე — ბევერენი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ვესტერლო — მუსკრონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ლიერსი — აალსტი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.**

გადადებული მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | გრიმსბი — ვულვერჰემპტონი | 4,2 | 3,2 | 1,7 |

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | ჩელსი — ლიდსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ლესტერი — დერბი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლივერპული — მანჩესტერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ტოტენჰემი — არსენალი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**რუსეთის ჩემპიონატი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | როსტსელმაში — ჩერნომორეცი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | სპარტაკი — სატურნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**შვედეთის ჩემპიონატი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | ჰამარბი — აიკ | 2,2 | 2,8 | 3,1 |

**შვედეთის თასის ნახევარფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | მალმიო — გიოტებორგი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

**იტალიის თასის ფინალი.** მეორე მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | ფიორენტინა — პარმა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**თურქეთის თასის ფინალი.** მეორე მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | ბეშიქთაში — გალათასარაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**პორტუგალიის თასის ნახევარფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | ესპოსენდე — კამპომაიორენსე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ბეირა მარი — სეტუბალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ავსტრიის თასი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | რაპიდი — ლინცერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**შვეიცარიის თასის მეოთხედფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | დელემონტი — ლოზანა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ლუცერნი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | რედ სტარი — ლუგანო | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | სიონი — სერვეტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**ამხანაგური მატჩი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.05 | ესპანეთი — ხორვატია | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | ლატვია — საფრანგეთი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | რუსეთი — უკრაინა | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | შვედეთი — შვეიცარია | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| | ფინეთი — ბელარუსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მაკლარენმა დაიწყოს, შუმი დაამთავრებს

ენცო და დინო ფერარების ტრასაზე გამართული სან მარინოს დიდი პრიზის გათამაშების შემდეგ მიხაელ შუმახერი პირად ჩათვლაში 16 ქულით დაწინაურდა, გუნდურ პირველობაში კი კვლავ „ფერარია“ წინ. შუმიმ მშვენივრად ჩაატარა რბოლის მეორე ნახევარი და იტალიელ „ტიფოზთა“ გასახარად „ფერარის“ კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა.

ვარჯიშებიცა და კვალიფიკაციაც მაკლარენთა უპირატესობით წარიმართა, თუმც ფერარელები ამჯერად უფრო მცირედით ჩამორჩნენ ვერცხლისფერებს. კვალიფიკაციისას შუმიმ ისიც კი შეძლო, რომ ამ წყვილს შუაში ჩაუდგა, მაგრამ ბოლო წრეებზე მაკლარენელებმა კვლავ დაიკავეს „კუთვნილი“ პოზიციები პირველ სასტარტო რიგში. კულჰარდი ბევრს ეცადა თანაგუნდელისთვის „პოულის“ წართმევას, მაგრამ ვერაფერს გახდა და 0,022 წამით ჩამორჩა ჰაკინენს. მეორე რიგში ადგილი „ფერარის“ პილოტებმა დაიკავეს. მათ უკან კი დადგა ვილნევი, რომელმაც თავის ახალ გუნდს პირველად მოუტანა ასეთი წარმატება. ჩანს, BAR-ში ნელ-ნელა ყოჩაღდება. პირველ ექვსეულში დაიკავა ადგილი რუბენს ბარიჩელომაც, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლეულს შოტლანდიელთა გუნდი შესანიშნავად არის მომზადებული. სასტარტო შემადგენლობებში კვლავ მოხდა ცვლილება: BAR-ში დაშავებული ზონტას ნაცვლად მიკა სალო გამოვიდა, „მინარდის“ საჭეს კი კვლავ დაუბრუნდა ლუკა ბადოერი, თუმცა კვალიფიკაციაში ყველაზე ნელი აღმოჩნდა.

სტარტი „მაკლარენის“ პილოტებისა იყო, მათ უკან კი ირვინი აღმოჩნდა. არ გაუმართლა კვალიფიკაციის გმირ ვილნევს — მან ადგილიდანაც ვერ დაძრა ბოლიდი და რბოლა ისე დაამთავრა, ერთი მეტრიც არ გაუვლია. ირვინმა ერთი კი სცადა, კულჰარდისთვის შეეტია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და მალე თავის თანაგუნდელსაც ჩამორჩა. პირველივე წრეზე ტრული და დე ლა როსა წამოედვნენ ერთმანეთს და ორივემ ტრასის მიღმა „გაისეირნა“, ავსტრიელმა ამითაც დაასრულა რბოლა.

ჰაკინენმა თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო ასპარეზობა და მეორე წრეზე 2,28 წამს უგებდა თანაგუნდელს. მე-5 წრეზე დე ლა როსა ვურცს შეეჯახა და ორივემ რბოლა დაასრულა.

ჰაკინენი კი სულ უფრო ზრდიდა უპირატესობას, წრის რეკორდსაც არავის უთმობდა და მალე 15 წამით დაწინაურდა. ის-ის იყო, მე-17 წრე დაასრულა და სტარტ-ფინიშს გაუსწორდა, რომ ბოლიდი ვერ დაიმორჩილა და ბარიერს შეეჯახა. ლიდერობა კულჰარდმა ჩაიბარა, მაგრამ მას შუმახერი მისდევდა და შოტლანდიელი ვერაფრით ახერხებდა უპირატესობის გაზრდას. მათ კი ირვინი, ბარიჩელო, ფრენცენი და რალფ შუმახერი ჩასდგომოდნენ კვალში. თუ ეს პილოტები ერთმანეთს მაინცდამაინც არ აწუხებდნენ შეტევებით, უკანა რიგებში ალეზი არღვევდა სიმყუდროვეს და ნელ-ნელა მიიწევდა წინ. მალე მან შესანიშნავი მანერით ჩამოიტოვა ფიზიკელა და ძანარდისაც შეუტია, თუმც კი დაგეგმილი სამი პიტ-სტოპის გამო მალევე მოუწია ბოქსებში შესვლამ.

ლიდერებიდან პირველად შუმიმ შეივსო საწვავი, ტრასაზე დაბრუნების შემდეგ კი რამდენიმე უსწრაფესი წრე განვლო და კვლავ კულჰარდს ამოუდგა უკან. 34-ე წრეზე შოტლანდიელმაც შეუხვია ბოქსებში, მაგრამ იქიდან მხოლოდ შუმის უკან დაბრუნდა და მოგების შანსი დაკარგა. გერმანელი პილოტი სულ უფრო ზრდიდა უპირატესობას და მეორეჯერაც ესტუმრა ბოქსებს, მერეც პირველ ადგილზე გააგრძელა რბოლა და იგი გამარჯვებითაც დაასრულა. მისთვის ეს 34-ე ტრიუმფი იყო. ირვინი თითქმის მთელი რბოლის მანძილზე ინარჩუნებდა ჩემპიონატის ლიდერად დარჩენის შესაძლებლობას, მაგრამ 46-ე წრეზე „ფერარის“ ძრავამ უმტყუნა და ირლანდიელმა მაყურებლებში გადაინაცვლა.

ჩინებულად იასპარეზეს „სტუარტის“ პილოტებმა. ფინიშამდე 5 წრით ადრე ორივე ჩასათვლელ ექვსეულში იმყოფებოდა, მაგრამ „ფორდის“ ძრავა კვლავ გაჯიუტდა — 58-ე წრეზე აბოლდა და ჰერბერტიც ტრასის პირას გაჩერდა. ბარიჩელოს ბოლო წრეებზე ჰილმა შეუტია, მაგრამ ბრაზილიელმა მოახერხა მესამე საპრიზო პოზიციის ბოლომდე შენარჩუნება, ინგლისელს კი მეოთხე ადგილი დარჩა. მიუხედავად სუსტად ჩატარებული კვალიფიკაციისა, „ბენეტონისა“ და „ზაუბერის“ პირველმა პილოტებმა რბოლაში მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა და ასპარეზობა ექვსეულში დაასრულეს.

**ალეკო ჭაბუკიანი**

**მიხაელ შუმახერი**

გერმანია

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს

სიმაღლე 174 სმ, წონა 74,5 კგ.

ცხოვრობს შვეიცარიაში

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

პირველი სტარტი ფორმულა 1-ში: 1991, ბელგიის დიდი პრიზი, „ჯორდანი“.

პირველი გამარჯვება: 1992, ბელგიის დიდი პრიზი „ბენეტონი“

გუნდები: 1991 — „ჯორდანი“

1991-95 „ბენეტონი“, 1996 — „ჯორდანი“

მსოფლიოს ჩემპიონი 1994, 1995 წლებში („ბენეტონი“)

121 რბოლა, 34 გამარჯვება, 20 პოული, 36 სწრაფი წრე



REUTERS იმოლადან


REUTERS იმოლადან

მიკა ჰაკინენმა რიხიანად დაიწყო და ასე, თავჩახრილმა დაამთავრა

## რბოლის შედეგები

სან მარინოს დიდი პრიზი

2 მაისი. იმოლა

დისტანცია — 62 წრე — 305.428 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:33.44,792 (195,481 კმ-სთ) 10 ქულა
2. კულჰარდი (მაკლარენი) ჩამორჩა 4,265 წამით 6
3. ბარიჩელო (სტიუარტი) 1 წრით 4
4. ჰილი (ჯორდანი) 1 3
5. ფიზიკელა (ბენეტონი) 1 2
6. ალეზი (ზაუბერი) 1 1
7. სალო (BAR) 1
8. ბადოერი (მინარდი) 3
9. ჟენე (მინარდი) 3
10. ჰერბერტი (სტიუარტი) 4
11. ძანარდი (უილიამსი) 4

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.28,609 (41-ე წრე)

**ლიდერები**

1-17 წრე ჰაკინენი
18-33 კულჰარდი
34-62 მ. შუმახერი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| დინიცი (ზაუბერი) გაირა 49 წრე მოცურდა | |
| პანი (პროსტი) შეკიდულობა | 48 |
| ირვინი (ფერარი) ძრავი | 46 |
| ფრენცენი (ჯორდანი) მოცურდა | 46 |
| ტაკაგი (ეროუსი) ელექტრობა | 29 |
| რ. შუმახერი (უილიამსი) ძრავი | 28 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) ავარია | 17 |
| დე ლა როსა (ეროუსი) შეჯახება | 5 |
| ვურცი (ბენეტონი) შეჯახება | 5 |
| ტრული (პროსტი) შეჯახება | 0 |
| ვილნევი (BAR) გადაცემათა კოლოფი | 0 |

## განლაგება სტარტზე

20. ბადოერი 1:30,945 მინარდი
21. ჟენე 1:30,035 მინარდი
15. ტაკაგი 1:29,656 ეროუსი
23. სალო 1:29,451 BAR
14. დე ლა როსა 1:29,293 ეროუსი
10. ვურცი 1:28,765 ბენეტონი
9. ფიზიკელა 1:28,740 ბენეტონი
12. დინიცი 1:28,599 ზაუბერი
19. ტრული 1:28,403 პროსტი
11. ალეზი 1:28,253 ზაუბერი
17. ჰერბერტი 1:28,246 სტიუარტი
18. პანი 1:28,205 პროსტი
5. ძანარდი 1:28,142 უილიამსი
6. რ. შუმახერი 1:27,613 უილიამსი
7. ჰილი 1:27,708 ჯორდანი
8. ფრენცენი 1:27,613 ჯორდანი
16. ბარიჩელო 1:27,409 სტიუარტი
22. ვილნევი 1:27,313 BAR
4. ირვინი 1:26,993 ფერარი
3. მ. შუმახერი 1:26,538 ფერარი
2. კულჰარდი 1:16,715 მაკლარენი
1. ჰაკინენი 1:16,568 მაკლარენი

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | | 6 | 10 | | | | | | | | | | | | | | 16 |
| 2 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 10 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 3 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | | 10 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 | ფრენცენი (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 5 | რ. შუმახერი (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 6 | კულჰარდი (შოტლანდია) მაკლარენ მერსედესი | | | 6 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 | ბარიჩელო (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | | 4 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 8 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | 2 | | | | | | | | | | | | | | 5 |
| 9 | ჰილი (ინგლისი) ჯორდან მუგენ ჰონდა | | | 3 | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 | დე ლა როსა (ესპანეთი) ეროუზი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 | ფერარი | 10 | 8 | 10 | | | | | | | | | | | | | | 28 |
| 2 | მაკლარენ მერსედესი | | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | | 16 |
| 3 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | 13 |
| 4 | უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | სტიუარტ ფორდი | 2 | | 4 | | | | | | | | | | | | | | 6 |

# შავი ჭირი ჰამბურგში

ჰამბურგი. გერმანია. ბეტი ბარკლის თასი. თიხნარი. საპრიზო 520 ათასი $

მეოთხედფინალი: ბარბარა შეტი (ავსტრია) — იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) 6:4, 6:3; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 6:4; მარი პირსი (4, საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) 6:4, 6:4.
ნახევარფინალი: უილიამსი — სანჩეს-ვიკარიო 6:1, 6:3; პირსი — შეტი 2:6, 6:2, 6:4.
ფინალი: უილიამსი — პირსი 6:0, 6:3.

ხანმოკლე, ნებაყოფლობითი ჩაწყნარების შემდეგ უილიამსების ქარბორბალამ ისევ გადაუარა WTA ტურს და უკან გვამების მთელი წყება დატოვა. ამჯერად კუტცერმა, არანჩა სანჩეს-ვიკარიომ და მარი პირსმა საკუთარ ტყავზე იწვნიეს შავი ფენომენის კაცური ძალა და ამას ვერც ვერაფერი მოუხერხეს.

ბეტი ბარკლის (ამ ქალბატონის (?) დამსახურებაზე ვერაფერს მოგახსენებთ) თასი წითელმიწა თიხნარზე მიმდინარეობდა, საფარზე, რომელიც ვინუსის მძიმე არტილერიას ყველაზე ნაკლებ შეეფერება და რომელზედაც ამარიკელს აქამდე არასოდეს გაემარჯვა. თუმცა კოლორიტული ოჯახის წარმომადგენლებმა, ამ ბოლო ხანებში ბევრი აქამდე უნახავი ტერიტორია აითვისეს და არავის გაუკვირდეს, უკვე ამ სეზონის ბოლოს 8000-იანებსაც რომ შეუტიონ: დიდი სლემის ტურნირების დალაშქვრისთვის ნიადაგი შემზადებულია.

აყლაყუდა ვინუსმა კვირის მანძილზე მეტოქეები ისე შემუსრა, გამარჯვების მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ ასე ცალკარა ფინალი მთლად მისი დამსახურება არ ყოფილა — კანადაში დაბადებულ და ფლორიდაში მცხოვრებ ძალად ფრანგ პირსს, რატომღაც ზურგი წამოსტკივდა და ორივე სეტში ექიმი დაიხმარა.

„უილიამსებთან თამაში ძალიან ძნელია., ბურთს ისე ძლიერად ურტყამენ, მუდმივად დაცვაზე უნდა იფიქრო, თანაც დღეს ვინუსი ძალიან ცოტა შეცდომებს უშვებდა“ — მოგვიანებით იმართლა თავი ტანმშვენიერმა მარიმ, რომელმაც პირველი გეიმი მაშინღა მოიგო, როცა ანგარიში უკვე კატასტროფული გახდა — 0:6, 0:3. ფრანგმა ბოლოში ცოტა კი გაიფაფხურა, ერთიორი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა, მოწყენილ მაყურებლებს რაღაც იმედიც გაუჩინა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო და პირსმაც გული არ გაიტეხა: „ამ ტურნირზე თამაშს თავიდან სულაც არ ვაპირებდი, ბოლო მომენტში გადავწყვიტე, ამიტომ ფინალისტობაც არ არის ურიგო მიღწევა.“

რაც შეეხება ვინუსს, კარიერის მეხუთე ტიტულთან ერთად მას 80 ათასი დოლარი ერგო და როლან გაროსის წინ შესანიშნავი მოთელვაც გამოუვიდა: „ვფიქრობ, დღეს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარე. თიხნარს უკვე საკმაოდ შევეჩვიე და ევროპელებს ალარაფერში ჩამოვუვარდები“.

ბოლი. ხორვატიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 145 ათასი $

ნახევარფინალი: ჟული ალარი (1, საფრანგეთი) — სარა პიტკოვსკი (5, საფრანგეთი) 6:3, 6:4; კორინა მორარიუ (4, აშშ) — კონჩიტა მარტინეს-გრანადორი (ესპანეთი) 6:2, 6:0.
ფინალი: მორარიუ — ალარი 6:2, 6:0.

ზედიზედ ორჯერ ფინალში დამარცხების შემდეგ უნგრული წარმოშობის მორარიუს ბოლოს და ბოლოს გამარჯვებაც ეღირსა.

ატლანტა. აშშ. AT*T CHALLANGE. მწვანე თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

მეოთხედფინალი: მაგნუს ლარსონი (8, შვედეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (2, ავსტრალია) 6:2, 6:2; სებასტიან გროსჟანი (5, საფრანგეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 7:6 (7:5); ჯიმ კურიე (აშშ) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 6:1, 7:6 (7:2); შტეფან კუბეკი (ავსტრია) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 7:5, 6:2.
ნახევარფინალი: გროსჟანი — კურიე 7:6 (7:3), 6:3; კუბეკი — ლარსონი 5:6, 6:4, 6:1.
ფინალი: კუბეკი — გროსჟანი 6:1, 6:2.



ვინუს უილიამსი

22 წლის შტეფან კუბეკს გასულ კვირამდე ATP ტურზე სულ სამი მოგება ჰქონდა ანგარიშზე და ერთი ცნობილი სათამაშოს გამომგონებლის გვართან მსგავსების გარდა თავს იმით თუ დაგამახსოვრებდათ, რომ გრძელ და ნაპატივებ კიკინაში თმის ბუნებრივი ფერის ნაცვლად ნარინჯისფერი და თეთრი კულულებით იწონებდა თავს.

ატლანტაში ავსტრიელმა საკუთარი თავიც კი გააკვირვა: გარდა იმისა, რომ ტურნირზე მოსახვედრად სამი საკვალიფიკაციო მატჩის მოგება დასჭირდა, მან სამი განთესილიც — მაიკლ ჩანგი (4), მაგნუს ლარსონი (8) და სებასტიან გროსჟანი (4) შეიწირა.

ფინალის წინ კუბეკსა და 20 წლის გროსჟანს დამარცხებული მეტოქეებისგან სულ სხვადასხვაგვარი კომენტარი ერგოთ: მაგნუს ლარსონმა განაცხადა, ჩემით წავაგე და მაგ ავსტრიელის დამსახურება სულაც არ იყოო, ჯიმ კურიემ კი ფრანგი შეაქო და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა, მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო.

თუმცა სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან მეტისმეტად შორს აღმოჩნდა — ფინალში კუბეკის უპირატესობა აშკარა იყო. ავსტრიელს მთელი მატჩის მანძილზე მოწოდება არ დაუკარგავს, მძლავრი დარტყმებით მეტოქეს არაქათი გამოაცალა და მოგებას სულ 56 წუთი მოანდომა: „ეს გრძელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო კვირა იყო. არც კი ვიცოდი, თუ ასე კარგად შემეძლო თამაში.“

პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 500 ათასი $

მეოთხედფინალი: დომინიკ ჰრბატი (5, სლოვაკეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 7:6 (7:2), 6:0; გერმან პუენტესი (ესპანეთი) — ედუარდო ნიკოლასი (ესპანეთი) 6:1, 6:2; სლავა დოსედელი (ჩეხეთი) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 2:6, 7:5; მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) — ორლინ სტანოიჩევი (ბულგარეთი) 2:6, 6:3, 6:1.
ნახევარფინალი: ჰრბატი — ტაბარა 6:1, 7:5; დოსედელი — პუენტესი 7:5, 6:2.
ფინალი: ჰრბატი — დოსედელი 6:2, 6:2.

ჩეხები და სლოვაკები 1993 წელს მშვიდობიანად კი გაეყარნენ ერთმანეთს, მაგრამ მზე და მთვარე ერთმანეთზე არც მაშინ ამოსდიოდათ და მით უმეტეს, არც ამჟამად.

თვისტომ სლავა დოსედელის საქომაგოდ შეყრილ ჩეხებს დომინიკ ჰრბატის გამარჯვება დიახაც რომ არ გახარებიათ, მაგრამ რაკილა ვერაფერი დააკლეს, საზეიმო ცერემონიალზე სლოვაკეთის ჰიმნი მაინც დაჩაგრეს და შუაში გაწყვიტეს.

21 წლის ჰრბატის ამაზე მხოლოდ გაეღიმა -- რა გასაკვირია, რამდენიმე წუთით ადრე გადაცემული 66 ათასი დოლარის ჩეკისთვის მასპინძლებს ხომ ცენტიც არ დაუკლიათ.

მიუნხენი. გერმანია. BMW-ის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

ნახევარფინალი: ფრანკო სკილარი (არგენტინა) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 4:6, 6:1, 6:2; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 7:5, 6:4.
ფინალი: სკილარი — პაველი 6:4, 6:3.

ავთანდილ სვანიძე



ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

# რუსები ბელარუსებს გადაურჩნენ

1 მაისს ნორვეგიაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და უკვე არის სიურპრიზებიც. კანადელებმა რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს გამარჯვება სლოვაკებთან, რუსები კი ბელარუსებთან მარცხს მხოლოდ თამაშის ბოლოს გადაურჩნენ

1 მაისი

A ჯგუფი

**კანადა — სლოვაკეთი 3:2**
2:0 1:2 0:0
1:0 სავაჟი 2'04; 2:0 ქინტალი 8'15; 3:0 ოდონელი 23'05; 3:1 დროპა 28'43; 3:2 დანო 36'54.

**ნორვეგია — იტალია 5:2**
1:0 2:2 2:0
1:0 ვიკინსტადი 10'43; 2:0 სკრიოდერი 25'31; 2:1 ტოპატიგი 27'01; 3:1 მანსკოვი 33'50; 3:2 კომპლოი 35'36; 4:2 ანდერსენი 53'35; 2:2 ანდერსენი 55'42.

C ჯგუფი

**ჩეხეთი — ავსტრია 7:0**
2:0 3:0 2:0
1:0 ვლასაკი 6'32; 2:0 ვიბორნი 13'31; 3:0 ლ. პროპაზკა 28'08; 4:0 ლ. პროპაზკა 32'29; 5:0 უიჩიკი 39'25; 6:0 კაბერლე 48'59; 7:0 პლავაჩი 56'16

**აშშ — იაპონია 7:1**
3:0 2:1 2:0
1:0 ბისეტი 1'08; 2:0 დონატო 13'25; 3:0 კლეტი 18'30; 4:0 რიხტერი 31'57; 4:1 საკაი 35'20; 5:1 უეინრიჩი 39'59; 6:1 კეჩმერი 48'29; 7:1 ბისეტი 55'54

2 მაისი

B ჯგუფი

**შვეიცარია — ლატვია 5:3**
1:2 3:1 1:0
1:0 ზეგერი 0'50; 1:1 სემიონოვსი 5'13; 1:2 კერჩი 14'44; 2:2 შტრაიტი 25'23; 2:3 მატიცინსი 35'37; 3:3 ბალდი 36'36; 4:3 ჟენი 38'39; 5:3 ჟენი 53'44

**შვედეთი — საფრანგეთი 4:1**
1:0 2:0 1:1
1:0 სუნდსტრიომი 14'57; 2:0 ალფრედსონი 34'28; 3:0 სუნდსტრიომი 36'37; 3:1 ბრიანი 53'20; 4:1 დიუსი 54'10.

D ჯგუფი

**რუსეთი — ბელარუსი 2:2**
1:1 0:1 1:0
1:0 იაშინი 4'19; 1:1 რომანოვი 5'34; 1:2 ანდრიევსკი 31'04; 2:2 ტერტიშნი 45'02

**ფინეთი — უკრაინა 3:1**
0:0 1:1 2:0
0:1 კლიმენტიევი 24'15; 1:1 კოივუ 27'54; 2:1 იოკინენი 44'23; 3:1 კოივუ 52'23

# იარომირ, შენი ჭირიმე, არა ვთქვათ, არ იქნებაო

STANLEY CUP PLAYOFFS

გასულ უქმეებზე თასის მომდევნო ეტაპზე გასული კიდევ ორი კლუბის ვინაობა გაირკვა. ბოსტონმა ზედიზედ მესამედ დაამარცხა კაროლინა, ხოლო ტორონტო ნჰლ-ის ისტორიაში პირველი კლუბის გახდა, რომელმაც სერია ისე მოიგო, ორ შაიბაზე მეტი არც ერთ თამაშში გაუტანია

## აღმოსავლეთი

**სერიის ანგარიში ტორონტო—ფილადელფია 4:2**

30 აპრილი

**ტორონტო—ფილადელფია 2:1**
1:1 0:0 0:0 1:0
0:1 ჯოუნსი 1'52 (2); 1:1 იუშკევიჩი 9ძ16 (1); 2:1 პერო 71'51 (1)

2 მაისი

**ფილადელფია-ტორონტო 0:1**
0:0 0:0 0:1
0:1 ბერეზნი 59'00 (2)

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: გუნდმა, რომელმაც ჩემპიონატში ყველაზე მეტი შაიბა შეაგდო, „მფრინავებთან“ 6 თამაშში მხოლოდ 9 გოლი გაიტანა და მაინც გაიმარჯვა! სერიის პირველ მატჩში მარცხის შემდეგ „ნეკერჩხლის ფოთლები“ შეეცადნენ, დაცვაში უშეცდომოდ ეთამაშათ, მეკარე კერტის ჯოზეფი კი ექვსივე თამაშში შეუდარებელი იყო. საბოლოოდ სწორედ მისმა და ფილადელფიელი ჯონ ვანბისბურკის დუელმა გადაწყვიტა სერიის ბედი. „კიუჯოსგან“ განსხვავებით, „მფრინავთა“ მეკარემ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მეხუთე თამაშის ოვერტაიმში კი იანიკ პეროს ახლო კუთხეში დარტყმული მისთვისაც და გუნდისთვისაც საბედისწერო გამოდგა. მეექვსე მატჩში ერთადერთმა, სერგეი ბერეზინის მიერ რიცხვმრავლობაში შეგდებულმა შაიბამ ტორონტო ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად გაიყვანა პლეი ოფში.

**კაროლინა—ბოსტონი 2:4**

30 აპრილი.

**კაროლინა—ბოსტონი 3:4**
1:0 1:0 1:3 0:1
1:0 ჩესონი 3'49 (1); 2:0 შეპარდი 35'19 (5); 2:1 ბურკი 40'34 (1); 2:2 ვან იმპი 41'59 (1); 2:3 აქსელსონი 42'26 (1); 3:3 კაპანენი 58'15 (1); 3:4 კარტერი 94'45 (2)

2 მაისი

**ბოსტონი—კაროლინა 2:0**
1:0 1:0 0:0
1:0 ტორნტონი 8'58 (1); 2:0 კარტერი 28'13 (3)

კაროლინამ, ფაქტობრივად, ყოველგვარი შანსი მეხუთე მატჩში დაკარგა. თუ არ ჩავთვლით მესამე პერიოდის 2-წუთიან მონაკვეთს, რომელშიც სტუმრებმა სამი შაიბა გაიტანეს, მასპინძლები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ოვერტაიმში კი, სანამ კარტერი გამოიჩენდა თავს, საგოლე მომენტებს სულაც მხოლოდ ისინი ქმნიდნენ, მაგრამ... სხვათა შორის, ბოლო, მე-6 შეხვედრაშიც კარტერმა იყოჩაღა. მან კვლავ შეაგდო გოლი და 19 წლის ჯო ტორნტონთან ერთად სერიის გმირი გახდა. ცხადია, არც ბაირონ დაფო უნდა დავივიწყოთ: მეკარემ სერიაში ორი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა.

**ნიუ ჯერსი—პიტსბურგი 3:3**

30 აპრილი.

**ნიუ ჯერსი—პიტსბურგი 4:3**
1:0 1:2 2:1
1:0 სტივენსი 16'02 (2); 2:0 მაკეი 31'47 (2); 2:1 პეჩერი 36'08 (1); 2:2 კოვალიოვი 36'21 (3); 3:2 სიკორა 41'42 (3); 4:2 მაკეი 54'04 (3); 4:3 მილერი 59'13 (1)

2 მაისი.

**პიტსბურგი—ნიუ ჯერსი 3:2**
0:1 1:0 1:1 1:0
0:1 ბრილინი 12'04 (3); 1:1 სტრაკა 26'44 (5); 1:2 ნიდერმაიერი 44'34 (1); 2:2 იაგრი 57'48 (1); 3:2 იაგრი 68'59 (2)

პიტსბურგის კაპიტანმა იარომირ იაგრმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ სუპერჩეხს ჯერ კიდევ აწუხებდა ტრავმა, მან მაინც გადაწყვიტა მე-6 მატჩში მონაწილეობა. მონაწილეობაცაა და მონაწილეობაც — მისი ორი შაიბის წყალობით „პინგვინები“ კვლავ აგრძელებენ თასისთვის ბრძოლას. არადა, თავიდან იარომირს გაუჭირდა და მისმა შემყურე გუნდმაც თითქოს დაკარგა ბრძოლის ხალისი. ასეთ რთულ სიტუაციაში თანაკლუბელები ალექსეი კოვალიოვმა გაამხნევა — წინა მატჩის რჩეულმა ბრწყინვალე პასით მარტინ სტრაკას გოლი გაატანინა. ამან მასპინძლები გამოაცოცხლა. მიუხედავად მესამე პერიოდში გაშვებული შემთხვევითი შაიბისა, მათ ბოლომდე იბრძოლეს და გამოცდილ „ეშმაკებს“ საბედისწერო შეცდომები დააშვებინეს. საბოლოოდ მეკარე მარტინ ბროდომაც ვერ გაუძლო და იაგრთან 4 (!) დუელის მოგების შემდეგ დანებდა.

## დასავლეთი

**კოლორადო—სან ხოსე 3:2**

30 აპრილი

**კოლორადო—სან ხოსე 3:7**
1:0 2:3 0:4
1:0 დედმარში 7'27 (2); 2:0 ფუტი 24'53 (2); 2:1 გრენატო 29'38 (1); 2:2 ჰოულდერი 30'06 (1); 3:2 ჰეიდუკი 35'35 (2); 3:3 მარლო 38'01 (1); 3:4 კოროლიუკი 41'54 (1); 3:5 დამფუსი 44'17 (2); 3:6 რიჩი 48'55 (2); 3:7 დამფუსი 52'01 (3)

1 მაისი

**კოლორადო—სან ხოსე 6:2**
1:0 4:0 1:2
1:0 ფორსბერგი 4'31 (2); 2:0 ფლერი 31'15 (1); 3:0 საკიკი 32'55 (3); 4:0 ლემიე 33'44 (1); 5:0 დედმარში 39'58 (3); 5:1 მარლო 44'35 (2); 6:1 ფლერი 48'29 (2); 6:2 ჰოულდერი 59'36 (2)

მხოლოდ ზედიზედ მესამე შინაურ მატჩში მიხვდნენ კოლორადოელები, რა სახიფათოა, როცა კლასით დაბლა მდგომ მეტოქეს სათანადოდ ვერ შეაფასებ. მეოთხე თამაშში, მას შემდეგ, რაც ეველანში 2:0 დაწინაურდა, მათ, ეტყობა, გული დაიარხეინეს და ძალების დაზოგვა მოინდომეს. ამიტომაც დაისაჯნენ. მათი მეკარე პატრიკ რუაც ძალიან აღელდა და იოლი გოლებიც გაუშვა. მომდევნო მატჩში კი მასპინძლები პირველი წუთიდან ბოლომდე მობილიზებულნი იყვნენ. თანაც, როგორც იქნა, ათამაშდნენ ტეო ფლერიდა განსაკუთრებით კლოდ ლემიე, რომელიც მანამდე არცთუ გამოირჩეოდა. აღსანიშნავია, რომ სანხოსელებმა ერთობ საეჭვო ხერხს მიმართეს და ამ შეხვედრაში მანამდე ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე მაიკ ვერნონი დაასვენეს (36 წლის მეკარეს, კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, ზედიზედ ორი დღე თამაში გაუჭირდებოდა). მართალია, მისმა შემცვლელმა სტივ შილდსმა მატჩი კარგად ჩაატარა, მაგრამ ვერნონი რომ არ თამაშობდა, ზვავებს ფრთები შეესხათ.

**ფინიქსი—სენტ ლუისი 3:3**

30 აპრილი

**ფინიქსი—სენტ ლუისი 1:2**
0:0 1:0 0:1 0:1
1:0 დრეიკი 36'25 (4); 1:1 მაკინისი 51'50 (3); 1:2 იანგი 65'43 (1)

2 მაისი.

**სენტ ლუისი—ფინიქსი 5:3**
2:1 1:2 2:0
0:1 სტეპლტონი 2'20 (1); 1:1 კონრიოი 2'56 (1); 2:1 იანგი 8'25 (2); 2:2 ლიჩი 32'18 (1); 2:3 ნუმინენი 33'51 (2); 3:3 პროგერი 37'00 (1); 4:3 ფინდი 48'59 (1); 5:3 კონროი 55'49 (2)

ფინიქსელ კეიტ ტკაჩუკს ეს ეპიზოდი არასდროს დაავიწყდება — მეხუთე თამაშის მესამე პერიოდი მიმდინარეობდა, (ამ დროს მასპინძლები 1:0 იგებდნენ), როცა „კოიოტების“ ლიდერი, მეკარე გრანტ ფიურთან დარჩა პირსპირ, თითქოსდა მოატყუა კიდეც, მაგრამ შაიბას მცველმა მიუსწრო და „ბლუზმენები“ იხსნა. ამის შემდეგ სენტ ლუისმა ხელთ იგდო ინიციატივა, ხოლო კოიოტებს, რომელთაც რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლადთ, დაღლა დაეტყოთ.

სამველ ლარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1. mai - 16. mai

3 მაისი.

ჰამარი

### A ჯგუფი

**სლოვაკეთი — იტალია 7:4**
(1:0, 5:2, 1:2)

სლოვაკეთი: კოლნიკი (11'57, 36'22), პარდავი (24'32), ჰოსა (33'11), დანო (35'14), პალფი (39'56), ციგერი (58'01)

იტალია: ბარტოლონე (29'45, 34'29, 46'13), ბუსილო (48'59)

**კანადა — ნორვეგია 4:2**
(1:1, 2:0, 1:1)

კანადა: ქინტალი (3'11), ტორნტონი (31'22), ბლეიკი (36'10), გრეივსი (56'56)

ნორვეგია: იაკობსენი (8'30), ნილსენი (44'01)

ოსლო

### C ჯგუფი

**ჩეხეთი — იაპონია 12:2**
(4:2, 7:0, 1:0)

ჩეხეთი: მ. პროშაზკა (03'25), უიჩიკი (04'03, 37'17), ვიბორნი (11'15), ლ. პროშაზკა (19'30, 56'27), კაბერლე (20'34), პლავაცი (25'19, 31'46), კალოუნი (29'01, 38'04), რუჩინსკი (35'35)

იპონია: იაპატა (01'23), სუძუკი (17'07)

**აშშ — ავსტრია 5:2**
(1:0, 3:0, 1:2)

აშშ: ტამერი (18'19), სმოლინსკი (28'36, 41'29), დონატო (32'48), რიხტერი (37'53)

ავსტრია: ლავოიე (40'13), ტრატნიგი (44'07)



REUTERS ოსლოდან

ჩეხეთი — იაპონია 12:2. იაპონელებმა კატაიამამ (მარჯვნივ) და კაბაიამამ ჩეხი უიჩიკი ბორტს მიანარცხეს


REUTERS კოლონიიდან

*არგენტინელი მსაჯი ხავიერ კასტრილი ცნობილი და დაფასებული კაცი რომაა იქიდანაც ჩანს, რომ თავის ქვეყანაში მოღვაწეობას თავი დაანება და იქიდან პატივით გაცილებული ურუგვაიში გადაბრძანდა, სადაც, მონტევიდეოდან 180 კილომეტრში, ქალაქ კოლონიაში ადგილობრივ გუნდს „კეროლარვოსთან" შეხვედრა უმსაჯა. მადლიერების გრძნობით აღვსილმა კოლონიელებმა, როგორც ხედავთ, სინიორ კასტრილის ძღვენი მიართვეს.*

## როცა ასეთი სიყვარულია


REUTERS ლოს ანჯელესიდან

16 წლის ცუგრუმელა ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულად მოსრიალე ტარა ლიპინსკი მეტად პოპულარული პიროვნებაა. აგერ, საბავშვო ტელეარხ „ნიკოლედონის" ჯილდოთა გადაცემაზეც პატარა ტარას ექვსი მილიონი ამომრჩევლიდან ყველაზე მეტი ხმა და მასთან ერთად „საყვარელი სპორტსმენის" პრიზიც ერგო.

## გაწყდა კაცების სინსილა

სულაც არაა აუცილებელი, ექიმობაზე ოცნებობდე, რომ ფოტოზე აღბეჭდილ მედიცინის მსახურის მაგივრობა ინატრო. ჰამბურგის ტურნირის ფინალში ზურგატკივებულ ლამაზმან მერი პირსს, მავანმა ქალბატონმა ხანგრძლივი და საფუძვლიანი მასაჟის სეანსი ჩაუტარა, ბევრი მამაკაცისთვის სასურველი ადგილიც დაუზილა და ტრიბუნებზე შეკრებილ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ნერწყვიც აყლაპვინა.


REUTERS ჰამბურგიდან

## რბოლა «კუკუშკასთან»


REUTERS ბელგრეივიდან

*ავსტრალიურ ბელგრეივში ყოველწლიურად ერთი მეტად ორიგინალური ტურნირი ტარდება — „დიდი სამატარებლო რბოლა". აბა, სად ხდება სხვაგან, რომ სირბილში ადამიანს ძველთაძველი ლოკომოტივი ეჯიბრებოდეს? ტექნიკისა და ჰომო საპიენსის მორიგ, რიგით მე-18 ჭიდილში ამჯერად ამ უკანასკნელმა იმარჯვა. 1800 მორბენლიდან საუკეთესომ 13,2. კილომეტრიანი დისტანციის დაფარვას 41 წუთი მოანდომა, მატარებელმა კი — მთელი 53.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29